

# გარემონტირებული სამსახური

675-ა / 2  
1985

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

2. 1985

ଶାକ୍ୟାରତବ୍ୟାଲୋକ ସେହି ଶ୍ରେଷ୍ଠିକ୍ଷେତ୍ରକୁଦ୍ବାତ୍ରା ଅଧ୍ୟାତ୍ମିକିକୁ „ମାପନ୍ତି“, ବ୍ୟକ୍ତିଗତିକୁ, ଆର୍ଥିକାନ୍ତରିକିକୁ,  
ଜୀବନବ୍ୟାକ୍ଷମିକୁ ଓ ବ୍ୟାକ୍ଷମିକୁ ଏବଂ ବ୍ୟାକ୍ଷମିକୁ ବ୍ୟାକ୍ଷମିକୁ ବ୍ୟାକ୍ଷମିକୁ, ୧୯୬୫, ପୃଷ୍ଠା ୨

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1985 N 2

ქურნალი დარსებულია 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году



ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარაფალი კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მთადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მთადგილე),  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Кацарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипаниძე

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19**

**Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-86-82 Телефон**

გადაეცა წარმოებას 9.IV.85; შექ. № 1478; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.08.85;  
ანაწყობის ზომა 7X11; ქაღალდის ზომა 70X1081/16; პირობ. ნაბეჭდი თაბაზი 16.8;  
პირ. სილ. გატარება 17.1; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 13.4;

ფ. 05326;

ტირაჟი 1000;

ფასი 1 გრ. 30 კუ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მფრ. აკადემიის სტმქა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

### పరీక్షలు

అధి సాహిత్యం గాళి సాధనంతా నొఱిస గాథార్జెఎస్ 40 టిప్పణిస్తామి

2. ఎంతపులాపి, సాఫార్తవ్యులును సిర మినార్చిల్స్‌పుల్ సామ్పోట క్వాశింగ్‌స్ లోడ్ సామిశ్చల్ నోట్	5
3. భరింబిపి, గురుతొన మెచ్చించర్చి (క్వాప్యాశిస్ తావుప్రాప్తిసాంఘిస్)	20
3. భాసిపిపి, సామిశ్రేష నోటిస్ క్లాస్ కాటరింగ్‌సిశిస్ క్వాప్యాశిస్ డాప్రోస్ ఆప్రింగ్‌సిశిస్	38
3. అసాటిపిపి, క్రింత్రాస్ మాలార్కోల్టా శరీరమిటా గమింగ్‌పుల్ లోడ్ సామిశ్చల్ నోట్ ర్ష్యాప్చిస్	49
3. శల్పిపి, సామ్పోట సెట్టులును సామిశ్చల్ నోట్ క్రెస్టింగ్‌సిశిస్	62

### పరీక్షలు

1. శిరిపి, సాండ్వేష వాప్పుకొపిస్ నోట్‌గాన్‌కాప్రిస్ శ్రూ సామ్పుచ్చెప్పిస్ సాఫార్తవ్యులున్‌శిం	78
2. టాప్పిపిపి, మినిస్టర్ ప్రోప్రైస్ లూ గ్రూపాప్స్ మినిస్టర్ ప్రోప్రైస్ మినిస్టర్ ప్రోప్రైస్ లూ సింపుల్ క్రెట్‌ప్రోప్రైస్ సామిశ్చల్	86
3. కిప్పిపిపి, టిప్పుస్ లూ స్కూల్‌ప్రోప్రైస్ గ్రోపాప్స్ ప్రోప్రైస్ లూ సామిశ్చల్ నోట్ ప్రోప్రైస్ లూ	105

### ప్రమాణం ఇం ప్రోప్రైస్ లోపిస్

1. ప్రోప్పిపి, శరీరిస్ నోట్‌గాన్‌కాప్రిస్ లూ ప్రోప్పిపి సింపుల్ క్రెట్ లూ గ్రూపాప్స్ ప్రోప్పిపి	119
2. గాప్పిపిపి, లూస్‌పిస్ క్రెట్ లూ సామిశ్చల్ నోట్ ప్రోప్పిపి	129
3. గోప్పిపిపి, ఎంబ్స్‌పిస్ క్రెట్ లూ సామిశ్చల్ నోట్ ప్రోప్పిపి (XIV లోస్ బ్రోప్పిపి ర్ష్యాప్చిస్)	136
4. ప్రోప్పిపిపి, శరీరిస్ నోట్‌గాన్‌కాప్రిస్ లూ ప్రోప్పిపి సింపుల్ క్రెట్ లూ గ్రూపాప్స్ ప్రోప్పిపి	142
5. ప్రోప్పిపిపి, శరీరిస్ నోట్‌గాన్‌కాప్రిస్ లూ ప్రోప్పిపి సింపుల్ క్రెట్ లూ గ్రూపాప్స్ ప్రోప్పిపి	152
6. ప్రోప్పిపిపి, శరీరిస్ నోట్‌గాన్‌కాప్రిస్ లూ ప్రోప్పిపి సింపుల్ క్రెట్ లూ గ్రూపాప్స్ ప్రోప్పిపి	158

### సామిశ్చల్ నోట్ ప్రోప్పిస్

1. కిప్పిపిపి, ఒస్ట్రోప్పుల్ మెచ్చెర్చెర్చిస్ గాథార్జెఎస్ లోడ్ సామిశ్చల్ నోట్ ర్ష్యాప్చిస్
171

### పరిపిక్కా ఇం పిల్లలింగ్‌ప్రాప్తి

1. ప్రాప్తిక్కిపిపి, ప్రా. క్రొపాతాప్, గ్రోపాతాప్ క్రెట్ లూ ప్రాప్తిక్కిపిపి	181
2. ప్రాప్తిక్కిపిపి, ప్రా. ప్రాప్తిక్కిపిపి, ప్రాల్ పిస్ లూ సింపుల్ క్రెట్ లూ ప్రాప్తిక్కిపిపి (XVI—XVII లోస్ బ్రోప్పిపి ర్ష్యాప్చిస్)	184

### ప్రమాణం ఇం ప్రాప్తిక్కిపిపి

1. ప్రాప్తిక్కిపిపి, ప్రా. ప్రాప్తిక్కిపిపి, ప్రాల్ పిస్ లూ సింపుల్ క్రెట్ లూ ప్రాప్తిక్కిపిపి	190
--	-----

స్టే. స్టే. క్. మార్కెస్‌ట్  
 సాస, సాస, స్టే. స్టే. స్టే.  
 సింపుల్ క్రెట్ లూ ప్రాప్తిక్కిపిపి

18.115

## СОДЕРЖАНИЕ

### 40-ЛЕТИЕ ПОБЕДЫ СОВЕТСКОГО НАРОДА В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ

М. НАТМЕЛАДЗЕ, Участие Грузинской ССР в Великой Отечественной войне Советского Союза	5
П. ГРЕХНЕВ, В едином строю (к обороне Кавказа)	20
Б. ГАССИЕВ, Патриотизм женщин Южной Осетии в период обороны Кавказа	38
В. АСАТИАНИ, Трудовой подвиг горняков Чиатура в годы Великой Отечественной войны	49
Т. ЖГЕНТИ, Советское село в период Отечественной войны	62

### СТАТЬИ

Т. БЕРАДЗЕ, Организация морской торговли в средневековой Грузии	73
Р. ТОПЧИШВИЛИ, Некоторые историко-этнографические вопросы населения Мтиулети и Гудамакари	86
Г. ЧИКОВАНИ, К исторической географии Трусо	105

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. ГДЗЕЛИДЗЕ, Формы организации труда в Мтиулети и Гудамакари	119
В. ГАГОШИДЗЕ, Жилые дома типа «дарбази»	129
Д. ГОЧОЛЕИШВИЛИ, «Грузинский царевич» в Египте по данным арабских источников (80—90-ые годы XIV в.)	136
А. ЦЕРЕТЕЛИ, Керамика месхетских курганов эпохи средней бронзы	142
Дж. ШАРАШЕНИДЗЕ, Социальное содержание терминов <i>гече</i> и <i>дити</i> в хозяйственных документах эпохи III династии Ура	152
Л. ДЗИДЗИГУРИ, О назначении так называемого сегментовидного орудия	158

### НАУЧНАЯ ЖИЗНЬ

Р. КИКНАДЗЕ, Некоторые аспекты развития исторической науки в Грузии в годы Великой Отечественной войны	171
--	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Ш. ВАДАЧКОРИЯ, Э. Купатадзе, Генерал П. Г. Чанчебадзе	181
О. ЦКИТИШВИЛИ, Б. А. Ахмедов, История Балха (XVI — первая половина XVIII в.)	184

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Т. ЦАГАРЕИШВИЛИ, Вечер посвященный памяти проф. М. К. Гегешидзе	190
---	-----

# დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი

მაკალეა დათვალიაზვა

## საქართველოს სსრ მონაზოლეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში

საბჭოთა ხალხი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები და საერთოდ პლანირებული შევიდობისმოყვარე, პროგრესული ძალები ზემით აღნიშნავენ კერძორიტად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას — გრძელანის ფაშიზმე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვების 40 წლისთავს.

გერმანიის იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა ქვეყნისათვის თავსმოხვეული დღიდი სამამულო ომი, რომელიც ერთ-ერთი მძიმე და ძლიერად უმნიშვნელოვანესი პერიოდია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში, მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომაც საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ამ ომში ღრმა კვალი გაავლო თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში.

მეორე მსოფლიო ომში გამოიხატა XIX ს-ის 30-იანი წლების კაპიტალისტური სამყაროს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ობიექტური წინააღმდეგობანი — წამყენი იმპერიალისტური ქვეყნების ურთიერთდაპირისპირება. მთ შორის მწვავე ეკონომიკურ და ტერიტორიულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე წარმოშობილი ეს ომი თავისი მასშტაბის, ადამიანთა მსხვერპლის, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებასა და უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით უმაღლითო იყო კაცობრიობის მიერ თავისი არსებობის მანძილზე გადახდილ ომთავან.

მეორე მსოფლიო ომის ობიექტები აღმოჩნდა ეკროპის, აზიის, აფრიკის და ოკეანის 1700 მილიონი მოსახლეობა, რაც იმ დროის დედამიწის მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტს შეადგინდა. სამართლი მოქმედება მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თოლევე ში იდგა 110 მლნ ადამიანი<sup>1</sup>. ომმა შეიწირა 50 მლნ ადამიანის სიცოცხლე, ანუ ხუთჯერ მეტი ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა<sup>2</sup>, ხოლო ომით გამოწვეულმა მატერიალურმა ზარალმა პირდაპირი სახელრი ხარჯებით 4 ტრილიონ დოლარს მიაღწია<sup>3</sup>.

მაჩთალია, მეორე მსოფლიო ომში ერთმანეთს შეეჯახა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების ორი დაჯვუფება, მაგრამ პიტლერულ გერმანის მსოფლიოს ხალხებზე გაბატონების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობად საბჭოთა კავშირის განადგურება მიაჩნდა. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ომი არის მხოლოდ განვითარება პოლიტიკისა სხვა „საშუალებებით“<sup>4</sup>. ისე იყო ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალის — პიტლერული გერმანიის სამხედრო მახვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნა მიმართული. ნიშანდობლივი ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ჩაბმამ ამ ომში, ფაშისტური გერმანიის მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, 1941 წლის 22 ივნისს ძი-

<sup>1</sup> Всемирная история, т. X. М., 1965, гл. 598.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 г. М., 1965, гл. 8.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებაზი, ტ. 21, гл. 255—256.

რეულად შესცვალა მეორე მსოფლიო ომის ხასიათი. ზღვაზი დაედო და დასრულდა მსოფლიო ომის გადაქცევა იმპერიალისტური ომიდან. ანტიფაშისტურ, სამართლიან და გამათავისუფლებელ ომად ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომში საკუთრივ გერმანიამ დაკარგა დაახლოებით 7 მლნ ადამიანი, პოლონეთში 6 მლნ, იაპონიამ 2 მლნ, და ა. შ. ეერობის ქვეყნების ოკუპაციის დროს ფაშისტების მიერ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა 12 მლნ კაცი, მათ შორის 6 მლნ ებრაელი. მაგრამ ყველაზე დიდი მსხვერპლი ამ ომში გაიღო საბჭოთა კავშირმა. დიდ სამამულო ომში დაიღუპა 20 მლნ საბჭოთა მოქალაქე. ჰიტლერელებმა განადგურეს ჩენი ქვეყნის ტერიტორიაზე 1710 ქალაქი და მუშათა დაბა, 70 ათასზე მეტი სოფელი, 32 სამრეწველო საწარმო, 65 ათასი კმ რეინიზის ხაზი და ა. შ. მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირს დაუგდა 485 მლნ დოლარი.

ფაშისტური გერმანიის მესკეურებმა სწორად ვერ შეაფასეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, სოციალისტური სახელმწიფო წყობილების სიმძიაცე და საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ფაქტორები. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჟღიდროდ შეკავშირებულმა მრავალეროვანმა ხალხებმა ფაშიზმთან სამკედრო-სასიცოცხლო შერქინებაში ცხადყველ უსახლვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

საბჭოთა ხალხის ძლევამოსილმა გამარჯვებამ ჰიტლერულ ფაშიზმზე გადამწყვეტი როლი შეისრულა ფაშისტური გერმანიის სატელიტების, კერძოდ კი მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში, მსოფლიოს ხალხები იხსნა დამონების, ხოლო ცივილიზაცია მოსპონის საფრთხისაგან.

დიდ სამამულო ომში გამარჯვებამ რადგალურად შესცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო არენაზე, ნათლად ცხადყო სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ერთობისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ბედზე, უჩვენა სოციალიზმის ისტორიული პერსპექტივა, რომელიც ისტორიულ რეალობადაც იქცა, რამეთუ მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შექმნის შემდეგ წარმოიშვა მსოფლიოს ქვეყნების ახალი ფეუფუი ე. წ. სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებისა, რომლებიც იმპერიალიზმის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების შედეგად სოციალური პაროგრესის გზაზე გამოვიდნენ. თანამედროვე ეტაპზე ახალ-ახალი სახეობის მომავალინებელი იარაღის შექმნის, თერმოატომური ომის გაჩაღების იმპერიალისტური ცდების, დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ომის კერების არსებობის პირობებში კიდევ უფრო იზრდება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

როგორც სოციალისტური მშენებლობის წლებში, ასევე განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერულ ფაშისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების საყოველთაო-სახალხო გრძოლის ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით. პარტიამ დარაზმა საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომისათვის. ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სამეურნეო ხელმძღვანელობას ახორციელებდა

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 1941 წლის 30 ივნისს ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ფაშისტური გვრმანის სამხედრო სარდლობამ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის საომარ შზადყოფნაში მოიყვანა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან 190-მდე, მათ შორის 153 საკუთრივ გვრმანული დივიზია. მისი სტრატეგიული ულეისებური ომის „გეგმა ითვალისწინებდა ომის დამთავრებას 1941 წლის ზამთრის დადგომამდე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისათვის წითელ არმაში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოდან 126039 რიგით მეომარი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა<sup>6</sup>, რომელთა ნაწილი დისლოცირებული იყო საზღვრისპირა ოლქებში, ამიტომაც მოუხდათ მათ მონაწილეობა ფაშისტ დაპყრობთა პირველი დარტყმების მიღებაში.

დიდი სამამულო ომის განმავლობაში საქართველოდან ფრონტზე გაიგზავნა 700 ათასზე მეტი მეომარი, ან რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 19 პრიცენტი<sup>7</sup> მათ შორის 23 ათასზე მეტი ოფიცერი, 46 გენერალი, და ადმირალი<sup>8</sup>, 52,6 ათასი კომუნისტი ანუ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის შემადგენლობის ნახევარი, 160 ათასი კომუკაშირელი<sup>9</sup>, 16 ათასმდე ქალი. მეორე მსოფლიო ომში საქართველომ დაკარგა დახსლობით 9% თავისი მოსახლეობისა. ამას გარდა ფრონტიდან დაბრუნდა დაახლოებით 50 ათასი ინვალიდი<sup>10</sup>.

ომის დაწყებისთანავე საქართველოში შტრის დივერსანტებთან საბრძოლვად შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები თითოეული 200—250 კაცის შემადგენლობით. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4319 ავტომანქანა 334 ტრაქტორი, 18926 ცხენი და სხვა<sup>11</sup>.

ქართველმ მეომრებმა და მხედართუფროსებმა მონაწილეობა მიიღეს შტრითან პირველ შეტაცებებში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიში, უკრაინასა და მოლდავეთში. თავდაცვით ბრძოლებში უკრაინის მიწაზე გმირულად დაეცა მამაცი ოფიცერი ვ. ხარაზია, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საქართველოს ათასობით ჭარბზანილი მონაწილეობდა მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში თავი ისახელა ათასობით ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა, მათ შორის იყვნენ სამხედრო-საპარტო არმიის პოლიტგანცუროფილების უფროსი პოლკოვნიკი დ. შენშაშვილი, ვიცე-ადმირალი გ. აბაშილი, კონტრ-ადმირალები ვ. ლევაზა და ს. რამიშვილი, იგრეთვე სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანცურილების მეთაურები, ოფიცრები, გარისეცები, მატროსები, სერეანტები, ზემდეგები. მრავალი ქართველი მეომარი დაცა სიკვდილით ლენინგრადთან, მათ შორის საბჭოთა კავშირის წოდება

<sup>6</sup> И. П. Бабалашвили. Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны (1941—1945). Тб., 1977, гл. 37.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>8</sup> ა. იოსელიანი, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამაშულო ოშში, თბ., 1958, გვ. 477—478.

<sup>9</sup> საქართველოს ისტორიის ნარკეცები, ტ. 8, თბ., 1980, გვ. 10.

<sup>10</sup> И. П. Бабалашвили. Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом (1941—1945). Тб., 1975, გვ. 275.

<sup>11</sup> იქვე.

გმირები, მსროლელი ნაწილის მეთაური ს. კეთილაძე, ნაღმისატყორცნელთა პოლისის მეთაური ვ. ლესელიძე და ჩიგითი მებრძოლები ი. აბუშევილი, ი. ბურ-ლული, კ. დალაქიშვილი, ა. ქავთარაძე, ი. კორინთელი, გ. ჭედლიშვილი, გ. შა-ბურიშვილი<sup>12</sup>.

მოსკოვის მისადგომებთან თავდაცვით ბრძოლებში და კონტრშეტევით ოპერაციებში მონაწილეობდა ათასობით ქართველი მეომარი და მეთაური, მათგან განსაკუთრებით ისახელა თავი გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძის 107 მსროლელმა დივიზიამ, რომელიც მტრის დაჯგუფების განადგურებაში შეტანილი წვლილისათვის II გვარდიულ დივიზიად გარდაიქმნა<sup>13</sup>. მამაცურად იბრძოდა 75-ე საზღვაო მსროლელი ბრიგადა პირველი რანგის კაპიტანის კ. სუხიაშვილის მეთაურობით, რომელსაც იგრეთვე გვარდიული მსროლელი ბრიგადა ეწოდა.

1942 წლის თებერვლიდან დაიწყო ეროვნული დივიზიების შექმნა. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა 15-ზე მეტი საჯარისო შენარჩო და ნაწილი—63-ე და 242-ე სამომსროლელი, 224-ე, 276-ე, 351-ე, 386-ე, 388-ე, 392-ე, 394-ე, 414-ე, მათგან ქართული იყო 224-ე, 392-ე და 414-ე მსროლელი დივიზიები. ქართული მსროლელი დივიზიები მონაწილეობდნენ სევასტოპოლის გმირულ დაცვისა და სადაცანტო ოპერაციებში. სულ ყიჩიმის ფრონტზე 1942 წლის 15 აპრილად საქართველოდან გაიგზავნა 65897 მეომარი. ამ დროისათვის საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში საქართველოს 500 ათასამდე წარმომადგენელი იყო<sup>14</sup>. 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლთა უმრავლესობა დაიღუპა ქერქი-ფეროდისის სადესანტო ოპერაციაში.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ფაშისტებმა ხელი იგდეს კავკასიის მთავარი ქედის მთელი რიგი უღელტეხილები და შეიკრნენ საქართველოს მაღალმთან რაიონებში. საქართველოს „ტერიტორია ფრონტისპირა ზოლად გადაიქცა. მტერმა დაბომბა შავიზღვისპირეთის საქართველოს სანაცადგურო ქალაქები და დასახლებული პუნქტები. შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი, რომლის ქარების შემადგენლობაში 200 ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა<sup>15</sup>. კავკასიის დაცვის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა 12 ალბანისტური რაზმი თოთოეული 295 კაცის შემადგენლობით. მათ დიდი წვლილი შეიტანეს უღელტეხილების დაცვაში.

კავკასიისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოვლინდა მხედართმთავრული ნიკი გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძისა, რომელიც სარდლობდა ქერ 46-ე, ხოლო შემდეგ მე-18 სადესანტო არმიას. ამ არმიამ განახორციელა „მცირე მიწის“ სადესანტო ოპერაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ერთად ნოვოროსიისკის შტურმი. სხვა არმიებთან ერთად მე-18 სადესანტო არმია მონაწილეობდა უიტომის-ბერდიჩევის შეტევით ოპერაციებში. მაგრამ 1944 წლის 21 თებერვალს შეწყდა კ. ლესელიძის სიცოცხლე. ქარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და გერმანელ-ფაშისტ დამპყრობით წინააღმდეგ გამოჩენილი გმირობისათვის კ. ლესელიძეს 1971 წლის 13 მაისს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

<sup>12</sup> ქრებ. „მათ ასახელეს სამშობლო“, თბ., 1964, გვ. 218—228.

<sup>13</sup> ე. კუპატა დე, პორფილ ჩანჩიბაძე, თბ., 1984, გვ. 29.

<sup>14</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8, გვ. 181.

<sup>15</sup> იქვე.

414-ე მსროლელ დივიზიის, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნოვორისისკის განთავისუფლებაში (პირველი შეიქრა ინაპაში და გაწმინდა იგი კუპანტებისაგან) ანაპის სახელი მიეკუთხნა. ამ სახელოვნი, შრომის წითელი დროშის ორდენისანი დივიზიის 1367-ე და 1371-ე პოლებებს სევასტიონის განთავისუფლებაში საბრძოლო მამაკობის გამოჩენისათვის სევასტიონის სახელი მიეკუთხნათ. მარტო ყირიმის ნახევარუნდულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მეომრული თავდადებისათვის საქართველოს წარგზავნილ 26 მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დნეპრის გადალაცვისათვის 28-ს, ხოლო უკრაინისათვის ბრძოლებში — 21 მებრძოლსა და მეთაურს.

სტალინგრადის ბრძოლებში არაერთმა ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა ისახელა თავი გმირობით აქ სარდლობდა გვარდიულ დივიზიის შემდგომში კი გვარდიულ მსროლელ კორპუსს გენერალი პ. ჩანჩიბაძე, ხოლო სამაერო არმიის სარდლის მოადგილე კი იყო ავიაციის გენერალი ვ. ნანევიშვილი. გვარდიულის სახელი მიენიჭა გენერლების კ. ჯახუასა და ნ. თავართქმილაძის მსროლელ დივიზიებს, ხოლო მსროლელი პოლეის მეთაურს მ. დიასამიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გამბედაობითა და გმირობით ისახელეს თავი მფრინავებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა კ. ბენდელიანმა, დ. თავაძემ, გ. თვაურმა, ზ. ხიტალიშვილმა და სხვ. ავრეთვე ქართველმა მფრინავმა ქალებმა თ. მელაშვილმა, ი. ოსაძემ და გ. ტურქელიძემ. სახელგანთქმული „პავლოვის სახლის“ დამცველთა შორის სხვა საბჭოთა მებრძოლებითან ერთად იყვნენ ქართველები მოსიაშვილი და ნ. სტეფანიშვილი, აფხაზი ცუკბა.

თასობით ქართველი მებრძოლი და მეთაური მონაწილეობდა აღმოსავლეთ ერობის ქვეყნების ხალხთა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში. 1944 წლის იანვრისთვის 2 ათასზე მეტი ქართველი მეომარი მონაწილეობდა საბჭოთა არმიის ბრძოლებში პოლონენთისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. ბევრმა მებრძოლმა ისახელა თავი მძიმე ბრძოლებში 242-ე სამთო მსროლელი 276-ე და 351-ე მსროლელი დივიზიებიდან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იყო დაკომპლექტებული. პოლონენთის ქ. პოზნანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კი გამოიჩინა 117-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ გენერალ-მაიორ ე. კობერიძის მეთაურობით, რის გამოც დივიზიის „პოზნანის“ საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო ენერგიალ ე. კობერიძეს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და პოლონენთის მთავრობის ჯილდო ირგზის<sup>17</sup>.

პოლონენთის ერთ-ერთი ქალაქისა და დიდი ნავსაგურის დანციგის (გდანსკის) განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაკობისათვის ბატალიონის მეთაურს კაპიტან გ. ლელაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა და იქვე ქალაქის დიდების გორაზეა დასაფლავებული პოლოვნიკი ვ. გაგუა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ბატალიონავის საპატიო მოქალაქის წოდება<sup>18</sup>.

დიდი სატანკო დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში ოსტრავისათვის მასობრივი გმირობა გამოავლინეს ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მებრძოლებმა

<sup>16</sup> ქრებ. „მთ ისახელეს საბჭოთა საშობლო“, გვ. 464—467.

<sup>17</sup> საქართველოს ისტორიის ნაჩვევები, ტ. 8, გვ. 196.

<sup>18</sup> იქვე.



ლო ხელმძღვანელობდა. ქ. პერიგვაში პიტლურელებმა სიცედილით დასაჭერა 9 ქართველი პარტიზანი (ი. აბრამიძე, ი. ალხანიშვილი, გ. ჭიქია, ნ. მარგებაძე, ე. ებრალიძე, ი. ჩხერიძელი, ა. პეტრიაშვილი და ა. მირიანშვილი), რომელთა საფლავშე 1966 წლის 8 მაისს დაიდგა ძეგლი მათი საბრძოლო გმირობის ხსოვნისათვის<sup>19</sup>.

იტალიის წინააღმდევობის მოძრაობის მესვეურთა საერთო აღიარება მოიპოვეს ქართველმა პარტიზანებმა, რომელებიც იტალიელ პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ გარიბალდელთა რაზმებში. მათი მხედრული მამაცობის მეაფიო გამოხატულებად იქცა ფორე მოსულიშვილის გმირობა, რომელიც თ. პოლეტავეთან ერთად დაჯილდოვდა იტალიის რესპუბლიკის ოქროს მედლით, როგორც იტალიის ეროვნული გმირი. იტალიის პარტიზანულ მოძრაობაში თავი გამოიჩინა გიორგი ვაჩახაშვილმა, რომელიც დაჯილდოვდა იტალიის რესპუბლიკის ჯილდოთი „მხედრული მამაცობისათვის“. მათთან ერთად არა ერთმა ქართველმა მებრძოლმა გამოიტარა თავი ფაშისტ დაბყრობთა წინააღმდევ უთანაშორო ბრძოლაში. 530-მდე ქართველი ყოფილ სამხედრო ტყვე განისვენებს პოლანდიის ჯუნიულ ტექსელზე ფაშისტების წინააღმდევ 800 კაციანი ქართული ბატალიონის აჯანყების მონაწილე<sup>20</sup>, მათ შორის ბატალიონის მეთაური კაპიტანი შ. ლოლაძე, კომისარი ს. გუჯაბიძე და სხვ.

საქართველოდან წასული ასობით მეომარი და მეთაური საბჭოთა ქვეყნის მრავალი ეროვნების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მილიტარისტული იაპონიის წინააღმდევ იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურების, მანჯურიის და კორეის მთელი რიგი რაიონების განთავისუფლებისათვის. საბჭოთა კაშირის გმირის წოდება მიენიჭა გვარდიის სერეანტებს ს. ასლამაზაშვილს, ს. კოზონოვს და ვ. ესებუას.

საქართველოს წარგზავნილებს შორის დიდ სამაშტალო ომში დაიღუპა 300 ათასზე მეტი მებრძოლი. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

საბჭოთა კაშირის დიდმა სამაშტალო ომმა გადაჭრით დააყენა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ომის პირობების შესაბამისად მოწყობის რთული ამოცანა. უცილებელი გახდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე, ფრონტისპირა რაიონების სამრეწველო საწარმოთა ევაკუაცია ზურგის — ქვეყნის სამხრეთ და იღმოსავლეთ რაიონებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება.

საქართველომ როგორც ზურგის რაიონმა, მუშათა კლასის, კოლეგიურნების და ინტელიგენციის თავდადებული შრომით, დიდი სამაშტალო ომის წლებში, სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის საფუძველზე, მნიშვნელოვანი წევლილი შეიტანა ფრონტისაღმი დამარცხების საქმეშა.

საქართველოს მრეწველობის წინაშე დაიდგა ამოცანები — თხალი, სამხედრო საწარმოთა მშენებლობა, რომელიც აქამდე არ ასებობდა, ევაკუირებულ საწარმოთა სწრაფი ამუშავების უზრუნველყოფის, სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაზე. მაგრამ მშენებლივიანი მშენებლობის წლებში შეძენილმა გამოცდილებამ შესაძლებლობა მისცა რესპუბლიკის მრეწველობას შეენაჩინებინა წარმოების მაღალი დონე. საბჭოთა კავ-

<sup>19</sup> საქართველოს ისტორიის ნაჩვევები, ტ. 8, გვ. 214—218.

<sup>20</sup> М. И. Коциашвили, Страницы боевых подвигов, Тб., 1969, гვ. 167.

შირის ცენტრალური რაიონებიდან სხვადასხვა სამრეწველო ნედლეულისა და ნახევარფუბრივარების შემოზიდვის შემკირება-შეწყვეტის მიუხედავად, აღვილობრივ ნედლეულზე სამრეწველო საწარმოთა გადასკლისა და შემცველელ-სათადარივო ნაწილებისა და დეტალების აღვილზე წარმოების ორგანიზაციის მეობებით, საქართველოს მრეწველობის ყველა დარგი მუშაობდა შეუფერხებლად და აწარმოებდა ფართო ასორტიმენტის პროდუქციას ფრონტისა და ზურგისათვის.

სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის შემდეგ შეიქმნა კეთილსასურველი პირობები სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის მრეწველობის დარღების მიხედვით საერთო სახელმწიფო მასშტაბით. ეს იყო სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, რომლის იდეა ჩაისახა კუზნეცის კომბინატის კოლექტივში. საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1942 წ. 4 მაისს მოწონა მეტალურგოული და ასევე საავიაცია მრეწველობის მუშაქთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატივა. მაის-ივნისში საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიცავა მრეწველობის თოქმის ყველა დარგი. 1942 წლის 27 მაისს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მოწოდებით გამოვიდნენ ტყიბულელი მეშაბტები. საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოები ჩაებნენ აღნიშნული დარგის საწარმოთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ა. შ. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მასობრივ მოძრაობად იქცა, რომელშიც მთელი ძალით გამოვლინდა ზურგის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ენთუზიაზმი.

სრულიად საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ბიძგი მისცა ახალგაზრდობის ინიციატივით დაწყებულ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ორგანიზაციის. შეჯიბრებას „ფრონტული ბრიგადის“ საბატიო წოდების მოპოვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან „ფრონტული ბრიგადის“ სახელის მინიჭება იქცა ფრონტის დაკავეთების წარმატებით შესრულებისათვის ახალგაზრდობის დაკვერცული შრომის უმაღლეს შეფასებად.

დიდი სამამულო ომის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა 1279 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელთაგან ფრონტული ბრიგადის წოდება მიღო 357 ბრიგადამ<sup>21</sup>.

მუშათა კრასის პატრიოტიზმის მქაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა ე. წ. ორასოვანთა მოძრაობა, რომელიც 1941 წლის ივნისიდან გაერტყელდა. უკვე 1941 წლის ოქტომბრისათვის თბილისის 26 კომისრის სახ. მანქანამშენებელ და აეტოშემეტებელ ქარხნებში უკვე 185-ზე მეტი ორასოვანი ითვლებოდა<sup>22</sup>. მათ უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდნენ. გამრავლდა ორასოვანთა რიგები ბათუმის ნავთობადამშემცვებელ ქარხანაში. 1941 წლის პირველ ნახევარში თბილისის ორთქლმავალვაგონშემცვებელ ქარხანაში 1421 სტანციულები ითვლებოდა, წლის დამლევს სტანციონველებთან ერთად ქარხანაში 357 ორასოვანი და 105 სამამულო იყო<sup>23</sup>.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მრეწველობაში კვლავ ვითარდებოდა შეჯიბრების ისეთი ფორმებიც, რომელიც იყო მრავალდაზონობა და

<sup>21</sup> ა. ი. ისე ლ ი ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

<sup>22</sup> გან. «Заря Востока», 1941 წლის 1 ოქტომბერი.

<sup>23</sup> პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღ. 3, ს. 372, ფურც. 67.

პროფესიათა შეთავსება, რაც კარგად ესაბამებოდა ომით გამოწეული მუშაქე-ლის ნაკლებობის პირობებს.

ღიღი სამამულო ომის წლებში საქართველოს მრეწველობამ გამოუშვა 6614,4 მლნ საერთო ღირებულების პროდუქცია, რომლის ღიღი ნაწილი მოდიოდა თავდაცვით მრეწველობაზე. მანქანათმშენებელმა და ლითონედმშემუშავებელმა ქარხნებმა, რომლებიც ძირითადად საბრძოლო აღჭურვილობას, საბრძოლო მასალას, მანქანების სათადარიგო ნაწილებს უშვებდა, საბჭოთა არმიას გადასცეს 300 ათასზე მეტი პისტოლეტი-ტყვიამურქვევი, ნაწილსატყორუცი, ათიათასობით ცალი სათადარიგო ნაწილები ტანკების, საჯავშნო მანქანებისა და გემებისათვის. თბილისის სავიაციო ქარხანამ ტაგანროვიდან ევაკუირებული სავიაციო ქარხნის კოლექტივთან ერთად ამუშავების უკვე პირველ თვეებში— 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ააგო რამდენიმე თვეითმფრინავი.

სამხედრო მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზესტაფონის ქარხნის მიერ სსრ კავშირში პირველად საჯავშნე ფოლადისათვის მეტად საჭირო ელექტროლინური მანგანუმის მიღების, მისი წარმოების ათვისებას.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში დამზადებული სამხედრო ტექნიკის ზოგიერთი სათადარიგო ნაწილების ღირებულებამ 1943 წ. შეადგინა 8,6 მლნ გან. ნაცვლად 5 მლნ მნ. 1941 წ<sup>24</sup>, ამ ქარხნაში ომის წლებში სულ შეეტარა 117151 ავტომანქანა, ტანკი და ჯავშნისანი, ქველი და ახალი ნიმუშების დეტალები, ავიაციონიდრები, კუმულატორები და სხვ<sup>25</sup>;

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოები მაღალხარისხოვან თაბაშირს აწვდიდნენ პოსპიტლებს, ხე-ტყისა და სილიკატური მრეწველობა თავისი პროდუქციით ამარავებდა სპეციალური დანიშნულების თავდაცვით ნაგებობებს და ა. შ.

მრეწველობის საომარ ყაიდშე გარდაქმნა არ განხორციელებული სიძნეელთა დაძლევის გარეშე. ჩესპუბლიკის ზოგიერთმა სამრეწველო საწარმომ ვერ უზრუნველყველ დროულად და მთლიანად საბჭოთა არმიაში გაწვეულ მუშათ კაღრების უმაღვე შეცვლა ან ახლადმოსული მუშახელის დამაგრება წარმოებაში, რაც უმავრესი აბიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული<sup>26</sup>. ომიანობის პირობებში მნიშვნელოვნად შეიკეცეს საქართველოში სამრეწველო მუშათა რიგების შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო — სოფლის მოსახლეობა, სამაგიეროდ გაფართოვდა ქალაქების დაუსაქმებელი მოსახლეობის, პირველ რიგში დიასახლისებისა და მოზრდილების ორგანიზებულად ჩაბმა მრეწველობაში, რომელიც ხორციელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების „ომიანობის დროს ქალაქის შრომისუნარი მოსახლეობის საწარმოებსა და შენებლობებზე მობილიზაციის შესახებ“<sup>27</sup> შესაბამისად. 1945 წ. ჩესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 185 ათასი ქალი, ანუ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 42, %, მათგან მრეწველობაში 35 %.<sup>28</sup>

<sup>24</sup> საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური შეენბლობის ცენტრალური სახ. ოქტომბ. ფ. 2514, ს. 863, ფურც. 3.

<sup>25</sup> იქვე, ს. 797, ფურც. 4 (ფაქტებულია ჩვენ მიერ).

<sup>26</sup> პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღ. 3, ს. 372, ფურც. 36.

<sup>27</sup> История СССР с древнейших времен до наших дней, т. X, М., 1973, გვ. 268.

<sup>28</sup> Советская Грузия к 50-летию Великого Октября, Тб., 1971, გვ. 202.

საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს გადასცა თავისი პროდუქციის 60%<sup>29</sup>. 1941 წლის დასასრულს თავდაცვითი პროდუქციის ხედრითი წონა ჩესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობაში შეადგენდა 72,5%.

დიდი სამამულო ომის წლებში არ შეწყვეტილა კაპიტალური მშენებლობა. 1941 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა თბილისის საავიაციო ქარხანა, თბილექტროსაფური და ავეჯის ფაბრიკა, სამხედრო დაკვეთებით დაკავშირებით შეიქმნა სასახავე-საუნაგირო ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა მხედრულ უნაგირებს და ცხენის აღკაზმულობას. ომის წლებში თბილისში აშენდა ქარხანა, რომელიც აწვდიდა ამიერკავკასიის ფრონტს კავშირგაბმულობის საშუალებებს, ექსპლუატაციაში გადაეცა ტანკის ქარხანა, რომელიც მუშაობდა ადგილობრივ შეუნარულ ნედლეულზე. 1942 წ. მტრის შემოჭრის გამო ჩრდილოეთ კავკასიიდან ქუთაისში ევაკუირებული იქნა მინის ტარის ქარხანა. იგი მწყობრში ჩადგა 1944 წ.<sup>30</sup> დაწყო ტყვარჩელის რაიონული ელექტროსადგურის II რიგის და ჩითახევის ჰიდროელექტროსაფურის მშენებლობა და ჩაცყველაზე აღსანიშნავია 1944 წ. დაწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ხოლო 1945 წლის ავგისტოში — ქუთაისის საეტომობილო ქარხნების მშენებლობა.

1942 წლის აპრილში ქალაქები გამოცხადდა ტყვარჩელი, რომელიც შეიქმნა ქალაქის ტიპის დასახლებების აკარმარასა და კვეზანის ბაზაზე.

დიდი სამამულო ომის წლებში, ფრონტისადმი დახმარებაში დიდი როლი შეასრულა რეინიგზის ტრანსპორტმა. ამიერკავკასიის რეინიგზაზე გარდა შეჯიბრების გამლისა მძიმეშონიანი მატარებლების დაზი სიჩქარით ტარებისა, საორთქმავლო დეპოში მოეწყო ორთქმავლებისა და ელმავლების დეტალებისა და სათადარივო ნაწილების წარმოება, რომელსაც ომაძლე ცენტრალიზებული წესით ღებულობდნენ. მზადდებოდა სხვადასხვა დეტალები, სათადარივო ნაწილები მტრისაგან განთავისუფლებული რეინიგზების დასახმარებლად. თბილისის საორთქმავლო დეპოს კოლექტივმა მხოლოდ სტალინგრადის საორთქმავლო დეპოს გაუგზავნა აღდგენით შეკეთების შემდეგ 12 ორთქმავლი და 500-ზე მეტი სხვადასხვა საბის მოწყობილობა. დიდი გვლობდანებით მუშაობდნენ ქართველი რეინიგზელები მოძრავი შემადგენლობის აღსაღენიად. რეინიგზელთა მიერ ფრონტისადმი დასახმარებლად გაწეული შრომისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ჩენი ქვეყნის რეინიგზის ტრანსპორტის 127 მოწინავე მუშავს, მათ შორის ქართველ მემანქანებს: ნ. გელაძეს, ბ. კოხევიძეს და ა. წილაურს და ამიერკავკასიის რეინიგზის უფროსს გ. კინაძეს. ქართველი რეინიგზელები 19-ჯერ გამოვიდნენ გამარჯვებული დიდი სამამულო ომის წლებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სულ საქართველოდან დაჯილდოებულ იქნა 1221 რეინიგზელი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

<sup>29</sup> И. П. Бабалашвили, Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом. გვ. 277.

<sup>30</sup> სექტემბერის სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოც. მშენებ. ცენტრ. სას. არქივი, ფ. 2514, ს. 986, ფურც. 6.

ომის წლებში ფრონტის მომსახურების მოთხოვნილების დაქვალად საქართველოში გაიზარდა კავშირგაბმულობის საწარმოთა რიცხვი 707-მდე, ანუ 57 ერთეულით 1940 წელთან შედარებით.

ჩესპუბლიკის მშრომელები მაღალი შეგნებულობით მოეკიდნენ თავდაცვის ფონდის შექმნისა და მეომრებისათვის თბილი ტანკისაცმლისა და საქუქრების შეგროვება-მიწოდების. ომის წლებში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 420 მლნ მანეთზე მეტი ნაღდი ფული, ამასთან სახელმწიფო სესხის ობლიგაციები 108 მლნ მანეთის ლირებულებისა; დიდი რიცხვის მიზანით აქრო, პლატინა, ვერცხლი და ძვირფასი ნივთები, ტონიბით სურსათი. ჩესპუბლიკის მშრომელებმა თავისი წელითი შეიტანეს „გამარჯვების ფონდში“. ასევე მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა გამოვლინეს მთ სამამულო ომის წლებში გამოშვებულ სამხედრო სესხზე ხელმოწერის კამპანიაში.

საქართველოს მშრომელებმა ითავეს თავიანთი პირადი დანაზოგით აეგოთ-თვითმფრინავების საბრძოლო ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“, რისთვისაც მთ შეიტანეს პირადი დანაზოგიდან 151 მლნ მან. ხოლო ჩესპუბლიკის კომერციულებმა და ახალგაზრდობით შეაგროვეს 11 მლნ მან. საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილის „საქართველოს კომერციის“ ასაგებად.

სულ ჯავშანსატანკო კოლონებისა და საპარტო ძალების გასაძლიერებლად საქართველოს მშრომელებმა 1943 წლის თებერვლის ბოლოს შეაგროვეს 261 მლნ მან.

საერთო-სახალხო საქმედ იქცა ზრუნვა ფრონტელთა და ომის ინვალიდთა ჯახებშე. სისტემატურად ტარებობდა საქართველოში „დაბმარების კვირეულები“, რომელთა დროს გროვდებოდა მარცვლეული, ფრინველი, ტანკსაცმელი, შეშა და სხვ.

საქართველო ემარებოდა ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ჩეჩენ-ინგუშეთის და ყაბარდო-ბალყაქეთის ავტონომიურ ჩესპუბლიკებს, როსტოვის ოლქს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში, საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობის, ელექტრო დანაღვრების, საშატერ მოწყობილობის, რინიგზის მოძრავი შემაღენლობის, პირველი საკიროების საგნების, კულტურული და სამეცნიერო ინვენტარის მიწოდებით. მახარაძის რაიონის სოფ. შრომის არჯონის სოფ. შრომის არჯონის სოფ. შრომის სახალობის კოლმეურნეობას.

ომის პირველსავე დღეებში მოწყო საევაკუაციო პოსპიტლები. 1941 წლის ნოემბერში საქართველოში იყო 62 საევაკუაციო პოსპიტლი, მათ შორის თბილისში 29, ქუთაისში — 5, წყალტუბოში — 2, ბორჯომში — 3, თელავში — 2, სოხუმში, ბათუმში, გორში, ქობულეთში, ახალციხეში, აბასთუმანში, ცემში, ონში და ა. შ.

მუშახელის ნაკლებობით გამოწვეული დიდი სიძნელეების პირობებში ჩესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანებს. ომის წლებში ათესისებულ იქნ. 53 ათას ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. რამდენადმე გადიდა საბჭოთა მეურნეობებისა (1945 წ. ითვლებოდა 78 საბჭოთა მეურნეობა) და მანქანა-ტრაქტორთა რაოდენობა. 1943—1945 წლებში საქართველოს სოფლის მშრომელებმა შეძლეს სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. რაც შე-

დეგი იყო დაძაბული და თავდადებული შრომისა. ამას მოწმობს ერთი კოლ-  
მეურნის მიერ გამომუშავებული შრომადლების საშუალო რაოდენობის ზრდა.  
1940 წ. თუ იგი უდრიდა 125-ს, 1943 წ. გადიდდა — 143 და 1944 წ. —  
145-მდე.

სამამულო ომის მძიმე წლებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელ-  
მწიფო განუხრელად ზრუნავდნენ ხალხის მატერიალური მდგომარეობის შესამ-  
სცმულებლად. 1941 წლის ივლისიდან შემოღებულ იქნა მომარავების ნორმი-  
რებული განაწილება სურსათით და პირველი საკიროების საგნებით. მიუხედა-  
ვად მისი სიმცირისა, საბარათო სისტემამ ხელი შეუწყო მოსახლეობის მოთხო-  
ვნილებათა დაქმაყოფილებას.

ომით გამოშევალ სიძლიერეთა პირობებში მუშაობდნენ ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლები და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სას-  
წავლებლები, რომელთა სასწავლო შენობების ნაწილი სამხედრო უწყებას გა-  
დაეცა. საქართველომ მიიღო ასპირიტული ბავშვი. გაიზარდა სალა-  
მოს სკოლების რიცხვი 225 ერთეულით. უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზა-  
დეს 14,1 ათასი, საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა — სხვადასხვა კვა-  
ლიფიკაციის 22,7 ათასი სპეციალისტი.

ომის სამსახურში ჩადგა ქართული მეცნიერება, რომელიც წარმატებით  
სწევებდა როგორც ფუნდამენტურ, ასევე ქვეყნის თავდაცვითი ხასიათის პრა-  
ქტიულ ამოცანებს, რომელშიც დიდი როლი შეასრულა საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილმა რესპუბლიკის საწარმოო  
ძალების შემწავლელმა საბჭომ აყად. ა. თვალშემსრულიდის თავმჯდომარეობით.

აღსანიშვნაია, რომ ქართველი მეცნიერის აყად. რ. აგლაძის ხელმძღვანე-  
ლობით განხორციელდა ელექტროლიტური მეთოდით მაღალხარისხის ღი-  
ოთონური მანგანუმის მიღება, რაც ასე სუცდლებელი იყო თავდაცვით მრეწვე-  
ლობისათვის მტკიცე ჭავშანის დასამზადებლად. რ. აგლაძეს სახელმწიფო პრე-  
მია მიენიჭა.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში  
ჩამოყალიბდა რიგი იხალი ინსტიტუტები: ლითონია და სამთო საქმის, ლი-  
ტერატურის, ხელოვნების ისტორიის, გეოგრაფიის, სატყეო ინსტიტუტები და  
სხვა სამეცნიერო ლაბორატორიები, განყოფილებანი, საცდელი სადგურები და  
ა. შ. შექმნა მათემატიკისთა, მეცნიერ-ენრეგულიკოსთა, გეოფიზიკოსთა, გეო-  
ლოგთა, ქიმიკოსთა, ფიზიკოლოგთა, ფიზიოლოგთა, ისტორიკოსთა და სხვა სა-  
მეცნიერო პროფილის ფუნდამენტურა ნაშრომები, რომელთა შორის სახელმ-  
წიფო პრემიით აღინიშნა 6. მუსხელიშვილის, ი. ბერიტაშვილის, ბ. კუჭტინის  
გამოკვლევები, საქართველოს ქართველის პირველი სახელმძღვანელო, რომ-  
ლის ავტორები იყვნენ გმირებინილი ქართველი ისტორიკოსები ივ. ჭავაძიშვი-  
ლი, ს. ჯანაშია და 6. ბერიტაშვილი. იზრდებოდნენ სამეცნიერო კალებიც  
როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივადაც.

ღირსეულად მოიხადეს თავისი პატრიოტული ვალი ქვეყნისა და ხალხის  
წინაშე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, რომლებიც  
იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს. გმირული სიკუდილით დაცუნენ ბრძო-  
ლის ვეზზე მ. გელოვანი, გ. ნაფეტვარიძე, ა. საჭაბა, ს. ისიანი და სხვ. ომის  
წლებში შექმნა ქართული პოეზიის (გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი,  
ს. ჩიქვავანი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე), პროზის (კ. გამსახურდია, ა. ქუთათელი,  
ა. ბერიაშვილი, ლ. ქაჩელი, დ. შენგელაია და სხვ.) და დრამატურგიის

(ს. შავშიაშვილი, გ. შატბერაშვილ, ს. კლდიაშვილი და სხვ.) მნიშვნელოვანი  
ნაწარმოებები.

საოშაო ყაიდაზე გარდაიქმნა თეატრების მუშაობაც, რასაც დიდი სიძნე-  
ლები შეუქმნა 500-ზე მეტი ახალგაზრდა მსახიობისა და თეატრის მუშაკის  
წასულამ ფრონტზე. ომის წლებში მთავარი ყურადღება დაეთმო თეატრების  
რეპერტუარში ანტიფაშისტურ, სამხედრო-პატრიოტულ და ისტორიულ-გმი-  
რულ თემატიკას. დიდი სამამულო ომის პირველსავე წელს საქართველოში  
ევაკუირებული იყო მოსკოვის სამხატვრო და მცირე თეატრები, ცნობილი  
რეჟისორები და მსახიობები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. კაჩალოვი, თ. კნიპერ-  
ჩეხოვა, თ. მოსკვინი, მ. თარხანოვი და სხვ.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ეწეოდნენ ფართო საშეფო  
მუშაობასაც. ამ მიზნით იქმნებოდა მწერალთა და თეატრის მოღვაწეთა სამხატ-  
ვრო ბრძოლები, რომლებიც ხედებოდნენ როგორც მებრძოლებს ფრონტზე,  
ასევე დატოვილ მეომრებს ევაკუაციონისტულებში. მარტო თბილისის საოპერო  
თეატრმა სხვადასხვა ფრონტებზე გამართა 1500-ზე მეტი კონცერტი ხოლო სა-  
ხელმწიფო ფილარმონია ყოველთვიურად 100-ზე მეტ კონცერტსა და საშეფო  
წარმოდგენას მართავდა სამხედრო ნაწილებსა და ევაკუაციონისტულებში.

სამამულო ომის წლებში საქართველოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდ-  
ნენ ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორები ს. პროკოფიევი, ნ. მიასკოვსკი; დი-  
რიკორები: ა. გაუკი, ა. სტასევიჩი; პიანისტი ა. გოლდენვეიზერი, მევიოლინე  
ბ. სიბორი და სხვ. იმირთებოდა საბჭოთა კომპოზიტორთა სააკერძო საღა-  
მოები. პირველად თბილისში შესრულდა ნ. მიასკოვსკის 22-ე სიმფონია — ბა-  
ლადა და სხვ.

1944—1945 წლებში მოსკოვსა და ლენინგრადში ეწყობოდა ქართული ხე-  
ლოვნების საღამოები, ხოლო თბილისში გაიმართა იმიერკავკასიის მუსიკალუ-  
რი ხელოვნების დეკადა.

1941—1942 წლებში ქართველმა მხატვრებმა შექმნეს ათეულობით შხატ-  
ული პანო, პლატარი, პორტრეტი, სხვადასხვა კარიკატურა. პოლიტიკური  
ლოგუნგი, სატირის „ფანჯრები“ და სხვ.

1942—1943 წლებში თბილისის კინოსტუდიამ გადაიღო ოჩერიანი ისტო-  
რიულ-გვირული ეპოქე „გიორგი სააკაძე“, „ჭურღაის ფარი“, (რომელთა შემ-  
ქმნელ კოლექტივებს სახელმწიფო პრემია მიენიჭა), მრავალი დოკუმენტურ-  
ქრონიკალური ფილმი და სხვ. 1944 წლის პრილში თბილისის კინოსტუდია  
დაკალიფირდა ლენინის ორდენით.

ომით გამოწვეულ სიძნელეთა გადაიღოვის, ფაშისტები გამარჯვების ინტე-  
რესები, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობა მრავალ-  
ეროვანი საბჭოთა ხალხების მჭიდრო შეკავშირება და დარაზმევა კომუნისტური  
პატრიოტის გარშემო იყო ძირითადი მკვებავი წყარო მშრომელთა უმაგალითო  
გმირული შრომისა ზურგში.

სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „1941—1945 წლების  
დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთვის შესახებ“ აღ-  
ნიშნულია, რომ წარუეალი მნიშვნელობა აქვს დიდი სამამულო ომის გაკვეთი-  
ლებს.

საქართველოს მშრომელუბის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იმრჩევან  
მშვიდობისათვის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუ-  
მის გადაწყვეტილების წარმატებით გადაჭრისათვის.

M. V. NATMELADZE

## УЧАСТИЕ ГРУЗИНСКОЙ ССР В ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЕ СОВЕТСКОГО СОЮЗА

### Резюме

На фоне привлечения статистических материалов о человеческих жертвах и материальном ущербе, причиненном второй мировой войной государствам мира, а в частности, о последствиях Великой Отечественной войны, в работе приведены фактические материалы, характеризующие вклад трудящихся Грузии в общее дело победы в Великой Отечественной войне.

В Великой Отечественной войне в Вооруженных Силах из Грузинской ССР находилось свыше 700 тыс. воинов (т. е. почти 19% населения), среди них 23 тыс. офицеров, 46 генералов и адмиралов, 52,6 тыс. коммунистов (т. е. более половины численного состава Компартии Грузии), 160 тыс. комсомольцев, до 16 тыс. женщины. В войне Грузия потеряла более 300 тысяч, т. е. 9% своего населения. С фронта вернулось около 50 тыс. инвалидов войны. За ратные подвиги, проявленные в войне, 164 представителям республики было присвоено высокое звание Героя Советского Союза.

Плечом к плечу с воинами многих национальностей Советской страны тысячи бойцов из Грузии сражались в оборонительных операциях в Прибалтике, в Белоруссии, на Украине и в Молдавии, а также в ожесточенных боях за Брест, Смоленск, Ленинград.

В героической обороне Москвы и при контрнаступлении доблестно сражалась 107-я стрелковая дивизия, за что она была преобразована в гвардейскую, под командованием генерал-полковника, Героя Советского Союза П. Чанчидзе.

В героической обороне Севастополя и боевых операциях за Крым приняло участие большинство из 15 войсковых соединений и частей, сформированных и укомплектованных на территории Грузии с февраля 1942 года.

Многие воины-грузины сражались в битве под Сталинградом. Среди многонациональных воинов, обороняющих знаменитый «Дом Павлова», были и представители Грузии— Мосиашвили, Степанишвили и Цугба.

Одним из самых тяжелых участков Великой Отечественной войны была оборона Кавказа. В составе войск Закавказского фронта

здесь сражалось свыше 200 тыс. воинов из Грузии. Кроме того, в боевых действиях большая помощь войскам была оказана истребительными батальонами, альпинистскими отрядами (их было 12, каждый в составе 295 чел.) и другими формированиями из местного населения республики.

В разгроме фашистской группировки на Кавказе большую роль сыграли 46-я и 18-я десантная армии под командованием генерала К. Леселидзе.

Многие тысячи представителей республики участвовали в разгроме и изгнании немецко-фашистских оккупантов с территории Советского Союза, а также в освобождении народов Восточной Европы от фашизма.

За мужество, проявленное в операциях по оказанию помощи народно-освободительной армии Югославии, летчику А. Манагадзе было присвоено звание Народного Героя Югославии. Многие представители республики сражались в частях движения Сопротивления в Италии, Франции и Голландии. Форе Мосулишвили стал национальным героем Италии.

Великая Отечественная война потребовала перестройки народного хозяйства на военный лад. Грузия приняла множество эвакуированных промышленных предприятий и населения из европейской части страны.

В годы войны промышленность Грузии выпустила продукции на сумму 6614,4 млн. рублей. За 1941—1945 годы Грузия направила Вооруженным Силам более 300 тысяч пистолетов-пулеметов, минометов, огнеметов и основных частей «Катюши», множество самолетов, сотни тысяч снарядов, мин, бомб, гранат и взрывателей, десятки тысяч разных запасных частей для танков, бронемашин, кораблей и т. д.

Труженики сельского хозяйства республики самоотверженным трудом сумели выполнить задачи снабжения Советской Армии и Флота сельскохозяйственными продуктами.

Ученые Грузии проделали огромную работу по изысканию и внедрению в производство ценных видов материалов и разных компонентов для выпуска оборонной продукции.

Деятели литературы и искусства республики провели большую работу по мобилизации всех духовных сил грузинского народа для победы над фашистскими захватчиками.

Население республики проявило высокий патриотизм, собрав на снабжение армии и флота большое количество теплых вещей. В фонд обороны в годы войны трудящимися Грузинской ССР было внесено только деньгами свыше 420 млн. рублей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, იჩქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის სამაშულო ომის ისტორიის განყოფილებაში

П. ГРЕХНЕВ

## В ЕДИНОМ СТРОЮ

(К обороне Кавказа)

В конце июня 1942 года немецко-фашистские войска вышли к нижнему течению Дона и приступили к практическому осуществлению плана по захвату Кавказа (операция «Эдельвейс»).

Для захвата Кавказа гитлеровское командование выделило группу армий «A» в составе 1-й и 4-й танковых и 17-й полевой армий. 11-я немецкая армия, также входившая в состав группы армий «A», находилась в Крыму и приводила себя в порядок после боев в районе Севастополя.

Для захвата Кавказа противник направил 700-тысячную группировку войск, которая имела большой опыт ведения боевых действий и была вооружена современной боевой техникой<sup>1</sup>. Для поддержки наступательных действий сухопутных войск с воздуха противник сосредоточил на аэродромах Крыма и Тамани основные силы авиации 4-го воздушного флота, имевшего в своем составе более 1000 самолетов.

На рубеже нижнего течения Дона к началу боевых действий численное превосходство в силах сложилось в пользу противника: по пехоте почти в 2 раза, по артиллерии и минометам более чем в 2 раза, по танкам в 9 раз и по авиации почти в 8 раз; поэтому перед советскими войсками, действовавшими на Северном Кавказе, в первый период стояла задача остановить имевшимися силами наступавшую на Кавказ немецкую группу армий «A», измотать ее в оборонительных боях и, изменив в свою пользу соотношение сил, перейти затем в решительное наступление с целью полного разгрома всей вражеской группировки<sup>2</sup>.

Вступая на землю Кавказа, противник рассчитывал овладеть огромными богатствами этой экономически важной части Советского Союза, лишить страну и Советскую Армию источников важнейших видов стратегического сырья и, в первую очередь, нефти.

Гитлеровское командование надеялось с захватом Кавказа решить также и внешнеполитическую задачу — подтолкнуть Турцию к наступлению против стран антифашистской коалиции на стороне Германии.

<sup>1</sup> Кикалишвили В. Бой на подступах к Кавказу. В сб.: «Битва за Кавказ», Тбилиси, 1984, с. 190.

<sup>2</sup> Важнейшие операции Вел. Отеч. войны. М., 1956, с. 135.

Через Кавказ немецко-фашистское командование надеялось установить непосредственный контакт с турецкой армией, которая продолжала готовиться к войне против СССР и к лету 1942 года вдвое увеличила количество своих войск в граничащих с советским Закавказьем районах, доведя их численность до 26 дивизий.

Ближайшей задачей своего наступления на Кавказ гитлеровские генералы считали окружение и уничтожение советских войск между Доном и Кубанью. Кроме того, намечалось форсировать Керченский пролив и нанести удар одним корпусом 11-й армии через Таманский полуостров на Краснодар. После решения этой задачи планировалось наступать: 17-й армией — на Новороссийск и Туапсе с целью выхода на побережье Черного моря и последующего развития удара вдоль побережья на Сухуми и Батуми и выхода в Закавказье; 1-й танковой армией — на юго-восток с задачей захватить Грозный, Махачкалу и Баку (срок захвата Баку определялся 25 сентября). Предполагалось также перейти в наступление через перевалы Главного Кавказского хребта на Тбилиси, Кутаиси и Сухуми вдоль Военно-Грузинской, Военно-Осетинской и Военно-Сухумской дорог.

Таким образом, гитлеровское командование планировало осуществить громадные «клещи», обходя Главный Кавказский хребет по Черноморскому и Каспийскому побережьям.

В расчетах на быстрый захват Кавказа делалась ставка на разжигание национальной ненависти между народами, населяющими Северный Кавказ и Закавказье.

Не случайно гитлеровская верхушка в своих директивах указывала: «На Юге использовать в наших интересах возможное наличие противоречий между украинцами и великороссами... На Кавказе использовать в наших интересах противоречия между туземцами — грузинами, армянами, татарами и русскими»<sup>3</sup>.

Но враг жестоко просчитался. Он плохо знал природу советского строя, национальные традиции народов Кавказа, которые никогда не склоняли головы перед врагом. Эти народы глубоко сознавали, кому обязаны тем, что навсегда канули в прошлое нищета, рабство, гнет, что на их земле расцвела новая жизнь. Все это было завоевано, благодаря Советской власти, в результате осуществления ленинской национальной политики.

Битва за Кавказ продолжалась около пятнадцати месяцев с 25 июля 1942 года по 9 октября 1943 года. По развитию событий и последовательности выполнения советскими войсками поставленных задач она разделяется на два периода: первый период (с 25 июля 1942 по 2 января 1943 года), который характеризовался оборонительными действиями, и второй период (с 3 января по 9 октября 1943 г.) — наступательными действиями советских войск. Советская Армия про-

<sup>3</sup> Деятельность Коммунистических организаций Закавказья по интернациональному воспитанию трудящихся. Тбилиси, 1977, с. 245.

вела за это время ряд крупных оборонительных и наступательных операций на Северном Кавказе и в предгорьях Главного Кавказского хребта, которые и составили одну из величайших битв Великой Отечественной войны — битву за Кавказ.

С 26 июля по 17 августа 1942 г. развернулись бои войск Южного и Северо-Кавказского фронтов между Доном и предгорьями Главного Кавказского хребта.

26 июля немецко-фашистские войска, переправив танки и артиллерию, начали наступление с захваченных ими на левом берегу Дона плацдармов. Войска Южного фронта под давлением численно превосходящих сил противника вынуждены были с боями отходить в южном направлении. Положение войск центра и левого крыла фронта к 28 июля резко ухудшилось. Вражеские войска вышли в этот день к реке Кагальник и Манычскому каналу и захватили переправу через канал в районе хутора Беселый. Создалась реальная угроза прорыва врага на Кавказ.

Чтобы объединить усилия и улучшить руководство войсками, действовавшими на Северном Кавказе, Ставка Верховного Главнокомандования (ВГК) 28 июля приказала объединить Южный и Северо-Кавказский фронты в один Северо-Кавказский фронт, передав ему в оперативное подчинение Черноморский флот и Азовскую военную флотилию.

Для создания глубоко эшелонированной обороны и прочного прикрытия Кавказа с севера Ставка приказала частью сил фронта организовать оборону по левому берегу реки Кубань и Краснодарскому обводу.

Для удобства управления войсками Северо-Кавказский фронт был разделен на две оперативные группы: Донскую — под командованием генерал-лейтенанта Р. Я. Малиновского, в группу вошли 51, 37, 12 и 4-я воздушная армии, которые прикрывали ставропольское направление, и Приморскую — под командованием генерал-полковника Я. Т. Черевиченко, объединившую 18, 56, 47 и 5-ю воздушную армии, 1-й отдельный стрелковый и 17-й кавалерийский корпуса, они прикрывали краснодарское направление.

Закавказскому фронту приказывалось — подготовить и занять войсками оборонительный рубеж по рекам Тerek и Урух и перевалам центральной части Главного Кавказского хребта, а на рубеже реки Кума в полосе от Александровской до Минеральных Вод предписывалось выдвинуть усиленные передовые отряды<sup>4</sup>.

В связи с тяжелым положением на Северном Кавказе по указанию Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза и под его непосредственным руководством был предпринят ряд срочных, дополнительных мер по усилению обороны Кавказа. Под руководством Центрального Комитета решались важнейшие воп-

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სახკომისაქომ მთელი რიცი ღონისძიებებით განხორციელეს ომის ვითარების შესაბამისად სოფლის მეურნეობის გარდაქმნის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი ღმავლობისათვის. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1941 წლის 11 ივლისს განიხილა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომისაბჭოსა და სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტორებიდან გამომდინარე მოცანები და ქვეყნად თავდაცვის გაძლიერების მიზნით ჩესპუბლიკის რაონები დაჰყო II ჯგუფად. თითოეულ-

\* მასალა იღებულია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.

მათგანში დანიშნა საქართველოს სსრ სახეობას და საქართველოს კა (8) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული.

სამაულო ომის პერიოდში საკოლმეურნეო შრომის ხასიათის თვისობრივია შეცვლამ თავისი გამოხატულება პოვა შემდეგ მთავარ მოვლენებში:

1. საბჭოთა არმიაში გაწევის შედევად მნიშვნელოვნად შემცირდა კოლმეურნე მაძაფაც ხელისით წინა კოლმეურნეობის შრომისუნარიან წევრთა სერთო რაოდენობაში; 2. მტკ-ების ძირითადი ტექნიკის დიდი ნაწილის ფრინველის საჭიროებისათვის მობილიზაციის გამო, შემცირდა მანქანა-ტექნიკური ბაზა, მრჩივად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შექანიზაციის დონე; 3. საკოლმეურნეო წარმოებაში უპირატესი აღვილი დაიკავა ნაკლებად კვალიფიციური ქალებისა და მოზარდა შრომაშ; 4. მნიშვნელოვნად გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის უნარმოკლებულ მოხუცა და მოზარდა მონაწილეობა. მუშახელის ამ კატეგორიაში შედიოდნენ როგორც დიდი გამოყიდვების მქონე ხანდაზმული კოლმეურნე გლეხები, ასევე ფრინტიდან დაბრუნებული დაწრილი და ინვალიდი წითელიარმიელები, რომელთაც ჰქონდათ საკოლმეურნეო წარმოებაში მუშაობის სათანადო გამოყიდვება და კვალიფიკაცია; 5. შრომის ორგანიზაციის მხერივ ფართო გავრცელება პოვა მემინდვრეობის ბრიგადების შიგნით რგოლურმა სისტემამ. ამ ახალმა სისტემამ გამოიწვია გაუპიროვნების ლიდვიდაცია და ამაღლა რგოლებისა და მისი ცალკეული წევრების შრომის ხარისხი, გაზირდა გამომუშავებული შრომადლეების რაოდენობა და მაღალი მოხატვისათვის შრომადლეების დამატებითი ანაზღაურება; 6. გადიდდა შრომადლეების სავალდებულო მინიჭები, რომლის სრულად გატარებამ ომის პერიოდში განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

ომის ვითარებასთან დაკავშირებით შრომისუნარიანთა საერთო რაოდენობის მუდმივი შემცირების გამო საჭირო გახდა საკოლმეურნეო შრომის მონაწილეთა რიგების შევსების წყაროების გამონახვა. ასეთ წყაროდ ითვლებოდა კოლმეურნე ქალებისა და მოზარდების საზოგადოებრივ შრომაში ჩამო.

საკოლმეურნეო შრომაში მონაწილე ქალთა ხელისითი წინა შრომისუნარიან კოლმეურნეთა საერთო რაცხვში 1940 წელს მხოლოდ 39,3 % -ს შეადგენდა, 1943 წელს კი 61,1 % -ს, რაც ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელი იყო სამატულო მოსის პერიოდში. მათ მიერ საკოლმეურნეო შრომაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა სისტემატურად იზრდებოდა, 1945 წელს გამომუშავებული შრომადლეების რაოდენობა 44 % -ით აღმატებოდა. 1940 წელს გამომუშავებული შრომადლეების რაოდენობას, გაიზარდა მათი შრომის ნაყოფიერებაც.

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კოლმეურნე ქალთა შრომას ომის პერიოდში. იგი წერდა: „ქართველმა გლეხმა ქალებმა ომის დღეებში თავი გამოიჩინეს როგორც სამშობლოს ნამდგილმა პატრიოტებმა. მათ გვიჩვენეს შრომითი გმირობის ნიმუშები ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, ცენახებში, ხორბლის და სიმინდის ყანებში<sup>2</sup>.

რესპუბლიკის კოლმეურნეებმა სამაშულო ომის წლებში მეტად რთული ვითარების მიუხედავად წარმატებით შეძლეს მარცვლეული და სხვა ერთ-

<sup>2</sup> გამ. „პ რ ა ვ დ ა“, 1947 წლის 5 აპრილი.

წლიანი კულტურების როგორც ნათესი ფართობების გადიდება, ისე საშუალო საქეტარო მოსახლიანობის მაღლება, რამაც განაპირობა სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებათა გეგმების ვადამდე და გადაჭარებით შესრულება. სახელმწიფო დამზადებათა ზრდის ტენდენცია, რომელიც წარმოიშვა მის პირველ ეტაპზე, განსაკუთრებით გაღრმავდა მისი დასასრულისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ მოგვაქვს მასალა აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის და მის წევრთა თავდადებული შრომისა და ლიდ სამამულო მშე სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საბჭოთა ხალხთან ერთად საომარ ყარიდაზე გარდექმნა თავისი მუშაობა, მთელი ცხოვრება დაუმორჩილა ფრონტის ინტერესებს, კოლმეურნეობის ორასორმოცდათი წევრი გაწეულ იქნა საბჭოთა არმიაში, შინ დარჩენილმა კოლმეურნეობის წევრებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი შრომითი მიღწევები.

კოლმეურნეობის წინაშე დადგა ამოცანა, მუშახელის შემცირების მიუხედავად, არ შეემცირებინათ ნათესი ფართობი, წარმატებით და გადაჭარებით შესრულებინათ საწარმოო გეგმები და უზრუნველყოთ მეტი მოსავლის მიღება, რათა პროდუქციის მეტი წილი გამოყენოთ ფრონტისათვის, მრეწველობისათვის, ქალაქების მომარაგებისათვის.

კოლმეურნეობაში შრომის სწორი ორგანიზაცია და შრომითი იღმავლობის შედეგად კოლმეურნეობის გამეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ უზრუნველყეს ნათესი ფართობების ზრდა, მოსახლიანობის მაღლება, მეტი სასოფლო-სამუშაო პროდუქციის მოღება და სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებათა გეგმების წარმატებით შესრულება. სამამულო მისი მეორე წელს კოლმეურნეობას სიმინდი ეთესა 65 ჰექტარზე, მოსავალი მიღო 598 ცენტრერი. ჩინს პლანტაციების ფართო 1940 წელს არსებული 129 ჰექტარიდან გადიდებულ იქნა 142 ჰექტარიდან, ხოლო მოსავალი 1940 წლის 2 786 ცენტრერიდან 3 852 ცენტრერამდე. ტუნგოს პლანტაციის ფართობი ამავე პერიოდისათვის 167 ჰექტარი იყო, მოსავალი კი 1 560 ცენტრერი, ნაცვლად 1940 წლისა 378,0 ცენტრერისა და ა. შ.

გაიზარდა პირუტყვის რაოდენობა, კოლმეურნეობამ მთლიანად შეინარჩუნა პირუტყვის ნამატი, რის გამო 1942 წელს კოლმეურნეობას უკვე ჰყავდა 642 სული მსხელფეხა პირუტყვი ნაცვლად 1940 წელს არსებულ 564-ისა, 98 ცხვნი, 183 ცხვარი, 472 თხა, 80 ღორი ნაცვლად 108 ცხვრის, 337 თხის და 50 ღორისა, რაც 1940 წელს იყო კოლმეურნეობაში და ა. შ. ამაღლდა მოსავლიანობაც, თითოეულ ჰექტარზე უფრო მეტ მოსავალს იღებდნენ, ვიდრე მიღებულ ჰერიონებში. მაგ., 1943 წელს თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 11 ცენტრერი თმბაქო, მაშინ როდესაც 1940 წელს მხოლოდ 7,3 ცენტრერ თმბაქოს იღებდნენ. ჩინს მწევანე ფოთოლი თითოეულ ჰექტარზე 27,1 ცენტრერი იქნა მოკრეფილი.

გადაჭარებით იქნა შესრულებული წველადობის გეგმაც. თითოეულ საფურავე ძროხაზე მიღებულ 896 ლიტრი რძე, გეგმით გათვალისწინებული 600 ლიტრის ნაცვლად და ა. შ.

კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომის შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობის დოვლათი, მისი ფულადი შემოსავალი. 1943 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 5 264 939 მანეთს აღწევდა, რაც 1940 წლის შემოსავალს 2,6-ჯერ აღემატებოდა. ფულადი შემოსავალის ასეთი მკვეთრი ზრდა მი-

წეულ იქნა არა მატრიც ტექნიკური კულტურების მაღალი მოსაელიანობის შე-  
სუგად, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მწვანე ფოთლის დამზადების  
ფასების გადიდების მეოხებით. მით გაიზარდა კოლმეურნეობის და კოლ-  
მეურნეთა მატერიალური დაინტერესება ჩაის წარმოების გადიდებით;

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა, შეჩინების  
მეცნიერებისა და მეთამბაქეობის აღმავლობაში დიდი როლი შეისრულა სსრ  
კავშირის საქომსაბჭოს 1944 წლის 21 იანვრის დაგენილებაში „საქართვე-  
ლოს სსრ სოფლის მეურნეობის და ჩაის მრეწველობისაღმი დახმარების გა-  
დაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ერთიობად და ერთისამაღ გაიზარდა  
დამზადების ფასები ჩაიზე, ყურძენზე და სხვ.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი გამოხატა იმითაც,  
რომ მათ ნებაყოფლობით შექვენდათ დანაზოგი სახსრები საბჭოთა არმიისა  
და სამხედრო-სახლვათ ფლოტის შესაირალებლად. ეს პატრიოტული მო-  
ძრაობა დაიწყო თითქმის ომის დაწყებისთვავე და 1942 წლისათვის ფარ-  
თო ხსიათი მიიღო.

1941 წელს საქართველოს მშრომელთა თავდაცვის ფონდში შეიტანეს  
48 900 ათასი მან, 3,9 კგ. ოქრო, 389,9 კგ. ვერცხლი, აგრეთვე შინშენელო-  
ვანი რაოდენობით პლატინა და უცხოეთის ვალუტა. გარდა მისა, თავდაცვის  
ფონდში შეიტანეს ასობით ტონა პროდუქტი, ხოლო საბჭოთა არმიის XIX  
წლისათვათან დაკავშირებით ფრონტს გაუგზავნეს 65 ვაგონი და ასევე, ათა-  
სობით ინდივიდუალური საჩუქრები<sup>3</sup>.

ლენინის სახელმწიფო კოლმეურნეობის წევრების წელილი ამ მოძრაობაში  
თვალსაჩინო იყო. წითელი არმიის დასახმირებლად ყოველწლიურად თავ-  
დაცვის ფონდისათვის ოცდანენ 10 ჰექტარ სიმინდა, თავდაცვის ფონდში  
შექვენდათ ფეული, აგრეთვებდნენ თბილ ტანსაცმელს, გზავნილენ საჩუქრებს,  
ერთსულოვნად ავტოცელებდნენ სახელმწიფო სესხს და ლატარიის ბილეთებს,  
შეფობას იღებდნენ სამხედრო პოსტიტულებზე, აწყობდნენ სხვადასხვა კვი-  
რეულებს და სხვ.

საკოლმეურნეო სოფლის პატრიოტული ინიციატივა ფრონტისაღმი და-  
ხმარების გაძლიერების რიგებში სულ სხვადასხვა ფორმებსა და ფართო გა-  
საქანს იღებდა. ამ პატრიოტული მოძრაობის წამომწებები ტამბოვის ლექის  
კოლმეურნები იყვნენ. ეს ინიციატივა ფართოდ იტაცეს საქართველოს  
კოლმეურნებმა. საქართველოს კოლმეურნებმა თავიათო სახსრებით ააგეს  
სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნე“. რომლის ფონდში შეიტანეს  
110 მლნ. მანეთზე მეტი, საბრძოლო თვეთმთრინავების ესკადრილის „საბ-  
ჭოთა საქართველოს“ ასაგებად ფონდში შეიტანეს 151 მლნ. მან. და ა. შ.

„საქართველოს კოლმეურნეის“ მშენებლობის ფონდში ლენინის სახელო-  
ბის კოლმეურნეობამ შეიტანა 467 ათასი მანეთი. მხოლოდ კოლმეურნეობის  
თავდაცომარემ გოორგი ჯგუბურიამ 300 000 მანეთი, კოლმეურნეთა სახელით  
მან შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა სტალინს:

„გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის არტელის კოლ-  
მეურნე მამაკაცებმა და ქალებმა, რომლებიც შეიარაღებულნი არიან თქვენი

<sup>3</sup> დამზადებულია კოლმეურნეობის 1941—1945 წელების წლიური ანგარიშების მონაცემების  
მიხედვით, რაიონის რაიანებით, ფონდი 13, ხე. 21—25.

\* გან. „კომისიისტი“, 1942 წლის 23 თებერვალი.

5. „გ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1985, № 2



ტარიღული მოთხოვებით, აქვთ რა მგზნებარე სურვილი ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ჩვენს წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპურობთა საბოლოო განადგურების დაჩქარების საქმეში, — წარმატებით დამთავრეს 1942 წელი. გაულ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარა: 108 000 კგ. ჩას მწვანე ფოთოლი, — წლიური გეგმა 144 % -ით — შესრულა, სახელმწიფოს ჩაბარა 16 500 კილოგრამი თამბაქო ანუ გეგმის 138 პროცენტი, ტუნგოს ნაყოფი 70 ტონა, ნაცვლად გაგმით გათვალისწინებული 26 ტონისა. ვადაზე აღრე შევასრულეთ რა კულა სახელმწიფო ვალდებულება და მეცნოველეობის განვითარების გეგმა, სამრეწველო საწარმოთვის და ქალაქების მოსახლეობისათვის ჩავაბარეთ 120 ფუთი ხორცი და ცხმი, 1943 წლის სახელმწიფო დამზადების ანგარიშში ჩაბარებულია 2 600 კილოგრამი ხორცი.

ჩვენი არტელის კოლმეურნე კაცებმა და ქალებმა წითელ არმიას საჩუქრად გაუგზავნეს თბილი ნივთები და კვების სხვადასხვა პროდუქტი 500 ათასზე მეტი მანეთის ლირებულებისა. გარდა ამისა, შევასრულეთ კვლა სახელმწიფო ვალდებულება და ჩვენი პირადი მარავიდან სახელმწიფო ფასებში მოსახლეობის მომარავების ფონდში შევიტანეთ 500 ფუთი მარცვლეული და 200 ფუთი ხორცი.

თქვენი ისტორიული მოხსენებითა და საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობისადმი თქვენი საბასუხო დეპეშით აღფრთოვანებულებმა ჩვენი არტელს წევრებმა დიდი სიხარულით მიიღეს მონაწილეობა სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ ასაგებად სახსრების შეგროვებაში. პირადად მე ჩემი დანახვიდან 300 000 მანეთ შევიტანე.

ჩვენი არტელის კოლმეურნეები სიტყვას გამოივთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ისინი 1943 წელს კიდევ უფრო უკეთესად იმუშავებენ და არაფერს არ დაიშურებენ წითელი აღმიისათვის დახმარების გასწევად გერმანელ ფაშისტ ბანდიტთა განადგურების დაჩქარების საქმეში.

გისურვებოთ თქვენ, ჩვენი დიდო მხედართმთავარო იოსებ ბესარიონის ძევ, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს შშრომეულებისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ!

ამ წერილის საბასუხოდ ოქუმელმა კოლმეურნეებმა სტალინისაგან ახეთი დეპეშა მიიღეს:

„შადლობელი ვარ ლენინს სახელობს კოლმეურნეობის კოლმეურნე კაცებისა და ქალებისა და პირადად თქვენი, ამხანაგო ჯგუბურია, წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალაში და წითელი არმიის მაღლობა“.

ი. ბ. ტალინის დეპეშის მიღებისათვალი კოლმეურნეობაში ხალხმრავალი მიტინგი მოეწყო. წაიკითხეს ი. ბ. სტალინის დეპეშა, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მიტინგი საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. ი. ბ. სტალინის მაღლობით აღფრთოვანებული კოლმეურნენი მიტინგზე ახალ ვალდებულებებს იღებდნენ საკოლმეურნეო შრომის უკეთ წარმართვისათვის.

სიმინდის მოღალი მოსავლის განთქმულმა ოსტატშა, კოლმეურნეობის ბრიგადირმა, აფხაზეთის ასარ უმაღლესი საბჭოს დეპუტატშა ჩიქოლი ქვა-ჩაბამ განცხადა:

„ჩვენი კოლმეურნეობიდან ბევრი წაიღდა ფრონტზე, ისინი ზუსტად ურტყამენ მტერს, ჩვენ, ზურგში დარჩენილები, მზადა ვართ, როცა საჭირო.

გახდება, იარაღით ხელში გამოიყენეთ სამშობლოს დასაცავად, ფაშისტების გასანადგურებლად, საბოლოო გამარჯვებაზე. მანამ კი ჩვენ, პატიოსანი საკოლმეურნეო შრომით უურტყამთ მტერს ი. ბ. სტალინის დეპეშის მიღების შემდეგ ჩვენი ეს შრომითი დარტყმა გერმანიის ფაშისტების უფრო დამანგრეველი ძალისა იქნა. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვიღებ თოთოულ სრულმძღვანელიანი ჩის პლანტაციიდან 6 000 კგ. ჩის მწვანე ფოთოლი მიკვილონ“. თავის მხრივ ქვეახიამ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილის „საბჭოთა საქართველოს“ შენებლობისათვის 30 000 მანეთი შეიტანა. ტრიბუნაზე იგი 70 წლის თემი შამათვამ შეცვალა, მან თქვა: „ჩემი ორი შვილი ფრონტზეა. ისინი მეფეგრად იბრძვიან ჩვენი წითელი ორმიის რიგებში. მესამე შვილი მალე წავა, მე მათი მჯერა ისინი არ მიღალატებენ, არ ულალატებენ სამშობლოს და იბრძოლებენ სისხლის უკანასკნელ წევთმდე, მტერზე საბოლოო გამარჯვებამდე. მე, ჩემი მხრივ, განსაუთრებული ენერგიით ვიმუშავებ, რომ უფრო მეტი პროდუქტია მივცე ქვეყანას, ხოლო წითელი ორმიის დახმარების ფონდში 5 ათასი მანეთი შემძევს“.

ამაღლვებელი იყო კოლმეურნე ქალის ახვლედიანის გამოსვლა. მან აღინიშნა, რომ იგი ობოლი იყო, კოლმეურნეობამ გაზიარდა. „საკოლმეურნეო წყობილება რომ არ ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება მწარე და უსიხარულო იქნებოდა“. „ახლა კი — განაცხადა ხატამ, ჩემს თავს სრულუფლებიან საბჭოთა დამშიანად ვთვლი“. 1942 წელს მან 310 შრომადლე გამოიმუშავა, ხოლო 1943 წლისათვის სულ მცირე 450 შრომადლის გამომუშავება იკარა. ხ. ახვლედიანმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილის ასაგებ ფონდში 10 000 მანეთი შეიტანა. კოლმეურნეობის თავმჯდომარებრ გ. ჯგუბურიამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „მრისხანე განსაცდელი მოველინა საბჭოთა ხალხს, მაგრამ დიდი და ძლიერი ჩვენი ხალხი დაძლევს ამ სისწელებს, რასაც ჩვენი ორმიის წარმატებები და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა აღსატურებს. ი. ბ. სტალინის მაღლობის ცხოველი სიტყვები აღვაფრთვანებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის და გვავალებს ძალების მეტ დაძაბეს ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად“. ი. ბ. სტალინის დეპეშის საპასუხოდ კოლმეურნეობა კისრულობდა 1943 წელს თავდადებული სტახანოვური შრომით უზრუნველეყო სახელმწიფოსათვის გეგმის გადაჭრებით 1 250 ცენტნერი ჩის მწვანე ფოთლისა და 200 ცენტნერი თამბაქოს ჩაბარება, თავდაცვის ფონდისა თვის გეგმის ზევით 10 ჰექტარი სიმინდის დათვება, ხოლო საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში შეგროვებულ იქნა 1 020 000 მანეთი.

მიტინგმა მისასამებელი დეპეშა გაუგზავნა. ი. ბ. სტალინს, სადაც აცნობა კოლმეურნეთა მიერ აღებული ვალდებულებები, მათი წელილი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ოქუმელმა კოლმეურნეობმა ხელმორედ დაიმსახურეს ი. ბ. სტალინის მაღლობა: „გადაეცით ჩემი ძმური სალაში და წითელი ორმიის მაღლობა ლენინის სახელმის კოლმეურნეობის წევრებს, რომლებმაც დამატებით შეაგროვეს მილიონ ოცი ათასი მანეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად“.

საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა ორმიის კაშირშა და ერთიანობაშ თავი იჩინა არა მარტო ზურგის შეუფერხებლად მუშაობაში, არამედ ორმიის შესაიარებლად ნებაყოფლობით სახსრების შეკრებაში, თბილი ტანსაცმლისა

და საჩუქრების მეომრებისათვის შეგროვებაში, სახელმწიფო სამხედრო სესხის, ობლიგაციებისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციაში. ომის დროს სახელმწიფოს გაზრდილი ხარჯების დასაფარავიდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო სესხის გავრცელებას. საქართველოს კოლმეურნენი, მათ შორის ლენინის სახელობის ოქუმის კოლმეურნენი სესხზე ხელის მოწერის დროს თითქმის სრულიად იხდიდნენ მათ ღირებულებას. გადასახადებზე, შესატანზე და ობლიგაციების შეძენაზე მიღიოდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის 10—15 პროცენტი.

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნებს, როგორც ზურგში მომუშავე მებრძოლებს უშუალო მიწერ-მიწერა ჰქონდათ დაყყარებული ფრონტის მებრძოლებთან. წითელი არმიის სახელმოვანი გამარჯვების დღეებში, როცა მოსპობილ იქნა მტრის უდიდესი დაჯგუფება სტალინგრადთან და ფრონტის მებრძოლებთან. ლენინის სახელობის კოლმეურნების წევრებმა უპატაკეს ლონის ფრონტის მებრძოლებს თავიანთი შრომის შედეგების შესახებ და ვალდებულებაც იღეს, რომ 1943 წელს კიდევ უფრო გააღიდებდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს, 25 სტახოვურ ჰერტარზე იღებდნენ საშუალოდ 400 ფუთ სიმინდს, ხოლო დანარჩენ ფართობზე 17—17 ცენტნერს, თავდაცეს ფონდისათვის დათხესლენ 10 ჰერტარზე მარცვლეულს, სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩააბარებდნენ ჩიის მწვანე ფოთოლს, თმბაქოს და ა. შ.

ლენინის სახელობის კოლმეურნების წევრები თავდადებული შრომით უზრუნველყოფნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალიანობას, პირათლად ანალდებენ თავიანთ ვალდებულებებს, სამშობლოს და წიოელი არმიის ძლიერების განსამტკიცებლად.

საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცებაში, მაღალი მოსაველიანობის მიღწევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შთელმა რიგმა „ლონისძიებებმა. ასეთია, მაგალითად, სსრ კავშირის სახელმისამართისა და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 აპრილის დადგენილება: „საქართველოს სს რესუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხვოველების პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“, 1942 წლის 13 აპრილის დადგენილება „კოლმეურნებისათვის შრომადლების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ“ და ა. შ.

აღნიშნული დადგენილებები წარმოადგნდნენ თავიანთი შრომის შედეგებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების მნიშვნელოვან ღონისძიებებს და იწვევდნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალ განვითარებას.

სოფელ იქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნები სამამულო ოშის პერიოდში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შეუნდებელ ყურადღებას მაღალნაყოფიერი შრომით უპასუხებდნენ. არ ყოფილა არც ერთი შრომისუნარიანი წევრი, რომელსაც შრომადლების სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავებინოს. თითოეული კოლმეურნის შიერ საშუალოდ გამოიმუშავებული შრომადლების რიცხვი განუწვერლივ იზრდებოდა. თუ 1941 წელს თითოეულმა კოლმეურნებმ საშუალოდ 243 შრომადლე გამოიმუშავა, 1943 წელს გამომუშავებულ შრომადლეთა რიცხვი 260-მდე გაიზარდა.

საკოლმეურნეო შრომაში ჩაება მოხუცები და ახალგაზრდობა. ცაცუ ნებულიშვილი, თამარ დემიანოვსკაია და სხვები, რომელთა რიცხვი 40-ზე აღწევდა, მიუხედავად ხანდაზმულობისა დაუბრუნდნენ საკოლმეურნეო შრომას და წარმატებით შრომობდნენ ახალგაზრდებთან ერთად. საკოლმეურნეო შრომაში სათანადო წვლილი შეიტანეს მოზარდებშა — საშუალო სკოლის მოსწავლეებში, რომლებიც მატერიალუბლების ხელმძღვანელობით ემაჩებოდნენ კოლმეურნეობას ფრონტზე წაშული მამების, მების ნაცელად. 1941—1943 წლების მანძილზე ოქუმის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კოლმეურნეობაში 36 500 შრომადღე გამომუშავეს და სათანადო ფულადი და ნატურალური ანაზღაურება მიიღეს. მათ შრომით წარმატებისათვის მათ აფხაზეთის ასრ განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ალკა აფხაზეთის საოლქე კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ და ჯილდოდ მიიღეს ფიზიკა და ქიმიის კაბინეტების სრული მოწყობილობა.

სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული გავრცელება პოვა სტაბანოვის მექტარების სისტემაში. სტაბანოველთა რიცხვია კოლმეურნეობაში :50-ს მიაღწია. მოწინავე სტაბანოველებმა ჩ. ქვაჩახიამ, გ. შამათავაძე, ლ. გონიამ, ს. ახელედიანშა, ლ. წირლვავაძე, მ. ხელედიანშა, ს. ჯუმურიამ, კ. ბულისქერიამ, ქ. ლაცუბაბაამ და სხვებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, დღიურ ნორმებს 500—700 პროცენტით ასრულებდნენ.

სიმინდის სარეკორდო მოსავლის ოსტატმა ჩ. ქვაჩახიამ 1944 წლის საგაზიაფხულო თესვის მომზადების დღეებში გაღის რაიონის კოლმეურნე სტაბანოველთა სარაიონო შეკრებაზე მოწოდებით მიმართა კოლმეურნეებს, რომ სტაბანოვური მექტარების კარგად დამუშავებით უზრუნველყოთ სიმინდის მაღალი (64—80 ცენტერი): ამავე ძროს ჩოქოლი ქვაჩახიამ შეკრების მონაშილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება სიმინდის ყანის დამუშავების საქმეში, ხოლო საქართველოს კპ (ბ) გაღის რაიონმა 1944 წლის იანვარში მიიღო სპეციალური დადგენილება ჩ. ქვაჩახიას შეთოლის ფართოდ დანერგვის შესახებ.

ეს წარმოადგენდა სოციალისტური შრომის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს, სოციალისტური შრომის ერთი მუშაკის წარმატებები მარტო მის კუთხით მდგრადი როდი წარმოადგენს, არამედ მთელი საპროთა ხალხის კუთვნილება იყო, მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, შემოქმედებით შრომაში კიდევ უფრო დიდი წარმატებების მიღწევის ემსახურებოდა.

სამამულო ომის პერიოდში საკოლმეურნეო შრომაში მნიშვნელოვანი როლი კოლმეურნე ქალებმა შეასრულეს. საქართველოს კოლმეურნე ქალებმა არმიისა და ფლოტის მებრძოლთათვის თბილი ტანკაცმლისა და სახუჭრების შეგროვება იყიდებოდა. მარტო 1942 წლის კოლმეურნეებმა 175 ვაგონი სხვადასხვა საჩუქარი გაგზავნეს ფრონტელთა და, თავდაცეითი საშარმოების მუშებისა და ქალაქის ინტელიგენციის მომარავების გასაუმჯობესებლად, დამზადების ფასებში სახელმწიფოს ჩაბარებეს 254 ფუთი სასოფლო-სამუშარნეო პროდუქტი. მომრავლდა ნოვაზორ ქალთა რიგები. სოფე ლოქმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ქალები დიდ ძალას წარმოადგენდნენ. მათ შეცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები, თავიანთი ქმრები, მამები, მები და ისინი შრომით წარმატებებს წარმატებებზე აღწევდნენ. მათი შრომის მა-

ჩვენებლები ბევრ შემთხვევაში აქტარბებდა მამაკაცების შრომის შედეგებს. საკოლმეურნეო შრომაში მონაწილე შრომისუნარიანი ქალების რაოდენობამ 1945 წელს უკვ 247 მიაღწია. სამამულო ომის პერიოდში ისინი არა მარტო კრეფლენენ ჩაის მწვანე ფოთოლს, არამედ კიდევაც ხნავდნენ და ამჟამად დაბლენენ სიმინდსაც, თამაბაქოს ფართობებს, კარგად უვლიდნენ მუშა და პროდუქტულ პირუტყველ და ა. შ.

საკოლმეურნეო შრომის წარმატებები სამამულო ომის პერიოდში ყოვლწლიურად მატულობდა, რის მკაფიო მასევენებელია კოლმეურნეობის უულადი შემოსავალი, რომელმაც მისი დამთვრების წელს, 1945 წელს, 6.118 728 მანეთს მიაღწია, რაც სამჯერ აღმატებოდა 1940 წელს მიღებულ უულად შემოსავალს. მიღებული უულადი შემოსავლიდან 417 149 მანეთი სახელმწიფო გადასახადთა და გამოსალებთა დასაფარვად იქნა გაღებული, 917 810 მანეთი გადაირიცხა განუყოფელ ფონდი. ხოლო 4 302 747 მანეთი გაუმულ იქნა კოლმეურნეებზე შრომადლების ფულადი ანაზღაურების სახით.

1945 წელს თითოეულ შრომადლეზე გაცემულ იქნა 34 მანეთი და 90 კაცი ფულად და 3,0 კოლოგრამი მარცვლეული, რაც კუელაძე უფრო მაღალი ანაზღაურება იყო სამამულო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ წარმატებებს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მიაღწია სამოფლო-სამურნეო არტელის წესდების ზუსტად და განუხრელად განხორციელებით, შრომის დისციპლინის შტრიცედ დაცვით და თავითი შრომის შედეგებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებით. ასეთი წარმატება, მოპოვებულ იქნა კოლმეურნეობის გამეობის და მისი თავმჯდომარის გ. ჯგუბურიას უნარიანი ხელმძღვანელობით, რომელიც სწორად წარმართავდა კოლმეურნეობის კადრებს სამეურნეო სამუშაოთა სხვადასხვა უბანზე.

კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციულად განმტკიცება-ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციაში შეასრულა. იგი კარგად იცნობდა კოლმეურნეობის ყოველდღიურ მუშაობას, მის ეკონომიკის, ბრიგადებისა და კოლმეურნეობის საქმიანობას. პარტიული ორგანიზაცია საკოლმეურნეო შრომის აღმავლობის ინიციატივით იყო, ხელმძღვანელობდა სოციალისტურ შეჯიბრებას, სტაბანვეურ მოძრაობას. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მუდმივ გამარჯვებული გამოდიოდა გადას რაიონის სოფელ ზემო ბარების კოლმეურნეობა „გიგანტთან“ შეჯიბრებაში. პარტიული ორგანიზაცია უზრუნველყოფდა ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებას, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, საწარმოო გეგმების შესრულების ყოველწლიურ კონტროლს და სახავდა ღონისძიებებს ჩამორჩენილი უბნებისა თუ ბრიგადების მუშაობის გასაუმჯობესებლად: პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა პოლიტიკური განათლების საქმეს, როგორც ცნობილია პოლიტიკური შეგნებულობა მყარი საწარმოო წარმატებების საფუძველია. სისტემატურად ეწყობოდა ლექციები, კონსულტაციები, საუბრები, პოლიტიკურმაცია, როგორც სამამულო ომის საკითხებზე, ისე საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის საევანგელიკონთხოვებზე, ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულზე და ა. შ. პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა და წარმართავდა კლუბ-სამკითხველოს მუშაობას, სოფლის ინტელიგენციის საგანმანათლებლო მუშაობას კოლმეურნეობაში.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისიები და ბრიგადები, რომელიც სწავლობდნენ სამხედრო მოსამასხურეთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს და საჭირო დახმარებას უწევდნენ მათ. 1943 წლის თებერვალში ჩატარდა ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეული და მიღებული შემოსავალი ფრონტელთა ოჯახებს მოხმარდა. კოლეგიურნეობამ მოუხნა და დაუთხსა საკარმილომ ნაკვეთები 160-ზე მეტი ფრონტელთა ოჯახს, ხოლო ზამთრისათვის შემთხვევაში მოამარავეს ასე მეტი ოჯახი.

საბჭოთა მთავრობამ საქართველოს სოფლის მურნეობის 500-ზე მეტი მოწინავე სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოვა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 ივნისის ბრძანებულებით, მრავალ მოწინავე კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს გადაეცა ლენინის ორდენი. ზურგის გვარდიულებად იწოდებოდნენ მხვნელ-მთესველები ჩ. ქაჩახია, ს. კობალაძე, ი. მელიქიშვილი, მექარელე ს. მარიაშვილი, მეცხოველე მ. პლიევი, მეჩაიე ქ. საჩასანია და დ. ტაიძე, კოლმეურნეობების თავმჯდომარები, გ. ჯგუბურია, ვ. გოგოხია, ი. ქაგოვაძე და მრავალი სხვა ნოვატორი.

სამამულო ომის პერიოდში საკოლმეურნეო შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და გარდამავალი დროშებით აქტიური 1941—1943 წლებში აფხაზეთის ასსრ მიწსახმის გარდამავალი დროშის მოპოვება სასოფლო-სამეურნეო გეგმების ვადაზე აღრე გადაჭარბებით შესრულებისათვის, 1944 წელს კი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიღება 1944 წლის თესვის გეგმის დაწესებულ ვადებში და გადაჭარბებით შესრულებისათვის და ა. შ.

სამამულო ომის პერიოდში ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცებულ იძრიძოდა მტკრჩე გმიარვებისათვის და უზრუნველყოფდა საკოლმეურნეო წყობის კიდევ მეტ ზრდა-განმტკიცების.

შეუჩენების სოციალისტურმა სისტემაზ და მასთან ერთად საკოლმეურნეო წყობილებამ ნათლად დაადასტურა თავისი უპირატესობა და პროგრესულობა არა მარტო შეიძლებინი შენებლობის პერიოდში, არამედ სამამულო ომის რთულ პირობებშიც. სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ, საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლიდ წარმატებით გაუძლო სამხედრო დროის ზველზე უფრო მკაცრ პირობებს, სერიოზულ სინერგებს და, დიდი დანაკლისის მიუხედავად, უზრუნველყო სოციალისტური მრეწველობა სათანადო ნედლეულით, ხოლო ჩვენი გმირი არმია და საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობა ჰურითა და სურსათით.

საკოლმეურნეო წყობილების წარმატებანი და სიმტკიცე ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავისადმი ასე შეაფასა:

„საბჭოთა კავშირის გლეხებმა, რომლებმაც შვეიცარიანი შენებლობას წლებში საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე მოწინავე სოფლის მეურნეობად გარდაქმნეს ჩამორჩენილი მიწათმოქმედება, სამამულო ომის დროს გამოიჩინეს სოფლის ისტორიაში არახაული მაღალი შეგნება საყოველთაო-სახალხო ინტერესებისა. მათ ფრონტის დასახმარებლად თავდადებული შრომით ცხადყენეს, რომ საბჭოთა გლეხობას გრძანელთა წინააღმდეგ ახლანდელი ომი თავის საასებო საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლები-სათვის ომად მიაჩინა... ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები

ისე ამარაგებდნენ სურსათით არმიასა და ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საქმეში სერიოზული შეფერხებები არ ყოფილია. რასაკვირველია, საკოლმეურნეო წყობილება რომ არა ყოფილიყო, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა თავდადებული შრომა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ამ უძნელეს ამოცანას ვერ გადავწყვეტდით. თუ ოშის მესამე წელს ჩვენი არმია სურსათის ნაკლებობას არ განიცდის, თუ მოსახლეობა მარაგდება სურსათით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით, ამაში თავი იჩინა საკოლმეურნეო წყობილების ძალაშ და სიცოცხლისუნარიანობამ, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმა<sup>5</sup>.

Т. И. ЖЕНТИ

## СОВЕТСКОЕ СЕЛО В ПЕРИОД ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОИНЫ

Резюме

Победа нашего народа в Великой Отечественной войне в немалой степени была обеспечена великим подвигом тружеников тыла. Из колхоза имени Ленина села Окуми Абхазской АССР на войну было мобилизовано почти все трудоспособное мужское население. Для возмещения наиболее трудоспособных и квалифицированных кадров, ушедших на фронт, в общественное производство были вовлечены женщины, ветераны труда и подростки. На плечи женщин, старииков и молодежи допризывного возраста легла вся тяжесть тяжелого крестьянского труда.

Труженики села Окуми, стремясь внести наибольший вклад в дело победы над врагом, сознательно шли<sup>6</sup> на жертвы и лишения во имя всемерной помощи действующей армии и флоту. С этой целью были организованы сбор средств в фонд Советской Армии, на строительство боевой техники и вооружения, посылка подарков воинам, подписка на государственные военные займы.

В суровых условиях войны, при острой нехватке рабочих рук, тракторов, сельскохозяйственных машин труженики села Окуми своим самоотверженным трудом внесли свою лепту в снабжение армии продовольствием и в общую победу над врагом.

წარმოდგინა სიქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის იუ. ჯგა-  
ხიშვილის სახ. ტსტორის, აზეროლოვისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის  
სიქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებაში.

<sup>5</sup> ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამაშულო ოშის შესახებ, თბ., 1951., გვ. 221—222.

## თავაზ ჩარაპა

სახლვაო ვაპრობის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში

დღემდე ფაქტობრივად არ ყოფილა საგანგებო ქალევის ობიექტი. ამ მხრივ ვამონაკულისა ქველი ჩხატარაიშვილის საქანდიდატო ნაშრომი, სადაც გარეული ყურადღება ეთმობა გურიის სამთავროს ნაეჭადგურებში ბაჟის აკრეფის წესს<sup>1</sup>.

საზღვაო ვაჭრობა მნიშვნელოვნად არის დამკიდებული სავაჭრო ნავიგაციის სეზონის ხანგრძლივობაზე, ბაჟის აკრეფის წესზე და ასეთი ბაჟის სიდიდეზე კონკრეტული ქვეყნის ნაემისადგომებში.

შუა საუკუნეებში შავ ზღვაზე ნაოსნობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ სავაჭრო ნავიგაცია წელიწადის თბილი დროით იყო შეზღუდული.

შავი ზღვა ზამთრობით თითქმის არასოდეს არ იყინება. მიუხედავად ამისა ცივი ამინდის ანუ „ზამთრის“ დადგომის შემდეგ ამ ზღვაზე სავაჭრო ხომალდების მიმსვლა წყდებოდა და მომავალი წლის გზააუსულზე ახლდებოდა. ამის მიზნის იყო ის ძლიერი ქარები, რომელიც შავ ზღვაზე წელიწადის ცივ დროს იცის. ამასთან დაკავშირებით არქანელოლომბერტი (XVII ს.) საგანგებოდ აღნიშნავდა: „შავი ზღვა ძალზე მღელვარეა და ამიტომაც ძლიერ სანიფათოა ამ ზღვაზე ზამთარში მოგზაურობა“<sup>2</sup>.

IV-V სს-ში სანაოსნო სეზონი ბიზანტიაში შარტის შუა რიცხვებიდან შუა ნოემბრამდე გრძელდებოდა<sup>3</sup>. ფაქტობრივად ასეთი იყო ნავიგაციის ხანგრძლივობა ხმელთაშუა ზღვის აუზში. შავ ზღვაზე კი, რომელიც უფრო ჩრდილოეთი მდებარეობს იმპერიის ფლოტისათვის სანაოსნო სეზონი შედარებით ხანმოქლე იყო.

კ XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში შავი ზღვა გენუელებმა აითვისეს. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პაზიმერი (1242—1310) აღფრთოვანებით წერდა გენუელ მეზღვაურთა ოსტატობაზე, რომლებიც შავ ზღვაზე ზამთრობითაც დაცურავდნენ. სულ მალე, XIV ს-ის პირველ მეოთხედში, გენუის ხელისუფლებმა თავის ქვეშევრდომებს პირველ ნოემბრიდან პირველ მარტამდე ამ ზღვაზე ნაოსნობა აუკრძალა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ნაჩვევანი), ხელნწერი, 1963, გვ. 349—400.

<sup>2</sup> არ ქანჯვალობა მეზღვაურთა სამეცნიერო აღწერა, თბ., 1938, გვ. 179.

<sup>3</sup> История Византии, т. I, М., 1967, გვ. 113.

<sup>4</sup> G. J. Bratianu, Actes des notaires genoises de Père et de Caffia de la fin XIII e siècle (1281—1290), Bucarest, 1927, გვ. 63—64.

შარდენის ცნობით, გვიან შუა საუკუნეებში, შავ ზღვაზე სანავიგაციის სტანდი პრილიდან ოქტომბრიდე გრძელდებოდა: „თურქ მოგზაურებს მტკიცე წესად აქვთ შემოლებული ზღვაში წმ. გიორგის დღეს, პრილის დამდეგს გასცელდა და ნავსადგურში წმ. ლემეტრეს დღეს, ოქტომბრის დასაწყისში შემოსცელა“<sup>5</sup>.

ამ საუკუნეებში პრილის-ოქტომბრის თვეებით შავ ზღვაზე, საფიქრებელია, შორეული ნაოსნობის სტანდი იყო განსაზღვრული, რადგან შარდენის ძიხედვით კაბოტაური ნაოსნობა საქართველოს ნაპირებთან ნოემბერშიც გრძელდებოდა<sup>6</sup>. ანალოგიური ვითარება იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთშიც, სადაც კაბოტაური ნაოსნობა XIX ს-ის პირველ ნახევერ-შიც პრილიდან ნოემბრის ბოლომდე გრძელდებოდა<sup>7</sup>.

ძალზე ძნელია დადგინდეს ის დრო, რომელიც შუა საუკუნეებში შავი ზღვის უმნიშვნელოვანესი ნაესადგურებიდან საქართველოს ნაპირებიდე ან კიდევ პირიქით, ხომალდის ცურვას ჭირდებოდა, რადგან ნაოსნობის ხან-გრძლივობა დამოკიდებული იყო ამინდზე, საზღვაო ნავის ტიპზე და მისი კა-ნიტანის გამოყიდვებაზე.

XII ს-ის გეოგრაფიის ედრისის ცნობით, კონსტანტინეპოლიდან ტრაპი-ზონამდე ზღვით 9 დღე სჭირდებოდა<sup>8</sup>. XIV ს-ის დასაწყისში მეორე არაბი გეოგრაფი აბულ-ფი-და ტრაპიზონიდან სოხუმამდე სამი დღის საზღვაო გზას ანგარიშობდა<sup>9</sup>. ამ დროს საქართველოს საზღვაო ტრაპიზონთან შედარე-ბით ახლოს გადიოდა და ბიზანტიის დედაქალაქიდან საქართველოს ნავსა-დგურებამდე ხომალდები 10-12 დღეში მოდიოდნენ. ეს იყო ნაოსნობისათვის საჭირო საშუალო დრო. ჩვეულებრივი კი ამ მანძილს საზღვაო ნაები უფ-რო ნაკლებ ან კიდევ მეტ დღეებს ანდომებდნენ. ასე მაგალითად, XIV ს-ის პირველ ნახევერ-ში ევროპელმა მოგზაურმა ოდერიკი და პარდენინემ კონ-სტანტინეპოლიდან ტრაპიზონამდე ხუთ დღეში იცურა. 1404 წ. გახაფხულზე კი, იგივე მანძილი ესპანელმა კლავიხიომ თორმეტ დღეში დაფარა<sup>10</sup>.

ის დრო, რომელიც კონსტანტინეპოლიდან საქართველომდე საზღვაო ნა-ვებს ჭირდებოდათ XIII-XIV სს-ში, დიდად არც გვიან შუა საუკუნეებში შემცირდებულა. 1716 წ. 13 მაისს სულხან-საბა რობელიანი სტამბოლიდან საშობლოსაკენ გამოემართა საგანგებოდ დაქირავებული ხომალდით, რო-მელმაც „მეათე დღეს“ ფანეთის ნავსადგურში ათიაში ჩაუშვა ღუზა<sup>11</sup>. 1769 წ. მაქსიმე ქუთათელმა რუსეთის მთავრობას აცნობა, რომ სოხუმსა, ფოთსა და ბათუმში ხომალდები „სტამბოლიდამ რეა დღეზედ და ყირიმიდამ ხუთს

<sup>5</sup> ქან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ობ., 1975, გვ. 91-92.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 253—259.

<sup>7</sup> Лоция Черного моря, Николаев, 1851, გვ. 334.

<sup>8</sup> Geographie d'Edrisi trad. de l'arabe par A. Iuabert, t. 22. Paris, 1840, გვ. 394.

<sup>9</sup> Geographie b'Aboulfeda, tra0. de l'arabe par St. Guyard, t. 2. part. 2. Paris, 1888, გვ. 144.

<sup>10</sup> H. Antoniabis-Bibicou, Etubus d'histoire maritime de Byzance, Paris, 1966. გვ. 27.

<sup>11</sup> სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თხულებანი, ტ. 1, ობ., 1959, გვ. 24.

დღეზედ“ მოდიოდნენ<sup>12</sup>. ის დრო, რომელიც საზღვაო ნავებს ყირიმიდან საქართველომდე ჭირდებოდათ მაქსიმე ქუთათელს ერთგვარად გაზეადგებული აქვს. ჯერ კიდევ XII ს-ში ედრისი ტრაპიზონიდან აღმოსავლეთ შივიზე მდგრადი პირეთის გაყოლებით ხუთი დღის გზას ანგარიშობდა<sup>13</sup>. 1672 წ. კაფადან საქართველოს ნაბირებამდე ცურვას შარდენბა სამ დღეზე ცოტა ნაკლები მოანდომა. ხომალდი 1672 წლის 7 სექტემბერს, შუალისისა გამოვიდა კაფას ნავსადგურიდან და 10 სექტემბერს ისკურისის უკრეში, მდ. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ათიოდე კმ-ის დაშორებით ჩაუშეა ღუზა<sup>14</sup>.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში, 1737 წ. იმპერეტორი რუსეთის ელჩობის ცნობით, დონის შესართვიდან, ქალაქ აზოვიდან, დასავლეთ საქართველომდე კარგ ამინდში ექვესი დღის გზას ანგარიშობდნენ<sup>15</sup>.

VI ს-ის ოციან წლებში ეგრისის სამეფოს ზღვისპირეთი ბიზანტიულებმა დაიკავეს. ამ დროიდან, თითქმის ორი საუკუნე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობა ბიზანტიის იმპერიის კანონებს დაემორჩილა.

VII-VIII სს-ში ბიზანტიაში საზღვაო ვაჭრობის კონტროლი საგანგებო პუნქტებში იყო ორგანიზებული, სადაც საზღვაო-სავაჭრო ნავების ტვირთს სპეციალურად ამოწმებდნენ და ამ ტვირთის მიხედვით, ბაჟის ამკრეფა-კომერციი ნავის მფლობელს ბაჟს ახდევინებდა<sup>16</sup>.

იუსტინიან I-ის (527-565) მეფობის პირველ წლებში ასეთი საბაჟო ეგრისის სამეფოს სანაპიროზე საგანგებოდ აგებულ პეტრას ციხე-სიმაგრეში იყო. პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა ამ ციხე-სიმაგრეში საგანგებო მოხელე იოანე (მეტსახელად ციბე) ჩააყენა, რომელიც ლაზიერის მოელ საზღვაო ვაჭრობას უწევდა კონტროლს<sup>17</sup>. ასეთი კონტროლი კი იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი თუ ეგრისის საზღვაო ვაჭრობა მხოლოდ და მხოლოდ პეტრას მეშვეობით ხდებოდა. საფიქრებელია, რომ ბიზანტიის სამხედრო ესკადრა ეგრისის სანაპირო წყლებში სისტემატურად დაცურავდა და ხომალდებოს მფლობელებს აიძულებდა, რომ თავიანთი საზღვაო ნავებს ღუზა პეტრას ნავსადგომში ჩაეშვათ. საფიქრებელია, ამ ციხე-სიმაგრეში ცდა, საგანგებო მებაჟე-კომერციაზე, რომელიც ეგრისში ზღვით შეტანილ თუ გატანილ საქონელზე იმპერიის სასარგებლოდ დაწესებულ ბაჟს კრევდა.

542 წ. პეტრა ირანელებმა დაიკავეს<sup>18</sup>. მართალია, ათიოდე წლის შემდეგ ბიზანტიულებმა ეს ციხე-სიმაგრე უკან დაიბრუნეს, მაგრამ 542 წ. შემდეგ პეტრა უკვე აღარ იყო დასავლეთ საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ცენტრი.

668-678 წწ-ის ერთ ბიზანტიური ტყვიის საბეჭდურის წარწერაში მოხსენიებულია ეინმე თედორე კომერციი, რომლის ჩეზილენციის, სახელწო-

<sup>12</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. I, вып. I СПБ.

<sup>13</sup> Geographie d'Edrisi... t 2, 394.

<sup>14</sup> შარდენის მოგზაურობა.

<sup>15</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государствами, СПб., 1860, гл. LXXXI.

<sup>16</sup> М. Я. Сюзюмов, Морской закон, «Учен. зап. Уральского гос. ун-та», № 101, 1969.

<sup>17</sup> პრეკ პი კესარი ი ლ, გორგია, II, თბ., 1965, გვ. 72.

<sup>18</sup> ა. ბოგვერაძე, ბრძოლა იანენით და ბიზანტიული დაშვერობლების წინააღმდეგ ეპისტოლა საქართველოს იანენით ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 253.

დებიდან ფრაგმენტი ვათი არის შემორჩენილი. მცველეობის ამ რეზი-  
დენციის სრულ სახელ ერთათი ისახავდა ად აღადგენენ და უცნობ თეო-  
დორეს სებასტოპოლის კომერკარიდ მიზნევენ<sup>19</sup>. ასეთი აღდგენა სწო-  
რი უნდა იყოს. საფიქრებელია. რომ 542 წ. შემდეგ ბიზანტიულებმა თავიანთი  
საბაჟო დასავლეთ საქართველოში პეტრის ციხე-სიმაგრიდან სებასტოპოლში  
(ცხემში) გადაიტანეს. ამის შემდეგ, ერთხანს, საქართველოს საზღვაო ვაჭ-  
რობას კონტროლს ბიზანტიული ამ ქალაქიდან უწევდნენ.

689/90 წწ.-ის ერთ ბიზანტიულ ტყვიის საბეჭდურის წარწერებში მო-  
ხსენიებულია ვინმე კოზმა ლაზიკის, კერასუნტისა და ტრაპიზონის კომერკა-  
რი. ამავე ტიტულით არიან მოხსენიებული ვინმე გოორგი და თეოფილეკეტე  
691/693 წლების ორ ბიზანტიულ ტყვიის საბეჭდურის წარწერებში<sup>20</sup>. საფი-  
ქრებელია, რომ VII ს-ის 80-იან წლებში ეგრისი (ლაზიკის) საზღვაო ვაჭრო-  
ბის კონტროლს ბიზანტიის იმპერია ტრაპიზონიდან უწევდა, სადაც ლუზა-  
უნდა ჩამოაყენა კველა სავაჭრო ხომალდს, რომელც დასავლეთ საქართველოს  
სანაპიროსაკენ მიემართებოდა.

დღემდე მოლწეულ ბიზანტიულ ტყვიის საბეჭდურებს შორის არის კი-  
დევ სამი, რომელთა წარწერებში ლაზიკის კომერკარია მოხსენიებული. ორი  
მათგანი 710/712 წწ.-შიც გაცემული. მათ წარწერებში ერთი და იგივე პირები  
სინეტოსი და ნიკეტასი არიან მოხსენიებული. მესამე, ქრისტიანობის კომერკარი  
კველაზე გვიანდელი საბეჭდური 717 წ. არის გაცემული. მის წარწერაში  
კომერკარის სახელი არაა დასახელებული. სამწუხაროდ, ამ სამივე საბეჭდუ-  
რის წარწერებიდან არც ისაა ნათელი თუ რომელ ზოგისპირა ქალაქში იყო  
VIII ს-ის პირველ მეოთხედში ლაზიკის კომერკარის რეზიდენცია.

ისტორიანე I-ის ხანიდან, ადრე შუა საუკუნეებში, შემოტანილ საქო-  
ნელზე ბიზანტიაში ბაჟის სახით ამ საქონელის ღირებულების 10 % ითვ-  
ბოდა<sup>21</sup>. ჩენი იზრით, ანალოგიური ვითარება იყო VI-VIII სს-ში დასავლეთ  
საქართველოს ნავსადგურებშიც.

VIII ს-ის დასასრულს დასავლეთ საქართველო განთავისუფლდა ბი-  
ზანტიის იმპერიის დამოიდებულებისაგან. ამის შემდეგ, ბუნებრივია, სა-  
ქართველოს საზღვაო ვაჭრობა აღვილობრივ სამართლის ნორმებს დაემორჩილა.

შუა საუკუნეების ქართული სამართლის წიგნებიდან ზოგანსნობასთან  
დაკავშირებული მუხლები მხოლოდ XVIII ს- ის დასაწყისში შედგენილი  
ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში გვხვდება. ამ კრებულში შესუ-  
ლი სამართლის ძეგლებიდან ზოგანსნობას შეეხება ბერძნული სამართლის ორი  
და მხითარ გოშის სამართლის ერთი მუხლი.

ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული „სამართლი  
ბერძნულის“ 43-ე მუხლში კვითხულობთ: „უკეთუ ვინმე უსჯულოთა ასწავ-  
ლოს ხომალდისა ანუ ნავის შენება, თავი მოსჭრან მას“. ხოლო ამავე სამარ-  
თლის 43-ე მუხლი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „უკეთუ სახლი  
ვისიმე იწოდეს და მივიდეს ვინმეს და იქიდამ საქონელი გამოიტანოს, თავის-

<sup>19</sup> Cf. Zacos, A. Veglery, Byzantine lead seals, Basel, 1972, გვ. 232.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 245—258.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 181, 259, 264.

<sup>22</sup> W. Heyd, Histoire du commerce du levant au moyen-age, I, Leipzig, 1923, გვ.

თვის წაიღოს, ანუ ზღვაში რომ ხომალდი დაიქცეს და იქიდან საქონელი გამოიტანოს და თავისთვის წაიღოს, თუ მაშინვე ყუელა თავისა პატრონს არა მისცეს, ერთ წელიშადს უკან ოთხეულად მისცეს. ეგრეთვე ეს სამართლი მასზედა ყონ, რომელთაცა სახლი შესთხარონ<sup>23</sup>.

მხითად გოშის სამართლის 364-ე მუხლი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „როს გატყდეს ხომალდი ზღვასა შიგან სიახლოესა ქალაქისასა, უნდა კელის მომართვით და მიშველებით მოაჩინონ. რაც შეელა გაეწყობოდეს, მიშველონ მათ კაცთა ახლო ქალაქისათა. თუ უცხომან კაცმან, შორეულმან, უშეელოს, ხომ მართებულია, კინ, ვისაც რამ შეუძლია. თუ შორეულთა არა ინდულონ რა, იმ ახლო ქალაქის კაცთა მართებთ მიშველება და მოკმარება, — რა ნავი, ხომალდი უზიანოდ მას ქალაქთან გავა ბევრი შესამართა ქალაქისა და შეემატებათ გასულით. აბა, იმისთვის უფრო მართებთ მოკმარება. ფასიც უნდა გაიღონ და მის შეელის ეცალონ, რომე ვალია მათზე, რომელსაც შეუძლია მოკმარება და შევლა. უცხოს, შორეულს არცარა ერგების და არცარა ვალია მთხე<sup>24</sup>.

როგორც ცნობილია, „ქართული სამართლის წიგნებში არსებული ხარეზების შემთხვევაში კრებულის უცხო სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები მოქმედ სამართლის ნორმებს წარმოადგენდნენ“<sup>25</sup>. შესაბამისად ბერძნული და მხითარ გოშის სამართლიდან მოყვანილი მუხლები საქართველოში მოქმედ სამართლის ნორმებს წარმოადგენდნენ. ჩვენ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭოთ ბერძნული სამართლის იმ მუხლს, რომელიც სიკვდილით ემუტრება ყველას, ვინც უსჯულოს ანუ მაპამაღიანს „ხომალდის ანუ ნავის შენებას“ ასწავლის. რაც შეეხება ვატრანგ VI-ის კანონთა კრებულში მოთავსებული ბერძნული სამართლის, 43-ე და მხითარ გოშის სამართლის 364-ე მუხლს, მათი გათვალისწინება საქართველოში ზღვაოსნობასთან და საზღვაო ვაჭრობასთან მოქმედ სამართლობრივ ნორმებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, აუცილებელია. ზემოთ მოყვანილი სამართლის ეს ორი მუხლი ფაქტობრივად უძველესი დროიდან მრავალ ქვეყანაში გავრცელებული ე. წ. , ნაპირის უფლების“ უარყოფა.

შეა საუკუნეების პირველ ნახევარში ეკროპის და აზიის მრავალ ქვეყანაში ზღვის სანაპირო უმაღლესი ხელისუფლების საკუთრებად ითვლებოდა. ამის საფუძველზე მოქმედი „ნაპირის უფლების“ თანახმად, უმაღლესი ხელისუფლების მატარებელ სუერენს ეკუთვნოდა ზღვაში ნაპირთან ახლოს ჩაძირული საზღვით ნავი, მისი ტვირთი და ცოცხლად გადარჩენილი ეკაპაჟის წევრები. ვატრანგ VI-ის კრებულში მოთავსებული ბერძნული სამართლის 43-ე და მხითარ გოშის სომხეტრი სამართლის 364-ე მუხლები მოწმობს, რომ ამგვარი წესი საქართველოში დიდი ხნის გადავატრნილი იყო, და რომ XVIII ს-ში ნაპირზე გამორიყული თუ ზღვაში ეკიპაჟის მიერ მიტოვებული ხომალდის ტვირთი ხელშეუხებლად ითვლებოდა. ამ დროისათვის ასეთი ტვირთის მისაკუთრება დიდი ჯარიმით ისჯებოდა, რომელიც საზღვაო ნავის ტვირთის ღირებულებას ოთხგერ აღემატებოდა.

<sup>23</sup> ი. ლ. ი. ე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 140, 143.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 361.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 652.



„ნაპირის უფლება“ ბიზანტიაში იმპერატორ ანდრონიკ I კონტინის (1183-1185) დროს საგანგებო კანონით გაუქმდა<sup>26</sup>. მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნი 1184-1213 წწ.-ში არს შედეგნილი<sup>27</sup>. ამ სამართლის წიგნის მიხედვით ხმელთაშუა ზღვის ნაპირს, კილგის სომხურ სამეფოში, სადაც მხითარ გოშის სამართალი მოქმედებდა, ანალოგიური წესი უკვე გადავარდნილი ყოფილა. ჩრდილოეთ ევროპაში ასეთი წესი XIII ს-ის დასაწყისიდან გაუქმდა<sup>28</sup>. საფიქრებელია, რომ ფორმალურად ასეთი წესი საქართველოშიც XII-XIII სს-თა მიზნაზე მოისპო.

საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ ცნობები ძირითადად გვიან შუა საუკუნეებიდან შემოგვრჩა. ერთადერთ გამონაკლისად ამ მხრივ შეიძლება „ვეფხსისტყაოსანი“ ჩაითვალოს, სადაც ასეთი ხსიათის ცნობები მოიპოვება ზღვისპირას მდებარე ქალაქ გულანშაროსთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება საქართველოშე გავაკრცელოთ.

გულანშაროში მოსულ ავთანდილს „ვაჭართ უხუცესის“ მებალემ მოუთხრო:

რა შემოლენ დიდ-ვაჭარნი, მას ნაცვენ და მძღვენსა სძლვიან  
უჩვენებენ, რაცა ჰქონდეს, სხვაგან ლარსა ვერ გახსნიან,  
უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნკე დაუფლიან;  
მათ მაშინევ აზარებს, ვითა სწადდეს დაყიდვან.  
თვეენებურითა საპრიორა მას მართებს გმოსენება;  
დამყანებულთა უბრანებს, მართებდეს ვის დაყენება<sup>29</sup>.

შოთა რუსთაველის პოემიდან მოყვანილი ეს ადგილი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ. ამ ადგილიდან კარგად ჩანს, რომ რუსთაველის ხანაში საქართველოს ნავსადგურში შემოსული უცხო ქვეყნის ხომალდი საგანგებო შირს ბარდებოდა, რომელსაც ევალებოდა ამ ხომალდით საქართველოში ჩამოსული ვაჭრების მოვლა-პატრონობაც. ირკვევა, რომ უცხო ვაჭრებს ნება არ ჰქონიათ ევაჭრათ ძვირფასი ქვებით ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ხელისუფლების საგანგებო წარმომადგენელი გახაყიდათ ჩამოტანილ ძვირფასულობას გადაათვალიერებდა, რაც მოწონებოდა მეფისათვის შეიძნდა და შემდეგ ვაჭარს ასეთი საქონლით თვეისუფალი ვაჭრობის ნებას აღლევდა.

საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ გვიან შუა საუკუნეების საქართველოში ცნობები ძირითადად გურიისა და ოდიშის სამთავროში შედგენილ დოკუმენტებში მოიპოვება.

1909 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა ე. წ. „რატიანთა გუჯარი“, რომელიც ძვირფას მასალს შეიცავს საქართველოში საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ. ამ გუჯარში რატიანთა საგვარეულოსადმი ბოძებული სამი წყალობის სიგელია გაერთიანებული, რომლებიც ოდიშის მთავრების ლევან II დადიანის (1611-1657), ვამეუ III დადიანის (1657-1661) და ლევან III დადიანის (1661-1680) მიერაა გაცემული. ლევან II დადიანის გაცემულ-

<sup>26</sup> История Византии, т. 2, М., 1967, гл. 336.

<sup>27</sup> ი. ლომიძე, ქართული სამართლის ქველები, ტ. I, გვ. 597—598.

<sup>28</sup> К. Лебе, Метрополиты морей, 1982, гл. 189—192.

<sup>29</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხსისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 203.

წყალობის სიგელში აღნიშნულია ის წყალობა, რომელიც ერთგული სამსახურისათვის ლევან I დადიანს 1657 წ. სტამბოლში წაყვანილ ქრისტეფორი რატიანისათვის უბოძებია ერთგული. სამსახურის ნაცვლად. მათ შორის მოხსენიებულია ხომალდის „მდივნობაც“<sup>29</sup>. ლევან I დადიანის ეს წყალობა უფრო დაწვრილებით რატიანთა საგვარეულოსადმი ლევან III დადიანის სიგელშია გადმოცემული, რომლის თანახმად სამეგრელოს მთავარს ქრისტეფორი რატიანისათვის „უბოძებია ხომალდის მდივნობა, მებაჟობა და მოლარეობა, ლევან III დადიანმა რატიანებს ეს წყალობა განუახლა და უბოძა „ხომალდები სადაც დადგეს, ტყაყურს, და მორკვლას, ანაკლიას, ხორგას მდივნობა, მებაჟეობა“<sup>30</sup>.

„რატიანთა გუჯორში“, როგორც ვხედავთ, მოხსენიებულია „ხომალდის დადგომა“, აგრეთვე „ხომალდის მდივნობა და მებაჟეობა“. ქვემოთ ჩვენ შევეყდებით გავარკვიოთ ამ ტერმინთა მნიშვნელობა.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველო ნაოსნობა საქართველოს ნაპირებთან აპრილიდან ნოემბრის ბოლომდე გრძელდებოდა, ხოლო დადია სავარრო ხომალდები უკვე ზემოთ დასასრულისათვის ჩვეულებრივ ტრვებდნენ ამ ნაპირებს და უკან მიემართებოდნენ. „ამ თვეში სამეგრელოდან კონსტანტინეპოლში გადის თურქთა გემები“ — ვკითხულობთ იტალიელი მისიონერის ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის 1640 წელს შედგენილ მოხსენებით ბარათში<sup>31</sup>. უცხოეთიდან ზღვით შემოტანილი საქონლის გაყიდვას და ადგილობრივი საქონლის შეძენას გარკვეული დრო ესაკიროებოდა. ამიტომ, როგორც შარტნის თხზულებიდან ირკვევა უცხოელ ვაჭრებს თავითოთ საქონელი გემებიდან ნაწილ-ნაწილ გაღმოქვნდათ და ნაპირზე სპეციალურ სავაჭროებში ჰყიდნენ<sup>32</sup>. მათი სავარრო ოპერაციების დამთავრებამდე საზღვაო ხომალდები ნაპირიდან შედარებით მოშორებით ჩეიდზე იდგა. ამას ქართველები „ხომალდის დაყენებას“ ანუ „დადგომას“ უწოდებდნენ. ნაპირთან ახლოს საზღვაო ნაერს გაჩერებისათვის, სპეციალური გადასახადი იყო დაწესებული, რომელსაც „ხომალდის ბაჟი“ ეწოდებოდა. ლევან II დადიანის მიერ 1628 წ. ეკლესიისადმი გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „აჩის კათალიკოზის წესი ხომალდის ბაჟი ბიჭვინტისა, ღვთისმშობლისადმი შეწირული ჩუენგან ერთი მშეილდი, ათი სურმა, ათი სამოგვე, ერთი ორბირი ქუნთი, ერთი ჩექმა, ათი მახათელი მარილი და ათი მთელი თევზი“<sup>33</sup>. ამავე მთავრის ეკლესიისადმი გაცემულ მეორე სიგელში ვკითხულობთ: „შემოგვიწირავს კომალდის ბაჟი ჩუენგან, დადიანს ლეონს ბიჭვინტის ღმრთის-მშობლისათვის თითო კომალდისათვის 1 თავთა, 10 ღვინი, 10 მეში, 10 მახათელი მარილი, 10 მრთელი თევზი, 1 ჩექმა, 1 მშელდი, 1 თოვთიერის თეთრი ქუნთი, 1 ხალიჩია, 1 წონა მარყლი, 1 წონა სპილენი, 1 წონა რკინა“<sup>34</sup>.

ლევან II დადიანის ზემოთ მოყვანილ წყალობის სიგელებში „ხომალდის ბაჟის“ სახით ჩამოთვლილია ისეთი საქონელი, რომელიც ამ ღროვისათვის სა-

<sup>29</sup> ექვთ. თა ყა ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიგელენი, ტ. II, ტრ., 1909, გვ. 79.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>31</sup> დონ ჯუ ზე კ ე ჯუ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი. წერილები საქართველოზე, თბ., 1964.

<sup>32</sup> 45.

<sup>33</sup> შერტენის მოგზაურობა..., გვ. 203—206.

<sup>34</sup> ს. კ ა კ ა ბ ა დ ე, დასავლეთ საქართველოს სიეკლესით საბუთები, წ. 1, თბ., 1921, გვ. 47.

<sup>35</sup> ი. ლ ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, თბ., 1970, გვ. 475.



ქართველოში ზღვით შემოქმნდათ. საფიქრებელია, რომ როდესაც უცნოური ი ხომალდი საქართველოს ნაპირთან ჩაუშვებდა ღუზას, საბაერ სამსახურის სპეციალური წარმომადგენელი „ხომალდის მდივანი“ მცირე ნავით მისეყნ გაუშურებოდა. „ხომალდის მდივანი“ უცხოურ ხომალდზე, აღიოდა და მის ტერიტორიაზე საგანგებოდ აღწერდა, რის საფუძველზეც აიკრიფებოდა ამ ხომალდის რეილზე დგომის უფლებისათვის „ხომალდის ბაჟი“. ირკვევა, რომ ასეთ ბაჟს გემით შემოტანილი საქონლის გარკვეული ნაწილი შეადგენდა.

როდესაც უცხოური საზღვაო ნავი მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი პროდუქტის გატანისათვის იყო გამიზნული, მაშინ ნაპირთან დგომისათვის დაწესებული „ხომალდის ბაჟი“ ბევრად უფრო მცირე იყო. ასე მაგალითად, XVII ს-ის დასარულში გურიის ნავსადგურ შეკვეთილში სიმინდის შესაძენად მოსულ თათოეულ თურქულ საზღვაო ნაეზე 1 ოყა თუთუნი და 40 ფარა იქრიფებოდა<sup>35</sup>.

საქართველოს ნაპირებთან საეპროდ მოსული დიდი ხომალდები უშევებდნენ უმეტეს შემთხვევაში ღუზას, შედარებით მცირე ზომის საზღვაო ნაები სანაოსნო მდინარეებზე დაიღინენ და ქვეყნის შიგნით ჩერდებოდნენ. მდინარეებზეც ნაების „დადგომისათვისაც“ სპეციალური გადასახადი იყო დაწესებული. ჩელულებრივ ეს გადასახადი მთლიანად უზენაესი ხელისუფლების სასარგებლოდ აიღებოდა, მაგრამ ამ წესიდან გამონაკვლისც არსებოდა. ასე მაგალითად, XVII ს-ში მდ. ხობზე „ნავის დადგომისათვის“ დაწესებული გადასახადის ერთი მესამედი ხობის მონასტრის სასარგებლოდ იქრიფებოდა. ამ მონასტრების პრივლეგია უკვე შემდაგლე დატანის (1470-1474) დროს ქეონდა, რაც კარგად ჩანს მისი ერთი წყალობის სიგელიდან, რომელიც XVII ს-ში ლევან II დადიანმა განახლა. წყალობის სიგელის მიხედვით, მდ. ხობის ქეონ წელში მდებარე სოფლებში „ქარიატას და კემხელს მესამედი ნავი“ ხობის მონასტრებს ეკუთვნოდა<sup>36</sup>. „მესამედი ნავი“ ნაოსნობის სეზონში ხობში შემოსული იმ საზღვაო ნაების მესამედს გულისხმობს, რომელთა „დგომისათვის“ გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ უნდა აეკრიფათ. ამ წესის თანახმად ყოველი სამი ნავიდან ორს მთავრის მოხელეები უშევედნენ მეურვეობას, ხოლო მესამე ნავი ხობის მონასტრის ყმების მზრუნველობის ქვეშ გადადიოდა. ეს კარგად ჩანს ამ მონასტრის წყალობის სიგელიდან, რომელიც ლევან III დადიანის მიერაა გაცემული: „ქ. როგორათაც ბიძა ჩემს ლევან დადიანს გაუკიგებია, იადაგარი ეს ვნახეთ, და ჩევნც ასრუ დაგვიმტკიცბია... და ამ წიგნშიდაც ასრუ სწერია: სამი ნავის თათრები რომ მოვიდეს, ორი ჩევნი კაცისას დადგეს და მესამე ხატის ყმისას დადგეს“<sup>37</sup> „მესამედი ნავის“ პრივლეგია წდ. ხობზე ეკლესიის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამიტომაც, როდესაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა XVII ს-ის 70-იან წლებში თავისი ურჩი ვასალი ფიცით შემოირიგა, იმ ვასალის დეისმა ჭაიინის ფიცით საგანგებოდ იყო აღმამული, რომ „თუ აქ ნავი მოვიდეს, გულის მართლით რომელიც თქვენი ბაჟი ბოთილიყოს, არც ის დაგაკლოთ და რომელიც წესი ყოფილიყოს ნავიცა ისიცა მოვაბაროთ თქვენ მოხელეს“<sup>38</sup>.

<sup>35</sup> სცია. ფ. 246, ს. 1062, გვ. 96.

<sup>36</sup> ე კ ვ თ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძეველენი, წ. I, ტუ., 1909, გვ. 27.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 40.

ჩვენთვის უცნობია ის წესი, რომლის შესაბამისად იღებდნენ მდინარეებზე „ნავის დემისათვის“ დაწესებულ გადასახადს. ვფიქრობთ, რომ თვის სობრივად ეს გადასახადი არაფრით არ განსხვავდებოდა „ხომალდის ბაჟისა-გან“.

ზღვით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ბაჟი იკრიფებოდა, რომლის ასაკეფად საგანგებო მებაჟე იყო დანიშნული.

VIII ს-ის დასარულიდან, დასავლეთ საქართველოს ბიზანტიულებისა-გან განთავისუფლების შემდეგ, საბაჟოები თითქმის ყველა ნაგმისადგომში მოეწყო. მათი რიცხვი რომელიმე კონკრეტულ საუკუნეში დამკიდებულია იყო სანაპირო ზოლზე, რომელიც ამ საუკუნეში საქართველოს ეკავა. „რატიანთა გუჯარის“ მიხედვით, XIV-XVII ს-ში, ზღვისპირას ოდიშში საბაჟოები იყო ტყაყურუში (ევროპული წყაროების ისკურია), ანაკლიაში და კამბელში (დღევანდვლი ყულევა). ლევან II დადიანის 1628 წ. სიგელში და-სახელებული „ფოთური მებაჟენი“<sup>39</sup> XVII ს-ის გურიის საბაჟოებიდან მხოლოდ ქობულეთის საბაჟო ცნობილი<sup>40</sup>. XVII ს-ის საბუთებში გრიგოლე-თისა და შეკვეთილის საბაჟოებიცაა დამოწმებული<sup>41</sup>. საფიქრებელია, რომ ეს ორი საბაჟო წინა საუკუნეშიც იყო.

ნაემისადგომების გარდა, საბაჟოები, რომლებიც საზღვაო ვაჭრობის უწევ-და კონტროლს, ქვეყნის შეგნით, სანაოსნო მდინარეებზეც იყო მოწყობილი. XVI—XVII ს-ში ასეთი საბაჟოები იყო სოფლებში: მერკული (ძღ. მოქვის წყალზე), კამბელი, ქარიატა და ხორგა (სამრევ ძღ. ხობზე), ჭალადიდი (ძღ. რიონზე)<sup>42</sup>. XVIII ს-ში საბაჟო ძღ. რიონზე ჭალადიდის გარდა კიდევ ოთხ სოფელში ყოფილა მოწყობილი<sup>43</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საბაჟოები წინა საუკუნეშიც იყო.

ოდიშისა და გურიის განსხვავებით XVII ს-ის აფხაზეთში ნორმალური საზღვაო ვაჭრობა მოშლილი იყო. მისიონერი დე-ლუკას (1625) ცნობით, აფხაზეთში ასეთი ვაჭრობა მხოლოდ ნაგმისადგომებში ან კიდევ ხომალდებზე ხდებოდა, თანაც მხარეები წინასწარ მძევლებს უცვლიდნენ ერთმანეთს<sup>44</sup>.

1672 წ., შარდენის მიხედვით, ჩერქეზეთსა და აფხაზეთში უნდობლობა ოდგილობრივ მოსახლეობასა და ზღვით მოსულ უცხოელ ვაჭრებს შორის კიდევ უფრო გაზრდილა. ის როგორ გვიჩვრის მანალების საზღვაო წესს ფრანგი მოგზაური და ვაჭარი: „გაცვლა-გამოცვლა წარმოებს შემდეგნაირად. გვიძინ წამოსული ნავი ახლოს მიდის ნაპირთან. ნავში მსხდომნი კარგად

<sup>39</sup> ს. კავაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ., 1921, გვ. 45

<sup>40</sup> Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ., 1878, გვ. 226.

<sup>41</sup> ხელნაწერთა იმსტიტუტი, ფონდი Ad ს. 1565, ფონდი 52, ს. 2482, სკია, ფ. 1449, ს. 2.

<sup>42</sup> ექვთ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 27; ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ... II, გვ. 52.

<sup>43</sup> მ. სოსელი, ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკო-ნომიკური მდგრადირება XVIII ს. 40—80-ას წლებში, საქართველოს ისტორიის ნაჩენები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 583.

<sup>44</sup> დე-ლუკა, Описание перекопских татар, черкесов, мингрелов и грузин, «Записки Одесского общества истории и древностей», Одесса, т. 11, 1879, გვ. 492.

6. „მაცხოვი“, ისტორიის სერია, 1985, № 2

არიან შეიარაღებულნი. ისინი ნავთან მიხსლების უფლებას აძლევენ იმდენსა—  
ვე ჩერქეზს, რამდენიც თვითონ არიან. თუ დაინახეს რომ მეტნი უახლოვდებიან,  
ნაერ მაშინვე კვლავ ზღვაში გაჰყავთ. როცა ურთიერთს სალაპარაკო მანძილზე  
დაუახლოვდებიან ერთმანეთს უჩენებენ გასაცვლელ საქონელს. შეთანხმდე-  
ბიან და იწყება გაცვლა-გამოცვლა... (აფხაზებთან) ვაჭრობა ისეთივე სიფრთხი-  
ლით წარმოებას<sup>45</sup>.

ჩენ ძალზე ცოტა ვიცით შეუ საუკუნეებში საქართველოს ნავსი დგურების-  
მებაჟების შესახებ. უკველესი მათ შორის, რომელიც წყრილობით წყაროებ  
შია დომინებული „ქობულეთის მებაჟე“ მამუკა რამიძეა, თავის მეუღლეს-  
თან და შეიღებთან ერთად მოხსენიებული XVI-XVII სს-ის ხატის წარწერა-  
ში, რომელიც ქობულეთის მებაჟეს ეკლესიისათვის შეუწირავს<sup>46</sup>.

გურიის მთავრის გიორგი IX გურიელის (1714-1725) მიერაა ვაცემული  
წყალობის სიგელი თავართქილადებებისადმი, რომლითაც მთავარმა ამ საგვა-  
რეულოს ერთ ოჯახს მებაჟეობა უბოძა: „ჩენ ბატონმა გურიელმა გიორგიშ  
შენ თავართქილადებ ბერის და შენ შვილს მამუკას და პეპუს გიბორძეთ გრი-  
გოლეთს მებაჟეობა. რაც უნდა მოხდეს ყველას ბაჟეს შენ აიღებდე და მომი-  
ტანდე, შენ სარგებელს შენთვის აიღებდე“. ამ სიგელს აქვს მინაწერი, რო-  
მელიც გიორგი IV გურიელის მეკვიდრეს მამია VI გურიელს უნდა ეპუთ-  
ვნოდეს: „როგორითაც რიგი და კანონი მოითხოვ... ისე ჩენი ერთგული  
უყვნეთ და კეთილი მოსამსახურენი. რომელიც ამ წიგნში გიშერია გრიგოლე-  
თის ბაჟე მომიცია. ჩემის წინამოადგილის მეპატრომეთვის ამას გიმტკიცებ-  
ამათ გურიელი“<sup>47</sup>.

შემდეგ ხანებში გრიგოლეთის მებაჟეობა ნაკაშიძეთა საგვარეულოს მიუ-  
ლია. ამას მოწმობს სკიმონ II გურიელის XVIII ს-ის 90-იან წლებში ვაცე-  
მული წყალობის სიგელი: „ესე წყალობის წერილი გიბორძე ჩენ კელმწიფე-  
მან ბატონმა გურიელმან სკიმონ.. თქვენ ჩემს ერთგულს ყმას თავადს ნაკაში-  
ძეს კაცოს, ბეჟანს და ლომჟაცის ასე ამა პირსაზედა, რომელ პირველიდ მა-  
მაპაპათა თქვენთა ჰქონებოდათ არენის მებაჟეობა, მექმეთ თქვენი ერთგუ-  
ლება და სიამონენ(ბა) დავინახე ქრთამიც აგართო რითაც გული შემიჯერ-  
დებოდა და წყალობა გიყავ: ლელს წყალს და ჩოლოქს აქეთსახარის გარდა-  
გრიგოლეთანად ადგილი, ტყე და წყალი საგურიელო მოსავალი რაც იყოს  
უკელიცერი ნახევარი თქვენთვის მიბოძებია და ნახევარი მე არ დამა-  
კლოთ“<sup>48</sup>.

„ერმენის საბაჟო“ მღინარების ჩოლოქისა და ნატანების საერთო შე-  
სახთავთან მდებარეობდა და მას „შეკვეთილის საბაჟოც“ ეწოდებოდა. ეს  
კარგად ჩანს ნიკოლოზ ნაკაშიძის მოხსენებითი ბაზათიდან, რომელიც მან  
გურიის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1829) სამთავროს სახლის შემოსავ-  
ლის შესახებ გურიის სამთავროს დროებით სასამართლოს წარუდგინა: „...შე-  
კვეთილს იყო ისმელთაგან ვაჭრობა სიმიღისა, და იქედან შამოვიდოდა ბაჟი.  
ნახევარს მიღლებდა მთავარი და ნახევარის ჩუენი სახლი. ამისთვის რომელ

<sup>45</sup> შარლინის მოგზაურობა... გვ. 105.

<sup>46</sup> დმ. ბაკრაძე, არქეოლოგიური..., გვ. 226.

<sup>47</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. AD, ს. 1565.

<sup>48</sup> სცი, ფონდი, 1449, ს. № 2.



ნახევარი ზღვის პირი ჩუნი არის სამკვიდრო. აგრეთვე ამავე სახით გრიგოლეთს მიიღებდა ბაჟა მთავარი<sup>49</sup>.

როგორც ვხედავთ, ნავსადგომების მებაჟეობა ძალზე საპატიო თანამდებობად ითვლებოდა, რომელიც დიდ აზნაურებს ან კიდევ თავადებს ებოძებოდა. ნაკაშიძებს შეკვეთილისა და გრიგოლეთის საბაოებიდან, როგორც მებაჟეებს, შემოსავლის ნახევარი ეკუთვნოდა. საფირებელია, რომ ასეთი წესი გვიან შუა საუკუნეებში მაინც მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

ნავსადგომების მებაჟეები ხშირ შემთხვევაში ბაჟს თვითონ არ კრეფლნენ. ამ მიზნისათვის მათ საგანგებოდ დანიშნული პირები ჰყავდათ. ასე მაგალითად, შარდენმა ისგაურში ბაზარზე 12 მშეცლდისრით შეიარაღებული პირი ნახა, „რომელიც საბაჟოს მოხელეებს წარმოადგენდნენ“<sup>50</sup>. ბაჟის აქრეფისათვის ასეთ საბაჟოს მოხელეებს მებაჟის შემოსავლის ნაწილი ეკუთვნოდათ.

ბაჟის აქრეფის ასეთი წესი სამეფო-სამთავროების საზღვრებზე მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ასე მაგალითად, 1753 წ. პარტა აბაშიძემ, რომელსაც ქართლში, თურქეთის საზღვარზე, ტაშისკარში, მებაჟეობა ჰქონდა ნაწყალობევი, ამ საბაჟოში ბაჟის აქრეფა ვინმე ნახუცრიშვილს დარღვალა, რომელსაც დახმარედ ორი თავისი ყმა მიუჩინა. ამ სამსახურის სანაცვლოდ ბეჟან ნახუცრიშვილს ტაშისკარის საბაჟოს შემოსავლის პარტა აბაშიძის წილიდან მეთავდი ეკუთვნოდა<sup>51</sup>.

XVI ს-ის დასაწყისიდან დაწყიო თურქეთის სისტემატიური აგრესია სასაქართველოს ზღვისპირეთში, რომელმაც თავისი წარმატების ზენიტს XVIII ს-ის 30-იან წლებში მიაღწია, როდესაც საქართველოს ზღვისპირეთის უდიდესი ნაწილი ოსმალების ხელში გადავიდა. იმის შემდეგ გურიის და ოდიშის მთავრებს შავ ზღვაზე, დროგამოშევებით, რამდენიმე შედარებით უმნიშვნელო ნავსადგური (შეკვეთილი, გრიგოლეთი, ყულევი იგივე კემხელი და ანაკლია) ეკუთვნოდა, სადაც ბაჟი ადგილობრივი ხელისუფლების სასარგებლოდ იყრიფებოდა. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი თურქების მიერ დაპყრობილ ნავსადგურებზე (გონია, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, სოხუმი) მოდიოდა და ოსმალეთის იმპერიაში მოქმედ შესაბამის კანონებს ემორჩილებოდა. ასეთი ვითარება გაგრძელდა 1804-1810 წწ.-მდე, როდესაც დასავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

ძალზე ძნელია დადგინდეს იმ ბაჟის სიდიდე, რომელიც შუა საუკუნეებში საქართველოში ზღვით შემოტანილ და გატანილ საქონელზე აღებოდა. ირკვევა, რომ ასეთი ბაჟი ისტორიის ამ ვრცელი პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთში საქონლის ღირებულების სხვადასხვა ნაწილს შეადგენდა.

VI-VIII სს-ში საქართველოს ზღვისპირეთი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და ბაჟიც საქართველოს ნავსადგურებში იმპერიაში მოქმედი წესების მიხედვით აიღებოდა. XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველოში ზღვით შემოტანილ თუ გატანილი საქონლის უდიდესი ნაწილის ბაჟი თურქეთის სულთნის სასარგებლოდ იყრიფებოდა. ბუნებრივია, რომ ამ

<sup>49</sup> ხელნუწერთა ისტ. SD — 2482.

<sup>50</sup> შარდენის მოგზაურობა... გვ. 206.

<sup>51</sup> ი. დოლიძე, ქართული სამთავროს ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 403.

ორი განსხვავებულ სახელმწიფოში სავაჭრო საქონელზე დაწესებული ბაჟიც განსხვავებული იყო. ეპევგარეშეა, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში სამაკო ტარიფი ზღვისპარეთში სხვა იყო ვიდრე ბიზანტიის იმპერიაში ან კიდევ ოსმალეთში. სამშუხაროდ, ამის შესახებ ძალზე მცირე ცნობები შემოგვჩა.

1867 წ. ერთი დოკუმენტის მიხედვით, გურიის სამთავროში, XIX ს-ის პირველ მეოთხედში შეკვეთილში თურქი ვაჭრები სიმინდის ყიდვის დროს ბაჟის სახით ერთ ქილა სიმინდზე ჯერ 3 და შემდეგ 5 თურქულ ფარის იხდიდნენ. თურქების მიერ ნაყიდ ბათმან თაფლზე ბაჟის სახით აიღებოდა სამი ფარა, ხოლო იყა სანთელზე — ხუთი ფარა. ბაჟს, ამ დოკუმენტის მიხედვით, გურიაში მხოლოდ უცხო ვაჭრები იხდიდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა სკოტი ბაჟისაგან თითქოს თავისუფალი იყო<sup>52</sup>.

XIX ს-ის დასაწყისში გურიის იყა თაფლის სანთელი დაახლოებით 60 ფარა ღირდა, ხოლო ბათმან თაფლი — 20 ფარა<sup>53</sup>. გამოდის, რომ ამ დროისათვის ამ სამთავროში ბაჟი ზღვით გატანილი თაფლის ღირებულების 15 და თაფლის სანთლის ღირებულების 8,3 %-ს შეადგინდა, რაც არ უნდა იყოს სწორი. 1867 წ. ეს დოკუმენტი ნაკაშიძეთა წარმომადგენლის მიერაა შედგენილი და გურიის სამთავროში ამ ფერდალური სახლის მთავრის სამსახურისათვის მიღებული შემოსავლის ნუსხის წარმოადგენს. შეკვეთილში ბაჟს ნაკაშიძები კრეფლნენ და ასეთი ბაჟისაგან მიღებული შემოსავლის გადამეტებით ჩვენება ამ დოკუმენტის შემდგენლის უშუალო ინტერესებში შედიოდა. ამტრომ დოკუმენტში ბაჟის რაოდენობა სინამდვილესთან შედარებით რამდენჯერმე გაზრდილი უნდა იყოს. ჩვენ არც ის უნდა დავიგიზუოთ. რომ XIX ს-ის დასაწყისიდან 1867 წლამდე ექვეს ათეულ წელზე მეტი იყო გასული.

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ზღვისპირეთში მოქმედი საბაჟო ტარიფის შესახებ უფრო ზუსტი უნდა იყოს ლევან V დადიანის (1804-1846) ცნობა, რომელიც მან 1815 წ. იმერეთის მმართვებელს თ. ფ. სიმონოვის მიაწოდა: „საქიროდ შევრაცხე მოხსენება ესე თქვენის წარჩინებულებისადმი ყულევის ბაჟისათვის: პირველ მოწევნამდე საფარველისა თვითმპყრობელისა და დიდისა ჩვენისა ხელმწიფისა სამფლობელოსა შინა... გვქონდა ჩვენ მცირე რაიმე სიმაგრედ გვეფაბული ყულეს და გვიდგეს მას შინა მებაჟენი, რომელიცა მომავალთა თვითმპყრობელის გამოავალთა გამოავალთა გამოავალთა გამოავალთა მებაჟენი ჩვენი თუ რაოდენისა მარჩილისა იქმნებოდა და მარჩილისა ზედა თითო ფარსა აღიღებდნენ<sup>54</sup>.

თურქული მარჩილი საქართველოში XIX ს-ის დასაწყისში 52 ფარის უდრიდან<sup>55</sup>. ასე, რომ ლევან V დადიანის მიხედვით, ზღვით შემოტანილი თუ გატანილი საქონლის ბაჟი მისი ღირებულების დაახლოებით 2 % შეადგინდა. რაც არ უნდა პატარად მოგვეჩენოს ბაჟის სიღიდე, სამეგრელოს მთავარს მისი შემცირებულად ჩვენებაში ბრალს ვერ დავდებთ. 1815 წ. ლევან V და-

<sup>52</sup> სკი, ფ. 246, ს. 1062.

<sup>53</sup> Дм. ბაკრაძე, არქეოლოგическое... ვ. 331.

<sup>54</sup> ხელნაშერთა ან-ტი, ფონდი ა—1135.

<sup>55</sup> Акты, собранные кавказской археографической комиссией, т. V, Тб., 1873, ვ. 475.

დიანი რუსეთის ხელისუფლებისაგან ბაჟის აკრეფის ჩამორთმეული უფლების დაბრუნებას თხოულობდა და ყოველწლიურად ცდილობდა ხელისუფლებისათვის ეჩვენებინა ის ზარალი, რაც მან ასეთი უფლების დაკარგვით განიცადა. ამიტომ მთავარი შეეცდებოდა საბაჟო გამოსალებელი სინამდვილეზე მეტი ეჩვენებინა და არა ნაკლები.

შესაძლებელია, რომ ზღვით შემოტანილ თუ გატანილ ზოგიერთ საქონელზე ბაჟის ღირებულების 2%-ზე მეტს ან ნაკლებს უდრიდა. შიუხედავად ამისა, მიგვაჩინია, რომ ლევან V დადიანის მოწოდებული ცნობა ზუსტი უნდა იყოს. გვიან შუა საუკუნეებში მანც, საქართველოს ნაემისადგომებში საბაჟო გამოსალები საქონლის 2 %-ს შეადგენდა. ეს ბაჟი უფრო მცირე იყო ვიდრე მეზობელ ირანსა და თურქეთში, ამიტომაც გვიან შუა საუკუნეებში მრავალ ცდის პქონდა ადგილი, რომ საეპირო საქონელი ირანიდან დასავლეთ ევროპაში საქართველოს გავლით გაეტანათ.

Т. Н. БЕРАДЗЕ

## ОРГАНИЗАЦИЯ МОРСКОЙ ТОРГОВЛИ В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Резюме

В VI—VII вв. прибрежная полоса грузинского Причерноморья находилась под непосредственным управлением Византии, и морская торговля Грузии подчинялась соответствующим правилам этой империи.

С IX века до второй четверти XVIII морская торговля Грузии контролировала почти всю морскую торговлю Грузии, подчинявшуюся турецким законам. Такое положение продолжалось до 1804—1810 гг., — до присоединения Западной Грузии к России.

Правила, регулировавшие морскую торговлю в средневековой Грузии, были довольно сложными. За стоянку иностранных судов в территориальных водах страны взымали специальную пошлину («хомалдис бажи» — «корабельный сбор»), состоявшую из части товаров, имевшихся на этих судах. Для взымания этой пошлины на борт корабля поднимался «хомалдис мдивани» («корабельный инспектор»), в обязанности которого входило составление описи груза.

Пошлина за ввозимые и вывозимые по морю товары составляла приблизительно 2% их стоимости.

С конца XII в. так называемое «береговое право» было в Грузии отменено и груз торговых судов формально считался неприкосновенным.

წარმოადგინა საქართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიის იუ. ჯვარეშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების განწყვილებამ

## როლად თოლემიელი

### ათიშულეთისა და გუდამაყარის მოსახლეობის ზოგიართი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი

მთიულეთი და გუდამაყარი ობიექტები საქართველოს მთიანეთის კუთხე-  
ბია როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, მთიულეთი მოიცავს მდ. თეთრი (მთიუ-  
ლეთის) არაგვის ტერიტორიას ფასანაურიდან ჯრის ულელტებილამდე, ხოლო  
გუდამაყარი მდებარეობს შავი (გუდამაყარის) არაგვის ხეობაში, რომელიც  
თეთრ არაგვს უერთდება ფასანაურთან.

მთიულეთში, რომელსაც ჩრდილოეთით წევი ესაზღვრება, სამხრეთით-  
ხანდო და ჭართალი, დასავლეთით — ქსნის ხეობა, აღმოსავლეთით — გუდა-  
მაყარი 60-ზე მეტი გვარი მოსახლეობდა, რომელთაგანაც უმეტესობა კვლავ  
მთიულეთის მკვიდრია. ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მთიუ-  
ლეთშიც სოფლების უმეტესობა გვარების მიხედვით იყო დასახლებული<sup>1</sup>,  
ე. ი. ერთ სოფელში ძირითადად ერთი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობ-  
დნენ. ასეთი მონოგრაფიული ტიპის სოფლები ზოგჯერ მასში მოსახლე გვარის  
სახელს ატარებენ.

ქავთარაძეები ბის სამოსახლო სოფლებია წითორი, ქავთარანი და ქა-  
რანი და ჩაბარუში ნ. გვარი წარმომდგარია მამაკაცის საუკთარი სახე-  
ლიდან — ქავთარა<sup>2</sup>. ეს სახელი კი ისტორიულად მთელ საქართველოში იყო  
გაერცელებული, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. XVIII  
ს-ში ქავთარაძეები მოსახლეობდნენ აგრეთვე ძმიანთკარში, ჩადის-  
ციხესა და ბატარიანთკარში. 1774 წ. მთიულეთში ქავთარაძე-  
ების 39 კომლი ითვლებოდა<sup>3</sup>. დღესაც ქავთარაძეები მთიულეთში ერთ-ერთი  
დიდი გვარია, მიუხდედავად იმისა, რომ უკანასკნელი 2—3 საუკუნის განმავ-  
ლობაში ამ გვარის წარმომადგენლები საქმიან რაოდენობით გადასახლდნენ  
ბარში. 1776 წ. ერთ-ერთ საბუთში ქავთარაძეები ქავთარაშვილის ფორმით  
გვხვდებიან<sup>4</sup>. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიოთებულია მთიული ქავ-

<sup>1</sup> ი. ქავთარაძე შვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ტფ., 1928, გვ. 150—154;  
ი. ჰუთნია, ქორწინების ინსტრუმენტი მთიულეთში, თბ., 1955, გვ. 13—18.

<sup>2</sup> ილ. ჰუთნიას სამართლიანი დაკავშირებით მთიულეთში გვარსახელების უმეტესობა წინა-  
პრის სახელიდანაა ნაწარმოები (ი. ჰუთნია, დასახლ. ნაშრომი, გვ. 14).

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა ხVIII ს.  
(შემდგომში: ტექსტშივე; თაყ., გვ.).

<sup>4</sup> თ. ენ უკიძე, მასალები XVIII ს. 80-იანი წლების ქართლის სამეცნის მდივნის სამოხე-  
ლეო სარგებლების შესახებ, „მაცნე“ ისტორიის სერია, № 3, 1981, გვ. 144.

თარაძეებისა და მოხევე ქავთარაშვილების საერთო წარმომავლობის შესახებ.

სოფ. ამირნი დასახლებულია ამირიძეებით. 1774 წ. აქ 16 კომლი ამირიძე მცველობდა (თაყ. გვ. 452—460).

ზემოთ დასახლებულ სოფ. ჩაღის ციხე ში, ქავთარაძეებთან ერთად, აბულა აძეებიც მოსახლეობდნენ. აბულაძეები მთიულეთში იმერეთიდან ბატონის მევლელობის გამო გადმოსახლებულიან. 1774 წ. ლწერის მონაცემებით ეს გვარი მთიულეთში არ ჩანს. მათ სამოსახლო სოფ. ჩაღის ციხეში ქავთარაძეების ორ კომლთან ერთად მოხსენიებულია მთიულეთისათვის დღეს უცნობი გვარი ყურუ შალაძე (ორი ოჯახი), რომელთაგანაც ერთ-ერთ მამაკაცს აბულა ერქვა (თაყ. გვ. 460). შესაძლებელია დღეს მთიულეთში მოსახლე აბულაძეები ამ აბულა ყურუ შალიძის შთამომავლები იყვნენ.

სოფ. ბიბლიანში ბიბილაშვილები მოსახლეობენ, რომლებიც გუდამაყრის სოფ. კიტოხიდან ყოფილიან გადმოსული. მათი დედაგვარია შექაური. 1774 წ. მოსახლეობის ლწერაში ეს გვარი ბიბილაურის ფორმით გვხვდება (თაყ. გვ. 453, 457).

სოფ. ჭიკაანში ჭიკაანძეები მოსახლეობენ. 1774 წ. აქ 14 კომლი ჭიკაანძე ითვლებოდა (თაყ. გვ. 474).

სოფ. ხევშა ძირითადად მკერვალიძეებისა და პიტაშურების სოფელია. 1774 წ. ამ სოფელში 3 კომლი მკერვალიძე და 7 კომლი პატაშურია (თაყ. გვ. 453—457). 1873 წ. ლწერით ქ' ცხოვრობდნენ ბარათაშვილები (3 კომლი) (სცადა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 264). ლეგენდით ბარათაშვილები იმ შეიდი ათასი ტყევთაგანიდან ერთის შთამომავლები არიან, რომლებიც „ლომისახ“ სათაორეთიდან დაიხსნა (ლეგენდა იხილეთ ქვემოთ).

კობაიძეების სამოსახლოა ჩორიქი და წინკობანი. XVIII ს., კობაიძეები ჩირიქში და კობაინთკარში მოსახლეობდნენ. 1774 წ. პირველში 14 კომლი კობაიძე ლირიცხვებოდა, მეორეში — რვა (თაყ. გვ. 453, 455).

სოფ. ნაღიბანში ნაღიბაიძეები სახლობენ, რომლებიც ბიძაშეილობენ ბედოიძეებთან (სოფ. ბედონი, ძვ. რორო) და უშარიძეებთან (სოფ. უშარნი). სამივე ამ გვარს ფშავიდან მოსულმა ძმებმა ნადიბამ, ბედუამ და უშარამ დაუდეს საფუძველი. ისინი ფშავიდნ მესისხლეობის გამო გადმოსახლებულიან. მათი აღრინდელი, ძირიგვარი კი გამიღაური ყოფილა. სამივე გვარი თავითონ სალოცავ ხატად ფშაველთა საერთო სალოცავს — „ლაშარის გვარს“ თვლის და მისი ნიშაც აქვთ სოფ. ნადიბანში გადმოტანილი. ბედოიძეები, ნადიბაიძეები და უშარიძეები არც ერთმანეთში ათხვევებდ ქალს. ამ სამ გვარს ბიძაშეილობს სხვა, მეოთხე გვარი — სეიანაიძეები, რომელთა თავდაპირველი გვარი ასევე გაბიღაური ყოფილია. სვიანაიძეები ხადას ხეობაში, სოფ. სვიანანებში მკვდრობენ. აღნიშნული ოთხი გვარის (ნადიბაიძე, უშარიძე, ბედოიძე, სეიანაიძე) წინაპარათა მთიულეთში ფშავიდან გადმოსახლება დიდი ხნის მშავი უნდა იყოს. XVIII ს. ოთხივე გვარი მცველრად მოსახლეობდა მთიულეთში

<sup>5</sup> ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიულთა საოფაზო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 37.

(თაყ. გვ. 437—438, 441, 445, 449). ოლონდ ამ დროისათვის უშარიძეების გვარის ფორმა იყო უშარაული.

ბუჩუკურები მოსახლეობენ გვიდაქესა და ქვეშეთში. მთიულეთს მოსული ხეესურეთის სოფ. ბუჩუკურტიდან, პირველად გვიდაქეში დასახლებულიან. იმავე დროს ბუჩუკურები ხევშიც დამკვიდრებულიან. ბუჩუკურების სალოცავი არის „ქაშუეთ წმ. გოორგი“. გვიდაქეში არის კიდევ სასოფლო სალოცავები — „გვირია“ და „მთავარანგელოზი“. ეს უკანასკნელი სალოცავი, ეთნოგრაფიული მასალებით, „ხეესურეთიდან არის წამყვანილი“. მთხრობლის სიტყვით „ჩემ ბალობას ხეესურეთშიც გადავდიოდით სალოცავად სოფ. ბუჩუკურტის. იქ, ხეესურეთში მთავარანგელოზის ხატია. ნაწილი, ნიში კი ჩვენთან არის“. როგორც აღვნიშნუ, მთიული ბუჩუკურები გვიდაქეში არსებული სალოცავის „ქაშუეთ წმ. გოორგის“ ყმები იყვნენ. ხეესურეთში კი მათი წინაპრები მთავარანგელოზის ხატს ეყმობოდნენ. მთხრობლის სიტყვით, „ადრე გვიდაქეს ხეობაზე სხვა ხალხი ყოფილა. რა გვარის ხალხი იყო — ამოწყდნენ, თუ გადასახლდნენ — არ ვიცით. თავისუფალი ყოფილა ეს ხეობა და დასახლებულიან. ქაშუეთი მათი სალოცავია და ჩემი წინაპრები ეყმნენ მას. მეზობელი სოფლიდან, ყველანიდნ, გაიგეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ეს სალოცავი ქაშუეთია“. გადმოსახლებულის მიერ ადგილობრივი სალოცავის „ყმად გახდომის“ ფაქტები საერთოდ ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიაში<sup>6</sup>. ბუჩუკურების მთიულეთში გადმოსახლება დღი ხნის ამბავი უნდა იყოს. 1774 წ. მთიულეთში ბუჩუკურები მოსახლეობდნენ გვიდაქესა და დათვიანთკარში (ათა. გვ. 442—443). იმავე პერიოდისათვის მთიული ბუჩუკურები ბარში, არავის ხეობის სოფელ ლორში გადასახლებულავა<sup>7</sup>.

სონჩონ ნარიმანიძეების სამოსახლო სოფელია, სადაც 1774 წ. მათი 20 ოჯახი მცვიდრდებოდა (თაყ. გვ. 446—447). ეორთო გადმოცემით, მამულადიქების წინაპარი, გვარიად გოგოლოური, ფშავიდან გადმოსახლებულა. მეორე გადმოცემით კი, მამულადიქები კახეთიდან არიან მოსული. უოუნბშივე მოსახლეობდნენ თეთრადეები, რომლებიც XVIII ს. თეთრიაულის გვარს ატარებდნენ (თაყ. გვ. 445). ისინი ხეესურებით დასახლებულ ხევის სოფ. ართხმოდან მესისხლეობის გამო გადმოსახლებულან.

ნარიმანიძეებისავაგონ წარმომავლობენ ზემო მლეთელი ნაზღაი-ძეები. მათი წინაპრის სონჩიდან მლეთაში გადასახლების და გვარის შეცვლის მიზეზი მცისხამობა ყოფილა. 1774 წ. ზემო მლეთში 11 კომლი ნაზღაიდე მოსახლეობდა (თაყ. გვ. 429).

სოფ. ლავათხევში მოსახლეობენ ქარისანიძეები, საქიძეები, სუნტიძეები და წყარიშვილი, გრიგორიშვილის საფრთხეები, ნაკ. V, თბ., 1979, გვ. 76—94; რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის კულტურულისტორიული საკითხები, თბ., 1979, (საკრწიან დაცემული), გვ. 161—166.

<sup>6</sup> თ. თ ჩი ა უ რ ი, რელიგიური დღესასწაულები ერწო-თანარეთში, ათეიზმისა და რელიგიის სტრუქტურის საკითხები, ნაკ. V, თბ., 1979, გვ. 76—94; რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის კულტურულისტორიული საკითხები, თბ., 1979, (საკრწიან დაცემული), გვ. 161—166.

<sup>7</sup> ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურის მემკვები, წ. 1, (დემოგრაფიული მემკვები), თბ., 1967, გვ. 127 (შემდგომში ივ. ჭავახიშვილი, დემოგრაფიული მემკვები).

დან. 1774 წ. ლავათხევში 6 კომლი ქარჩაიძე და 3 კომლი საქიძე შევიდრობდა (თაყ. გვ. 447). წყარუაშვილები საქიძეების განაყრები უნდა იყვნენ. 1774 წ. აქ მოსახლეობდნენ „საქიძე წყარუას შვილი ნადირა და ხოსრო“ და „საქიძე წყარუას შვილი გვი და იმედა“. ეთნოგრაფიული მასალებით, წყარუაშვილების თავდპირეული გვარია ჯაუნარიძე.

სოფ. ს ე ფ ე შ ი მოსახლეობენ კ ვ ი რ ტ ი ძ ე, ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ე ბ-რ ი ა ლ ი ძ ე და მ ი ყ თ რ ა შ ვ ი ლ ი. კვირტიძეების ძირი-გვარია კობიძე. 1774 წ. ოთხივე გვარი (კვირტიძე, ტატიაშვილი, ებრიალიძე და შიყორიძე) სე-ფუში მკეიდრობდა (თაყ. გვ. 444). მიყორაშვილები არავის ერისთავთა შთა-მომავლები არიან, რომელებიც ერთი კერძო შემთხვევის გამო დაწერენ ამ გვარზე.

სოფ. ნ ა ღ ვ ა რ ე ვ ი ა რ გ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა და ბ ე ჭ ი შ ვ ი ლ ე-ბ ი ს სამოსახლო სოფელია. მთხოვნელის სიტყვით, არგანაშვილები აღრე არგანაიძე იქტერებოდნენ. დღესაც მთიულეთიდან ბარში გადასახლებულების ნაწილი არგანაიძის გვარს ატარებს. 1774 წ. აღწერაში არგანაშვილები არგა-ნაურის გვარით გვხვდებიან. (თაყ. გვ. 444). 1873 წ. მოსახლეობის კაქერა-ლურ აღწერაში 3 კომლი არგანაიძის გვარს ატარებდა, ერთი — არგანაშვი-ლისას (სცსს, ფ. 254, ან 3, საქ. № 257). ბექიშვილების წინაპარი მესის-ხლეობის გამო გამომსახულებულა ფშავიდან. XVIII ს. ბექიშვილებს მთიუ-ლეთში ცალკე სოფელი ჰქონდათ და ბექიაურად იქტერებოდნენ (თაყ. გვ. 448). ბექიშვილების ერთი, მცირე ნაწილი ძირად ანგურიძეები არიან. დანარჩენი ანგურიძეები, დარძულიძეებთან მოსისხლეობის გამო კახეთში გადასახლე-ბულან. ნადიბანში მოსახლე დარძული ძ ე ბ ი ს წინაპარი ხევსურეთი-დან მიგრირებულა, რომელიც გვარიდ ჭინჭარაული ყოფილა.

სოფ. ყველაბში ყველაიძეები მოსახლეობენ (1774 წ. 3 კომლი), რომ-ლებიც თავიანთ განუყოფელ ბიძაშვილებად თვლიან ქსნის ხეობის სოფ. მა-ხიარეთში მოსახლე ყველაშვილებს; მათი წინაპარი დაქვრივებულ ქალს გა-რად წაუყვანია მთიულეთიდან. საყურადღებოა, რომ მახიარეთიდან ყველა-შვილები ბოლო დრომდე მოდიონდნენ სალოცავად მთიულეთში, სალოცავ „ცეცხლიჯვარში“. ყველაიძეების ნაწილი ძირად ფშაველები არიან, რომელ-თა ძირი-გვარია გაბიდაური. გაბიდაურყოფილი ყველაიძეების მაშიშვილობის მთიულეთში შაბლი იანებს უწიდებენ.

სოფ. ს ა ღ ა გ უ რ შ ი მოსახლეობენ კ ე კ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, რომლებიც ძირად ხევსურები არიან. მათი ადრინდელი გვარია ჭინჭარაული. კეკიშვილე-ბი XVIII ს. კეკაურისა და კეკიძის გვარს ატარებდნენ (თაყ. გვ. 451—452).

სოფ. ხ ა რ ხ ე თ შ ი მოსახლეობენ გ ვ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი და ხ ი ჭ უ-რ ე ბ ი. გვიანიშვილების წინაპარი, გვარად წიქლაური, ხევსურეთიდან გად-შოსახლებულა. 1774 წ. ხარხეთში სამი ოჯახი გვიანაიძე ითვლებოდა (თაყ. გვ. 453). მთიულეთის ძირძველ მოსახლეობად ჩანან ჩოქურები. 1774 წ. სოფ. ჩოქურში ექვენი კომლი ჩოქური შევიდრდებოდა (თაყ. გვ. 452). 1781 წ. აღწერის თანახმად ჩოქურებს, სხვა მთიულებთან ერთად, გადასახლებულებს გვხდებით ანანურში, უნდილაანთვარსა და სასახლის ღუშეთში. ხარხეთის შევიდრნი არიან მაჩურ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. 1873 წ. აქ სამი კომლი მაჩური-

შვილა მკერდილებოდა. ამავე რაოდენობით იყვნენ 1774 წ. იმ განსხვავებით, რომ მაშინ ისინი მარტინის გვარს ატარებდნენ.

სოფ. გოგნაურთაში მოსახლეობენ სუარიდეები, ოგბაიძეები და კედელაშვილები და შევილები. ასევე იყო XVIII ს., იმ განსხვავებით, რომ კედელაშვილები კედელაურის გვარს ატარებდნენ. მათი წინაპარი მესისხლეობის გამზ. ხევსურეთის სოფ. ჩირცელიდნ გაღმოსახლებულა. სალაჭურში სახლობენ ხევიდნ მიგრირებული ლულუშაურები, რომლებიც XVIII ს. უკვე აქ მცვიდრობდნენ (თაყ. გვ. 451). ეთნოგრაფიული მასალებით ოგბაიძეები ცხავატის ისტორიული თემის საერთო სალოცავის „ცეცხლი-ჯვრის“ (სოფ. ზემთოებული) დეკანოზები იყვნენ.

სოფ. სეთურებში ი სეთური ი დები მოსახლეობენ. 1781 წ. სეთურთვარს 17 კომლი სეთური იყო<sup>9</sup>. სეთურებში უცხოვრიათ მეზვე-ლაიდებისაც, რომლებიც XVIII ს. უკვე ქედან გადასახლებულნი იყვნენ ქსნის ხეობაში. კერძოდ, ქსნის ხეობის 1781 წლის ონტერაში სოფ. შევლიერთში მოხსენიებულია „ხიზანი ხალელი სეთურთველელი მეშველიადე დათუნადი გლახა“<sup>10</sup>, სოფ. კაიშაურები კი კაიშაურების გვარის სოფელია. 1774 წ. აქ 7 ოჯახი კაიშაური ცხოვრობდა, ისინი თვაინთ გვარს ცემაშეთიდან გაღმისახლებულად თვლიან. სოფ. ჭალმიანები ჭალმიანები ბში ჭალმიანები ბში მოსახლეობენ (1774 წ. — 5 კომლი). ჭალმაიძეების გვარში სამ გამაშვილობას გამოყოფენ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი („შიოლიანი“) არიან „ძირითადი“ ჭალმაიძეები. „სალრიანების“ აღრინდელი გვარი საღიარაშვილი ყოფილა, „მახარიობელიანი“ კი ძირიდ მოხვევები არიან. მთხრობელის სიტყვით, „გვარი იმიტომ გადაიკეთეს, რომ ჭალმაიძეები ბევრნი იყვნენ და ისინი კოტანი“.

სოფ. ზაქანი ზაქანიძე ების სამკეიღრო სოფელია. 1774 წ. აქ ზაქანიძების 11 ოჯახი ითვლებოდა. აქვე მოიხსენიებიან სუნტიძეები და მურალულების წინაპარი სამეგრელოდან მოსულა. ეთნოგრაფიული მონაცემებით კი სუნტიძეები და მურალული ცალ-ცალკე სოფლები იყო, ზაქანიძეები მოსახლეობენ. აგრეთვე ხადის ხეობის სოფ. წერე რე ში. მაგრამ აქ მოსახლე ზაქანიძებს აღრე ძაგნიძის (ძაგნაშვილის) გვარი უტარებიათ. 1774 წ. ისინი ძაგნაურის ფორმით გვევლინებიან (თაყ. გვ. 433). გადმოცემით ძაგნიძეები ხევიდან არიან გადმოსახლებული. წერეში მოსახლეობენ ნარაიძეები (1781 წ. აქ ხასლობდა „ნარაიძე ბერი და ზაქანი“<sup>10</sup>). ამავე სოფლის მკეიღრის არიან ჭერ მაზაშვილები. გადმოცემით ზაქანის მახლობლად კოტორაულების უცხოვრიათ.

ხადას ხეობის სოფლები მუღურე და ქოროლო წამილი იყენდის სამოსახლო სოფლებია. 1774 წ. ქოროლოსა და მუღურეში შესაბამისად 5 და 2 ოჯახი წამალიანება. ამავე ოწერით მუღურეში იყო ორი კომლი კუთხუყაური და ერთი კომლი ცვწაიძე (თავ. გვ. 433—437). რომლებიც შემდეგ წამალიანების გვაჩვის შესულან. დღეს „ყაოუყიანი“ და „ავწიანი“ წამალიანების მმიშვილობებს წარმოადგენ. ასევე წამალიანის

<sup>9</sup> ପ୍ର. କୁମାର ଶ୍ରୀଲୋକ, ଅମେରିକାନ୍ତିରୁଲି ଦେଶରେ, ୧୩, ୧୦୮.

१० एप्रिल, १३३२। २०८।

10 0330, 23- 105.



გვარი მიუღიათ ქოროლოში ოდესლაც მოსახლე მახატიშვილები. უნდა აღინიშნოს, რომ სუსტი და მცირერიცხვანი გვარების ძლიერ გვარში შესვლის ფაქტები ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიაში. მთიულეთის გარდა მსგავსი მოვლენა დადასტურებულია გულიძეარში, ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. საქართველოს სინამდვილეში ასევე ცნობილია დედაგვარიძინ სხვა გვარსახელების გამოყოფის შემთხვევები (მაგალითად, ხევში<sup>11</sup>, ჭართალსა და ფშავში). გთიქრობთ, ამ ორი ურთიერთსაბირისპირო მოვლენის მიზეზი გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები უნდა ყოფილიყო.

სოფ. ბეგონში ბეგო იძეები მოსახლეობენ, სოფ. ბენიანთში—ბენიანძეები, სოფ. იუნოში—ისაურები, მძელურები, ირიაულები და გომურები. ყველა ეს გვარი ხადას ხეობის ამ სოფლებში XVIII ს. იყო, იმ განსხვავებით, რომ სისახლები აღრე ქვიცურის გვარს ატარებდნენ. მართლაც, XVIII ს. იუხში ექვსი ოჯახი ქვიცური ითვლებოდა. 1873 წ. — ცხრა (ცცსა, ფ. 254, ან. 3, ს. № 257). რაც შეეხება გვარს — გომური, იგი ოიკონიმ გომს უნდა უკავშირდებოდეს. საზღვრებელია, რომ სოფ. გომიძმ მოსული კაცის შეილები დაწერებუნენ გომურის გვარშე. მთის ზოგიერთ დიალექტში (აგრეთვე, კახურში) ხომურ სუფიქსი სადაურობის მაწარმოებელ-ელ სუფიქსს ენაცვლებოდა.

სოფ. როსტიანში როსტიანში ცხოვრობენ, რომლებიც სონჩოვლი ნარმანიძეების განაყრები არიან; სოფ. შარმიანებში — შარმაიძეები. XVIII ს. აქ ორი კომლი როსტიანში და ექვსი კომლი შარმაიძე ლირიცხებოდა. საინტერესოა, რომ 1873 წ. მოსახლეობის ოწერაში როსტიანში როსტიანში ისევ ძველი გვარით — ნარმანიძედ არიან გატარებულნი (ცცსა, ფ. 254, ან. 3, საქ. № 257). ხადაშივე მოსახლეობენ ციხიშვილები (სოფ. ციხიანი); 1774 წ. ოწერით — ციხიაურები (თაყ. გვ. 438).

ხედას ხეობაში არის ნასოფლარი მიღელანი. 1781 წ. აქ ოთხი კომლი მიღელაური მოსახლეობდა და ერთიც ბუჭური. ცალკე სოფელი რყო ბუქურნიც.

ისევ როგორც მთელ მთაულეთში, ხადაშიც ყველა სოფელსა და გვარს თავისი სალოცავი ჰქონდა. მაგრამ, ხადაში საერთო სალოცავიც იყო “ხადისა თორმეწამე”, რომლის დღეობას „ხადიჯრობას“ უწოდებენ. ხადის ეს საერთო სალოცავი ბენიათ სოფელსა და ბეგოთ სოფელს შორისაა. დეკანზობა ბენიაძეებს მოუდიოდათ, რაც ბენიაძეების ოდითგანვე, ხადაში მკვიდრობის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ზემო მლეთაში ხამი გვარის ხალხი მოსახლეობს: ნაზღაიძეები, ბუთხუზები და გაბაძეები. ნაზღაიძეების შესახებ ზემოაუკვე გვერნდა ნაოქეამი. გაგაძეები თავდაპირველად მლეთის ზევით, აღმურ ზონაში თავისივე გვარის სახელის მატარებელ სოფელში მკვიდრდებოდნენ. გაგაძე მთიულეთის ძირგველი გვარია. გაგაძეთა სოფელი და თვით გვარი გაგაძე გვხვდება „ერისთავთა“-ში (1348—1400 წწ.): „მაშინ წარვიდა ყოველი სპად სპარსთან. მაშინ მეფეან მიუბორა შალვას თრუსოი, ღუდა,

<sup>11</sup> ი. კუთაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

<sup>12</sup> კ. კუთაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—61.

გაგასძენი, მლეთა, არახეთი, კანდოი, ყანჩაეთი...<sup>13</sup> ამ საისტორიო წყაროში გაგასძენის გარდა მთიულეთის კიდევ სამი სოფელია მოხსენიებული (ღ უ-და, მლეთე, არახეთი) და მეზობელი ხანდა.

1774 წ. ლიტერით ზემო მლეთში ცხრა კომლი ბუთხუში იყო (თაყ. გვ. 428). თავდაპირველად კი ბუთხუშებს ლუდაში უცხოვრიათ. ისინი დეკანოზობდნენ მთიულეთის ერთ-ერთ ძლიერ სალოცავში „ლუდას ჟევლაწმინდაში“. მხოლოდ უკანასკნელ ხანგბში ლუდას სალოცავის დეკანოზობა ისების ხელში გადასულა, რომლებიც ჯავიდან ბუთხუშების ერთ-ერთი წინა თაობის წარმომადგენელს ჯაბან ბუთხუშს მოუკვანია და დაუსახლებია. 1776 წ. ლუდაში ისების მოსახლეობა უკვდ ფაქტია<sup>14</sup>. ეთნოგრაფიული მასალებით, მთიულოთ საერთო სალოცავის „ლომისას“ დეკანოზებიც თავდაპირველად ბუთხუშები ყოფილან, მაგრამ „ბურდულებმა დგალნი რომ დამარცხეს, მისცეს მათ ლომისა და ეხლა ისინი არიან დეკანოზები“. საყურადღებოა, რომ ბუთხუშები მკვიდრობენ აგრეთვე ქსნის ხეობის სოფ. გავაზში. XVIII ს. გავაზში ცხრა კომლი ბუთხუში ითვლებოდა. ქსნის ხეობაში მოსახლეობენ მიღელაურებიც.

ქვემო მლეთასა და არახეთში ბურდულები სახლობენ. მაგრამ არახეთი თავის დროზე, ბუქურების სოფელი ყოფილა და მლეთიდან გამოისული ბურდულები მათ შეცემლებიათ. 1781 წ. ქვემო მლეთში ბურდულების 11 ოჯახი იყო<sup>15</sup>. ბურდულების წინაპარი ხევსურეთიდან მთიულეთში შესისხლეობის გმო გაღმოსახლებულა<sup>16</sup>. ბურდულების სალოცავია „ლომისა“, რომელიც, ამავე დროს, მთიულეთის ცენტრალურ სალოცავის წარმოადგნდა, ისევე როგორც ყველა გუდამაყრელის სალოცავი „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ იყო. ეთნოგრაფიული მასალებით; „ლომისა“ სათათრეთში ყოფილია. 7 000 კაცი თათრებს ტყვედ-ჭყოლიათ ლომისას მეთაურობით. სათათრეთში შვიდ წელიწადს ტყვედ ყოფილან. ამ ხნის განმავლობაში თათრებს არც მოსავალი მოუვიდათ და არც დედაკაცმა შობა. მოლას თათარებისათვის უთქვამს, ვიდრე მაგ ხალხს და ლომისას (//ხარი) არ გაანთავისუფლებთ, იქამდე არაფერი იქნებათ. ლომისა ხარის თავზე იყო დაბრძანებული. ხარი ტრიალებდა და ვერ მოდიოდა, რადგან 7 000 კაცს ერთი კაცი აკლდა. ვიღაცას ერთი ქალი მოჯამაგირედ ყოლოდა. როდესაც ეს ქალი მოიყვანეს. ხარიც წამოვიდა. სულ ბოლოს მოვიდა და მლეთის თავს დაწვა. დაარსდა ეს ხატი და ააშენეს ლომისას ეკლესია<sup>17</sup>. მთიულეთში დასტურდება კიდევ ერთი გვარი — ზამთრეული (1873 წ. — 2 ოჯახი, სცადა, ფ. 254, ან 3, ს. № 258), ისინი მოსახლეობდნენ სოფ. ზამთრეულში, სადაც ცხავატის ისტორიული თემის „ცეცხლიწვრის“ უნიკალური სალოცავი კომპლექსია.

<sup>13</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გმილის ღ. დოლიძემ თბ., 1965, გვ. 106.

<sup>14</sup> თ. ენ ჟ ქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, დემოგრაფიული ძეგლები, გვ. 108.

<sup>16</sup> ს. მაკალათით, მთიულეთი, ტუ-1930, გვ. 80. ცეცხლიბობა, კოორდინატური სამართლი („ტეგლის დადგან“), ხასხენბა „ლომისას გლეხები“ ბურდულები იყვნენ, რომელთა სისტემი ქერთვითა სისხლზე ძეირია იყო შეტაბებული. XIX—XX სს. მთიულეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბურდულები, რომელთაც „ლომისას“ დეკანოზობა მოუღილდა, რიგი პრივილეგიებით ხარებლობდნენ.

<sup>17</sup> გამოცემა ლომისას ხატის შესახებ პირველად ს. მაკალათით გამოიკვეყნა (ის მის, „მთიულეთი“, გვ. 168). გამოცემა ჩაწერილი გვაქვს 1981 და 1982 წლებში.

დღეს ზამთრეულები მთიულეთში აღარ გვხვდებიან. ისინი ბარში გადასახლებულიან. მათი ბარში მიგრაცია XVIII ს-ის წინა პერიოდში დაწყებულა. XVIII ს. პირეელ მეოთხედში ეს გვარი გადასახლებული გვხვდება კახეთის სოფ. იყ ალთოში, სადაც ზამთრეულებთან ერთად სხვა გვარის მთიულებიც იყვნენ გადასახლებული. 1873 წ. ზამთრეულები (ერთი კომლი) მოსახლეობდნენ სოფ. ქუბრიანთკარში (არავის ხეობის ბარის სოფელი, დღევნდელი დუშეთის რ-ის ჭობორტის სასოფლო საბჭო).

გუდამაყარი ძირითადად ოთხი გვარითაა დასახლებული: ბექაური, წიკლაური, აფციაური, ჩოხელი და ჩოხელი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ოთხივე გვარი გუდამაყარში მოსულობას ამბობს. ვფიქრობთ, რომ ისინი ეს ადრე მოსახლე გუდამაყრელების ნასახლარ-ნაფუძარზე არიან დასახლებული. გუდამაყრის ადრინდელი მევიძრნი კი, თავის დროზე, მთიწინეთსა და ბარში უნდა გადასახლებულიყვნენ.

წიკლაურები და ბექაურები ხევსურეთის სოფ. უკანახოდან მიგრირებულან<sup>18</sup>. მა გვარებს საფუძველი ძებმი ბექამ და წიკვამ დაუდგეს. ბექაურებსა და წიკლაურებს საერთო სალოცავიც იქვთ — „პირიმზე ფუძის ან გვლოზი“, რომელიც, ამასთანავე, გუდამაყრის ყველაზე ძლიერი და საერთო სალოცავი იყო. წიკლაურები დღეს მოსახლეობრივ გუდამყრის შემდეგ სოფლებში: მაქართა, სიჯანიანი, ფანკური, საჩალი ისკალა, ზანდუკი, დიხჩიო, ლუთხუბი; ბექაურები — გამსური, დიდებანში, კიხონტკა, თორელანგში. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ თურქიანთ შტრი ბექაურების გვარში ამანათად ყოფილა მოსული. სოფ. თორელანში მოსახლე ბექაურების ადრინდელი გვარი ხითათ იუზაურია. გამსური მოსახლე ბექაურების ნაწილი კი იდრე გორგაშაშ ვილები ყოფილია და ბარიდან, სოფ. მარტყოფილან მოსულან. ეთნოგრაფიული მასალებით, „ბექაურებად“ იმიტომ დაწინერნენ, რომ სადაც ბექაური ცხოვრობდნენ იმ სოფელში ჩასახლდნენ. ეხლა ესენი 9—10 კომლი იქნებიან“.

ჩოხელებსა და აფციაურების ნაწილს საერთო წინაპარი ყოლიათ, მათი წინაპარი, გვარად თაგაური, ოსეთიდან გადმოსახლებული. მა გვარის ორ კაცს ქისტეთში კაცი შემოკვდომიათ და მესისხლეობის გმო გუდამყარის შეჩინვნიან. დღესაც ეს ორი გვარი ერთმანეთს შორის ქალს არ ათხოვებს. აფციაურების მეორე ნაწილი კი წირმოშობით ხევსურეთიდანაა, კერძოდ, სოფ. შატილიდან, რომელთა ადრინდელი გვარი ჯალაბაური იყო. მესის-

18 წიკლაურ-ბექაურების ხევსურეთიდან გუდამყარში გადასახლების შესახებ იხ. თ. თ. ჩ. ა. ური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთში, თბ., 1967, გვ. 12—14.

19 გუდამაყრელი აფციაურების გარკვეული ნაწილის ხევსურეთიდან ფშავში და ფშავიდან გუდამყარში გადასახლების შესახებ იხ. თ. თ. ჩ. ა. ური, მითოლოგიური გადმოცემები..., გვ. 8—13, ხევსური გალაბაურებისაგან არიან გმოსული იგრეთვე ღმაველი მისრიშვილები და თანელი დაეთაშვილები (იხ. იქვე; ნ. გ. ვოლკოვა, ეთნიკური პროცესს კავკასიის კულტურული მეორე ნაწილი კი წირმოშობით ხევსურეთიდანაა, კერძოდ, სოფ. შატილიდან, რომელთა ადრინდელი გვარი ჯალაბაური იყო). მესის-



ხლეობის გამო გადმოხეწილან გუდამაყარში და ამანათობის საფურცელზე აფციაურებს შეკედლებიან და მთი გვარი მიუღიათ. ჩიხელებში ოთხი დიდი მამაშვილობა გამოიყოფა: შუღლიანი, გამიხარდიანი, შიომუშაურები და გამიხარდიანი კი ხევსურები. აქ რომ მოსულან ამ მამაშვილობათა წინაპრები ძმად გაფიცულიან და ყველას ერთი გვარი — ჩიხელი მიუღია. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ამ მამაშვილობათა წინაპრები გუდამაყარში ერთდღოულად არ უნდა გადმოსახლებულიყვნენ. ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ გუდამაყარში მოსულმა ჩიხელებმა თავის სალოცავად მიიღეს ადგილობრივი სალოცავი, რომელიც ახლა „ჩიხის წმ. გიორგის“ სახელითა ცნობილი. მთხრობელთა გადმოცემით: „ჩევნ ჩიხელები „ჩიხის წმ. გიორგის“ ყმანი ვართ. პირველი ყმანი „თათრები“ ყოფილიან, მეორენი — „განაყრიანი“ და მესამე ყმანი ჩიხელები ვართ“. ამ ეთნოგრაფიული მასალით, ვფიქრობთ, აშენაა გუდამაყარში მოსახლეობის მოძრაობა, ძეველი, ადრინდელი მოსახლეობის სხვაგან გადასახლება და ახალი მოსახლეობის მოსულა. ამ შემთხვევაში მოსახლეობის მოძრაობის სამი ნაკადი ჩანს. გუდამაყარის სოფ. ლუთხუბში ჩაწერილი მასალით, „ლუთხუბშე იტყვიან შეიცერ არის ნაოხარი, შეიცერ არის მოსახლეობა შეცვლილი“.

საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალაა, აგრეთვე, „ჩიხის წმ. გიორგის“ დღესასწაულის დროს დექანოზის დალოცვა: „ლმერთო გაუმარჯვე ემ შენ გვარზე შემომდგარსა“. ვფიქრობთ, რომ „ემ შენ გვარზე შემომდგარსა“—ში იგულისხმებან აქ მოსული სხვა გვარები, რომლებიც ამანათობის საფუძველზე ჩიხელის გვარს იღებენ, ე. ი. ჩიხელთა გვარის ოთხი დიდი მამაშვილობიდან ერთ-ერთი ადრე მოსულები იყენენ პირველი ჩიხელები, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე „მამაშვილობები“ შედირებით გვიან მოსულები (ე. ი. ჩიხელების „გვარზე შემომდგარნი“) გადავიდნენ დამხედურთა, ჩიხელთა გვარზე.

ჩიხელები გუდამაყარის შემდეგ სოფლებში მოსახლეობენ: ჩოხი, თოთიაურები, საჩალი ის ჭიალა. მოგვიანებით ჩიხელებს სოფელი დაუფუქნებით მთიულეთში ჩოხელნის სახელწოდებით, 1774 წ. აქ სინი ხუთი ქომლის რაოდენობით მოსახლეობდნენ (თაყ. 452). აფციაურები — ანთოზში, დუმაცხოველში, ზანდუკში და ლუთხუბში.

წიქლაურების, ბეჭაურების, აფციაურების და ჩიხელების გარდა, გუდამაყარში სხვა გვარებსაც უცხოვრით. მაგალითად, წიქლაურების ნაწილი ადრე ხარხელაურები კუთფილან. ისინი ფ შავიდან არიან.

მისრი. მავალითად ის გვხვდება 1464 წ. ერთ-ერთ საბუთში (ქართული სამართლის ქველები, III, გვ. 20, 402). ავევ უნდა აღვინოშოთ, რომ უკანასკნელ ხანს უზრანალ „Советская этнография“-ში (№ 1, 1983) დამეცნილ ვ. ნიკონოვის სტატიაში «География фамилий—историко-этнической истории Грузии», ვერა აფციაური ფშავ-ხევსურულ გვარსახლადაა მიჩნეული (გვ. 25). წერილში ქართული გვარსახელების ორგვანი სხვა ფაქტობრივი შეცდომებიცაა. ასევე გაუმართლებლად მიგვინა საკითხის შეწარელისადმი აეტორისული მეთოლოგიური მიღებისა. ჩევნ შესაძლებლობა გვქონდა განსურებულ გ. ჯავახიშვილთან ქრთად დაგენერირა ჩეცენზია აღნიშნულ ნიშანმცე (ხელნაწერი). აფციაური მთიული მეტეორფიზმი კვითოვილისწინა. სხვა ნაშრომში გამოიყენებული გვერდები ჩევნი დამოკიდებულება (ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისი), პროფ. ვ. ნიკონოვის სტატიის მიმართ.

შიგრი ბულ ბ უ ლ ი. ეს შემთხვევა მცირერიცხოვანი გვარების ძლიერ გვარში შესელის მაგალითია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ წიკლაურების სალოცავი „პირიმზე ფუძის ანგელოზი „ყველაზე ძლიერ ხატად იყო მიჩნეული გუდამაყრში. წიკლაურების ეს შტო ღუმაცხოსა და ბურსაჭილში შევიდობდა (ღუმაცხოში არის სალოცავი — „ხარხელაური კეირთა“). 1774 წ. ღუმაცხოში ხარხელაურების ოთხი ოჯახი მოსახლეობდა (თაყ. გვ. 463). 1873 წ. ოთხმეტი (სცსა, ფონდი 252, ანაწერი 3, საქმე № 254). ხარხელაურები, გუდამაყრში საქმაოდ დიდი ხნის წინ დასახლებულან. XVIII ს-ის ქანის ხეობის მოსახლეობის ოლწერაში სოფ. ზოდებში მოხსენიებული არიან: „გუდამაყრელი ხარხელაური“ და „ხიზანი არავის ერისთავის ყმა გუდამაყრელი ხარხელაური“ (თაყ. გვ. 139, 192).

სოფ. ბოსელში მოსახლეობდნენ ბუბუნიურები, რომლებიც წიკლაურების გვარზე დაწერილია. ბუბუნაურებიც ხევსურეთიდან ყოფილი მოსული. 1774 წ. ოლწერით ღუმაცხოში ოთხი კომლი ბუბუნაური იყო (თაყ. გვ. 462—463). ამ შემთხვევაში, როდესაც ერთი გვარი მეორე გვარზე ეწერება, მხედველობაშია მისალები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და, მათ შორის გუდამაყრში გვარცელებული ამანათობის წეს-ჩვეულება, რაც კარგადა შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიაში<sup>20</sup>. 1873 წ. ბუბუნაურები წიკლაურების გვარზე ჯერ არ იყვნენ გადასული (სცსა, ფ. 254, ან. 3, საქ. 263).

სოფ. ბოსელში უცხოვრიათ ჭიკოლაურებიათ გვარი. ეთნოგრაფიული მასალებით, გუდამაყრში მოსახლეობდნენ თოთიაურები ციც, რის დამადასტურებელიც არის ოკენიმი თოთიაურები.

გუდამაყარში სხვა გვარის მოსახლეობას მოწმობს კიდევ ერთი სოფლის სახელი — ჩიბალაური, რომელშიც დღეს წიკლაურები არიან. ჩანს, ეს სოფელი თავის დროზე ჩიბალაურის გვარის წარმომადგენლებით იყო დასახლებული. XVIII ს-ის გუდამაყრელ ჩობალაურებს გადასახლებულებს უხვედებით დუშეთისა და წინდუშეთში<sup>21</sup>. შესაძლოა, გუდამაყრელი ჩობალაურების მიგრაციის დამადასტურებელი იყოს დღეს ქართლში, კასპის რაიონში სოფ. ჩიბალაურის არსებობა. მიგრირებულმა ჩობალაურებმა თან გადაიტანეს თავისი სოფლის სახელწოდება.

XVIII ს-ის გუდამაყრში მოსახლეობდნენ ისეთი გვარები, რომლებიც დღეს აღარ ვხვდებიან. მაგალითად, შეიძლება დავსახელოთ თამნიურები ბ ი. რომლებიც 1774 წ. სოფ. ათნობში ორი კომლი იყვნენ (თაყ. გვ. 464). ეთნოგრაფიული მასალებით, „თამნიური აღრე გვარი იყო და მერე წიკლაურობაზე გადასულან“. მესისელეობის გამო, ხევსურეთიდან, გუდამაყრში ამანათად მოსული შალვა თამნიური დაეწერა წიკლაურად იმის გამო, რომ „წიკლაურები გუდამაყრში ბევრი ხალხი იყო“. საინტერესოა, რომ ათნობიდან სოფ. ცხვედიათში გადასახლებულები 1886 წ. და 1910 წელსაც კვლავ თამნიურის გვარს ატარებდნენ (1886 და 1910 წლების ხანდოს ხეობის აღსარების მთქმელთა სია. ვისარგებლე ეთნოგრაფ ვახტანგ

<sup>20</sup> მ. ბ. კანდელაკი, «Аманати» у горцев Восточной Грузии, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის“, XVI—XVII, თბ., 1962; მისივე, ქართველ მთელთა საზოგადოებრივი ყოფა (მანათობის ინსტიტუტი), თბ., 1982 (საგანიძეო დისტაცია).

<sup>21</sup> თავ. ჯავახიშვილი, დემოგრაფიული მეცნიერება, გვ. 135, 139.



ჩიქვეანის პირადი ფოტოკოპიოებით). მოგვიანებით ცხვედიათში გადასახლებული თუმნაურებიც ათნოხელი ბიძაშვილების მსგავსად, წიქლაურების გვარზე გადავიღნენ.

სოფლებში: ლიდაში, შაქართაში და ლუთხუბში მოსახლეობდნენ თლოშიაურებიც 1774 წ. შესაბამისად, 3,17 და 8 კომლი იყვნენ (თაყ. გვ. 466—472). 1873 წ. აღწერის მასალებით თლოშიაურები სახლობდნენ აგრეთვე ზანდუში (10 კ.), დაბახოსა (19 კომლი) და ხოზში (1 კ.) (სცსა, ფ. 254, ან. 3, საქ. 264). მთხრობელთა გადმოცემით, თლოშიაურებიც წიქლაურის გვარზე გადასულან. ვ. ბარდაველიძის მიერ ჩაწერილი მასალით, ლუთხუბში მოსახლე წიქლაურების აღრინდელი გვარი წითელაური ყოფილა, ძირად ფშაველი. ფშავრი მასალებით, ლუთხუბელები სალოცავად დაღიობდნენ ფშავში „ლაშარის გვარსა“ და „გოგოლაურთ წმ. გორგოში“. მთხრობლის სიტყვით „ისინი ყმბით მოდიოდნენ“<sup>22</sup>. ჩენ მიერ ლუთხუბში ჩაწერილი მასალით, ლუთხუბელ წიქლაურებში სამი მამაშვილობა გამოიყოფა, რომელთაგანაც შხოლოდ ერთი მამაშვილობა — „თანგულანი“ ორიან ძირად ფშაველები და რომელთა აღრინდელი გვარიც წითელაური იყო. ისინი მესისხლეობის გამო ამანათად მოსულან ლუთხუბში და ადგილობრივი წიქლაურების გვარი მიუღიათ. დანარჩენი თრი მამაშვილობა („თორელანი“ და „ბოლონანი“) ნამდევილ წიქლაურობას ამბობენ. მათი წინასტრები (თორელა და ბოლონა) ლუთხუბში გუდამაყრისავე სოფელ ზანდუკიდან გადმოსახლებულან.

სოფ. საუხში უცხოვრით ცუცქუნაურებს (1774 წ. — 2 კომლი). მთხრობლის სიტყვით „ცუცქუნაურები გამიგია. არის ასეთი სოფელიც. ეხლა ბექაურებად იწერებიან, მაგრამ სინამდევილეში ბექაურები არ არიან. ჩამომავლობით ხევსურები არიან“. 1873 წ. სოფ. ცუცქუნაურში (ივავე საუხი) ბექაურების 5 ოჯახი იყო (ცცსა, ფ. 254, ან. 3, საქ. 264). იმავე 1873 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით ერთ წოს სოფ. თრანში გადასახლებულები კი ეპლავ ცუცქუნაურის გვარს ატარებდნენ.

1774 წ. აღწერით ჭალისოფელსა და ფახურები: (თაყ. გვ. 467, 471). 1776 წ. საბუთშიც გუდამაურში იგრიაულები არიან მოხსენებული<sup>23</sup>. ასევე იყო 1873 წლს (ფახვიზში — 12 ოჯახი) (სცსა, 254—3—257). ეთნოგრაფიული მასალა: „მიგრიაული გამიგია გუდამაყარში, იგრიაული არა. ეხლა წიქლაურებია ეგნი, ჭალის-სოფლიდან გადასახლდნენ ჭართლის სოფ. საჩალისჭალაში“. (მთხრობელი 90 წლის გიგოლა წიქლაური, სოფ. გამსი, 1982 წ.).

ზემოთ ჩამოთვლილი გვერდი რამდენიმე გვარი, რომელიც გუდამაყარში მოსახლეობდა და შემდეგ სხვა გვარი მიიღო ამანათობის კვალებაზე. ზოგჯერ ამანათი გვარს არ იცვლიდა, ეს შეიძლება ითქვას ლუთხუბში მოსახლე ან თაურები გუდამაყარში კაწალხევიდან მოსულან. ანთაურებისათვის საფუძველი ვინარე ანთას დაუდია, რომელიც გვარად გიგაური ყოფილა და ხევსურეთის სოფ. ბლოდან გადმოსულა კაწალხევში. უკანასკნელ ხანებამდე გუდამაყრელი ანთაურები ბლოში ათენგენობას („მუხის

<sup>22</sup> ვ. ბარდაველი ლიკე. აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საყულტო ძეგლები, I, ფშავი, თბ., 1974, გვ. 49.

ანგელოზი“) დადიოდნენ სალოცავად. 1774 წ. ანთაურები გუდამაყრის სოფ. ლუთოუბში უკვე გადმოსახლებულები იყვნენ (თაყ. გვ. 473).

ასეთია მთიულეთია და გუდამაყრის მოსახლე გვარების ზოგიერთი ეთნო-ისტორიული საკითხი. როგორც ერთი, ისე მეორე კუთხიდან ინტენსურად ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია მთისწინეთისა და ბარში, რისი განხილვაც ძმეურია, ამ ნაშრომის მიზანს არ შეაღვენს. მხოლოდ აღვინიშვავთ, რომ გადასახლების შემდეგ ბევრი მათვანი შეცვლილი გვარით გვევლინება.

მთიულეთში დღეს მოსახლე 60 გვარიდან უმცრესობა - ძე ფორმანტს ირთავს (ქავთარაძე, ამირიძე, აბულაძე, ჭიკაიძე, მკერვალიძე, კობაძე, ნადიბაძე, ბელიძე, სეთურიძე, ჯალმაძე, ზაქაძე, ნარაძე, წამალაძე, ბეგოძე, ბენიაძე, სვიანაძე, შარმაძე, ნაზრაძე, გაგაძე, თეთრაძე). გარდა ამისა - ძე ფორმანტით დაბოლოებული შეიძი გვარის (ავწავაძე, ბახვიძე, უურუშალაძე, მეზველაძე, ანგურიძე, ძაგნიძე, და ჯაუნარიძე) არსებობა მთიულეთში მხოლოდ ეთნოგრაფიული და ლიკუმენტური მასლებით დასტურდება. — შეილით დაბოლოებული გვარები მთიულეთში გვიანდელი მოვლენაა. დღეს აქ სულ 14 ასეთი გვარი ითვლება: ბარათაშვილი, ბიბილაშვილი, მიურარაშვილი, წყაროშვილი, ტატიშვილი, მარურაშვილი, არგანაშვილი, ბექიშვილი, კეკიშვილი, გვიანიშვილი, კედელაშვილი, ჯერმიზაშვილი, როსტიაშვილი, ციხიშვილი, რომელთაგანაც 11 XVIII ს. სხვა ფორმანტს (-ე, -ურ) ირთავდა. შეიძლება დავასახელოთ: მიურარაშვილი → მიურარაძე; არგანაშვილი → არგანაძე → არგანაური; გვიანიშვილი → გვიანაძე; ბიბილაშვილი → ბიბილაური; ტატიშვილი → ტატიაური; მარურაშვილი → მაჩურაძე; ბექიშვილი → ბექიაური; კედელაშვილი → კედელაური; ჯერმიზაშვილი → ჯერმიზაური; ციხიშვილი → ციხიაური. ეს პროცესი გვარების ფორმანტების ცვლისა მხოლოდ მთიულეთისათვის როდი იყო დამახასიათებელი. ასეთივე პროცესი შეინიშნება საქართველოს სხვა კუთხებში, მაგალითად, ქართლში XVIII ს. - ძე ფორმანტით დაბოლოებული გვარები, გვიან, უკვე XIX ს. — შეილით ფორმანტს ირთავენნა.

-ურ (-ულ) სუფიქსით დაბოლოებული გვარი მთიულეთში სულ ცამეტია: პატაშური, ბუჩუკური, ჩოქური, ღუდუშური, კარშაური, მურდული, სისაური, ირაური, გომული, გომაური (იგრვე ქვიცური), მძელური, ირაული, გომური, მიდელაური, ბუჭური, ბურდული;

23 თ. ენუ ქიძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 143.

24 საქართველო მეცნიერია იღენიშვილთ, რომ მცდირი შეხედულება თითქოს დასიერეთ საქართველოს გვარსახელებისათვის ძირითადად - ძე ფორმანტია დამახასიათებელი, აღმოსავლეთ საქართველოსათვეს - შევლი. (შეხედულობში გვაქს პროფ. ზ. ჭუშბერიძის გმირსვლები საქართველოს რაოდითი ქართული გვარსახელების შესახებ). მთიულეთის (აგრეთვე, თუშეთისა და ქვემის ხეობის) მაგალითი ამ შეხედულების საწინააღმდევოდ მეტყველდებას.

25 „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 2

XVIII ს. ჯაბიაური, ძეკაური, ყარაული, ბოთიაური, ფუთუაური, ზამთრეული. ერთიც ცალკე მდგომი, შერქმეული, უსუფიქსაციი გვარია — ბუთხუზი. ამ შემთხვევაში თესიობრიობის გადმომცემი სიტყვა გვარსახელად ქცეულა. მასთანავე, -ძე-თი დაბოლოებულ ზოგიერთ გვარს ორშაგი ფორმანტი ქვეს (დარბ-ული-ძე, სეთ-ური-ძე, რომლებიც, რა თქმა უნდა, თავდაპირელებიდ დარძულები და სეთურები უნდა ყოფილიყვნენ). აგრეთვე, უშარიძები და თეთრიძები შესაბამისად — XVIII ს. უშარიულები და თეთრიაულები იყვნენ.

გუდამაყარში გვარები ძირითადად -ურ სუფიქსს ირთვენ (წიკლაური, ბეჭაური, აფციაური, ანთაური და დღეს აქ არ ასებული გვარები: თლო შიაური, ჩობალაური, ჭოჭოლაური, ბუბუნაური თამნიაური, ხითათიშაური, ცუცქუნაური, /მ/იგრიაური). გამონაცვლისა ჩოხელი, რომელიც, საცხოვრებელი სოფლის სახელის მიხედვით, სადაურობის მაწარმობელ -ულ ფორმატს ირთავს.

მთიულებისა და გუდამაყრის მოსახლეობის გვართა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების შესწავლიმ ამ კუთხების შესახებ ზოგიერთი სოციალურ-რელიგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული მომენტების შესწავლის საშუალებაც მოგვცა.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თითოეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს სათემო, სასოფლო და გვარის სალოცავებთან ერთად ქვინდათ გამაერთიანებელი საერთო სალოცავები. ასეთები იყო ფშავისათვის — „ლაშარის ჯვარი“, ხევსურეთისათვის — „გუდანის ჯვარი“<sup>24</sup>. უნდა აღნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მთიულთა საერთო სალოცავი „ლომისა“ მიჩნეულია საერთო მთიულურ-გუდამაყრულ სალოცავად<sup>25</sup>, რაც გასაზიარებლად არ მიგვაჩნია. მთიულეთსა და გუდამაყარში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა აგ დებულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მთიულები თუ „ლომისას“ ეთაყვანებოდნენ, გუდამაყრელების საერთო სალოცავი ბექაურ-წიკლაურების სავარეულო ხატი „პირიშე ფუძის ანგელოზი“ იყო. ეთნოგრაფიული მასალა: „გუდამაყარში ყველაზე ძლიერი ხატია „პირიშე ფუძის ანგელოზი“. დანარჩენი თვე-თავები სოფლებში თავიანთი ხატები ყავთ. მეორე ძლიერ ხატადითვლება „ჩოხის წმ. გიორგი“. სხვები ჩვეულებრივი ხატებია. ხატს შეესა, წყალობას, და უჭირვეულობას შესთხოვნ. „პირიშე ფუძის ანგელოზი“ გუდამაყრის მთავარი სალოცავია. ეს ხატია ყმისა და უყმი ყმის შვერელი და წყალობელი. გუდამაყრის მთელ მოსახლეობას ითარავდა. ლომისა არ იყო გუდამაყრელების სალოცავი. მას მხოლოდ მთიულები და ქანის ხეობის ხალხი ეყმობოდა“ (მთხრობელი გ. წიკლაური, სოფ. გამსი, 1981 წ.). ამ თველსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე გუდამაყრის სოფ. ლუთხუბში ჩაწერილი დეკანოზის დალოცა. სოფლის დეკანოზი ჯერ ახსენებდა ლუთხუბის ყველა სასოფლო სალოცავს. შემდეგ გუდამაყრის საერთო სალოცავს — „პირიშე ფუძის ანგელოზს“, გუდამაყრის სხვა საგვარო და სასოფლო სა-

<sup>24</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 2—5.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 5.

ლოცავებს და მხოლოდ რიგით მე-17 დასახელებდა მთიულთა საერთო სალოცავს — „ლომისას“ და შემდეგ მთიულეთის სხვა ხატებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუდამაყრელი დეკანზები, როდესაც დალოცებოდნენ ხევ-სურთა სალოცავს — „ხახმატს“ ლომისაზე წინ მოიხსენიებდნენ. ზემოთ ნახსენები სოფლის დეკანზე „ხახმატს“ რიგით მე-13 დასახელებდა (აღვილის სიმცირას გამო დალოცვის სრული ტექსტი ვერ მოვაძეს. მასალა ჩაწერილია 1983 წ. 81 წლის ივნის ითხების ქ აფიაურისაგან). ვფიქრობთ, აღნიშნული მასალის კომენტირება აღიარა საჭირო, იმ თვალსაზრისით, რომ „ლომისა“ არ იყო მთიულ-გუდამაყრელთა საერთო სალოცავი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ მართალია, გუდამაყრის კველაზე ძლიერი და საერთო სალოცავი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ის ისეთივე ტიპის ცენტრალური სალოცავი როდი იყო, როგორც ფშაველებისათვის ლაშარის ჯარი. „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ საერთო ცენტრალურ გუდამაყრულ სალოცავად გადაჭვების პროცესი შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ ვერ დასრულდა ისე, როგორც ეს მოხდა ფშავში ლაშარის ჯარის მაგალითზე. „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ყმები იყენენ გუდამაყრის მოსახლეობის უმეტესობა — წიკლაურები და ბექაურები, ხოლო აფიაურები და ჩიხელები მას ეყმებოდნენ, როგორც „უყმო ყმანი“. ხევისბერი აქ ასე ილოცება: „გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზს, ყმათ და უყმოთ მშველელსა. მე ჩიხელი ვარ და პირიმზის უყმო ყმა ვარ. ყმასაც ეხმარება და უყმო ყმასაც“. ფშავში კი, როგორც ცნობილია, კველა გვარი და თემი ლაშარის ჯარის ნამდვილ ყმა იყო; მას „უყმო ყმანი“ არ ყოლია<sup>26</sup>.

კველა ეთნოგრაფიული მასალით, გუდამაყრის ცენტრალური სალოცავი „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ ხევსურეთიდან მიგრირებული წიკლაურებისა და ბექაურების გადმოტანილია. გუდამაყრაში მოსახლე გვარებიდან ყველა მოსულია, ძირ-ძველი არც ერთი არა. ძველი გუდამაყრელები კი ოვაის დროზე დაბლობში არიან გადასახლებული, ე. ი. ამ შემთხვევაში ანგარიშ-გასაწევია ის, რომ აქ მოსახლეობის ცელის ქმნდა აღვილი, ძველი მოსახლეობის გადასახლებას და სხვების დამკიდრებას. იგულისხმება, რომ გუდამაყრაში უფრო აღრე სხვა საერთო გამართიანებელი სალოცავი უნდა ყოფილყო, რომლის გარკვევის საშუალებას, დღევანდველი ეთნოგრაფიული მასალა იძლევა.

სანამ შევეხებით გუდამაყრის თავდაპირველი ცენტრალური სალოცავის საკითხს, შევჩერდებით ჩიხის წმ. გიორგის სალოცავზე. მეორე ძლიერ სალოცავად გუდამაყრაში „ჩიხის წმ. გიორგი“ ითვლებოდა. მას გუდამაყრის სხვა გვარის წარმომადგენლებიც უდგებოდნენ ყმად, თუ შევწირებოდნენ. ჩიხელთა სალოცავს ვაჟიშვილის შეჩრენის ფუნქცია მიეწერებოდა. მთხრობლის სიტყვით, „ერთი ვაჟი თუ ყავდათ — ისინი ეწირებოდნენ ჩიხს, რომ შეჩრენდათ“. სოციალურ-რელიგიური თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ჩიხის წმ. გიორგის „ყმად ეწირებოდნენ“ გუდამაყრის თვით კველაზე ძლიერი ხატის — „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ ყმები წიკლაურები და ბექაურები. მთხრობელთა სიტყვით, ეს მაშინ ხდება, თუ ჩიხის წმ. გიორგის ხატმა ამ გვარის წარმომადგენელი „დაამიზეზა“ (საყურადღებოა, რომ ჩიხელთა საგვარეულო ხატს შესწევს ძალა და უნარი სხვა ხატის ყმანი, თანაც გუდა-

<sup>26</sup> ვ. ბ. არ დავ ვ ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის... წ. I, თბ., 1974.

მაკარის ყველაზე ძლიერი, ცენტრალური ხატის ყმადი ღააშიზეზოს). მაგრამ, ამავე დროს, ჩოხში ყმად შეწირული, ისევე რჩება თავისი ხატის ყმად. ისიც საგულისხმოა, რომ ამის შემდეგ ჩოხის ხატში ყმად შეწირულს ჩოხელის ქალი ცოლად აღარ ერგება.

ზემოთ მოტანილი მასალა ჩოხელების გვარის შესახებ, მათი სალოცავის სიძლიერისა და ფუნქციის შესახებ, ვთქირობ, აქარად მიუთითებს, რომ ჩოხელთა საგვარულო ხატი — „ჩოხის წმ. გოორგი“ გარევეულ წინააღმდეგობაშია, მეტოქეობას უწევს გუდამაყრელთა ყველაზე ძლიერ და საერთო სალოცავს „პირიმზე ფუძის ანგელოზს“. მაგრამ „ჩოხის წმ. გოორგის“ მცდელობა — გადაიქცა გუდამაყრის საერთო სალოცავდ — გარევეული ობიექტური პირობებისა და სოციალურ-რელიგიური კითარების გამო, ტენდენციად დარჩა.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ გუდამაყრის თხივე ძირითადი გვარი მოსულია. წელაურ-ბექაურების საგვარულო ხატის „პირიმზე-ფუძის ანგელოზს“ საერთო გუდამაყრულ სალოცავად გადაქცევის გამაპირობებელ ფაქტორად გუდამაყრაში უპირველესად წელაურების და ბექაურების ხეცსურეთიდან გადმოსულაა საგვარულო. მათი აღრინდელი საცხოვრისიდან მოტანილი სალოცავი გადაიქცა გუდამაყრში შედარებით გვიან მოსული სხვა გვარების საერთო სალოცავდ. ამავე დროს, მოვგიანებით დასახლებული ჩოხელების ხატმა, თავისი „ძალი-შეძლების“ გამო, მას მეტოქეობა დაუწყო.

თავისთვის ისმის კითხვა: რომელი სალოცავი უნდა ყოფილიყო გუდამაყრის აღრინდელი მოსახლეობის საერთო სათემო სალოცავი? ნაწილობრივ ამ კითხვას პასუხობს ქვემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა.

ჩოხის სალოცავში დაცულია ჯვარი, რომელსაც მოსახლეობა, „სათემო ჯვარს“ უწოდებს (ვთქირობთ, ესეც ნიშანდობლივია, ჩოხის წმ. გოორგის საერთო გუდამაყრულ სალოცავად გადაქცევის ტენდენცის დასადასტურებლად!). მთხოვნელთა გადმოცემით, ეს ჯვარი „საბურთველოს წმ. გოორგის“ საკუთრება იყო და აქედან გვიან გაუტანიათ ჩოხში. დეკანოზი ასე ილოცება: „საბურთველოს წმ. გოორგის“ გაუმარჯოს, სათემო სიმედოსაო“. ამ ჯვარს (ცერტებლის ჯვარს) მცენტრება გუდამაყრის მთელი მოსახლეობის დაცვა ასე იმე უბედურებისაგან (გვალვა, ჭირი...). ჩოხიდან აღნიშნული ჯვარი მხოლოდ ღამით მიაქვთ საბურთველოში. ვთქირობთ, ეს დრო უნდა იყოს საბურთველოს წმ. გოორგის დღესასწაულის დღე. მსგავსი მასალა ჩაუწერია ვ. ბარდაველიძეს 1945 წელს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საბურთველოს ბოვრაყი ინახებოდა პირიმზეში: „პირიმზეში რამდენიმე ბოვრაყი — ხატი იყო. პირიმზეს თავისი ხატი ჰქონდა და ერთი კიდევ „სათემო ხატი“, რომელიც ამ პირიმზეში ინახებოდა და იქიდან გოორგობას მას გამსის მინდორზე, ე. წ. „საბურთველოში“ მიაბრანებდნენ“<sup>27</sup>.

ზემოთ მოტანილი მასალა საბურთველოს ხატის შესახებ გვევარაუდებინებს, რომ შესაძლოა, სანამ აქ ხეცსურეთიდან მოსახლეობა გადმოსახლდებოდა და მათ მიერ გადმოტანილი სალოცავი გადაიქცეოდა გუდამაყრის ცენტრალურ სალოცავად, გუდამაყრის აღრინდელი მოსახლეობის საერთო (გუდამაყრის თემის) სალოცავი საბურთველოს წმ. გოორგი უნდა ყოფილიყო. ამ მოსახლეობის სასაჩვებლოდ ისიც უნდა მეტაველებდეს, რომ საერთო გუდამაყრული თავ-

<sup>27</sup> ვ. ბარდაველიძე. გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1945, რვ. III, გვ. 47—(სტორის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივი).



ყრილობები საბურთველოში ხდებოდა, სადაც პირიმზე ფუძის ანგელოზს მოასევნებდნენ“<sup>28</sup>. მოსახლეობის ცელის შედეგად, საბურთველოს წმ. გიორგის სალოცავმა დაკარგა თავისი საქართო გუდამაყრის სალოცავის უფლებამოსილება, და მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა მთელი გუდამაყრის მოსახლეობის რამე უბედურებისაგან დაცის ფუნქცია. მისი ამ ფუნქციის შენარჩუნება, თავისთავად ცხადია, ძველი გუდამაყრელებისა და გუდამაყარში ახლად გადმოსახლებული მოსახლეობის ურთიერთონტაქტების ნიადაგზეა საგულვებელი.

გუდამაყრის მოსახლეობა ტრადიციულად თემების მიხედვით იყო დაყოფილი-დასახლებული. ომოსაელეთ საქართველოს მთიანეთის ეს კუთხე, ალბათ, რამდენიმე თემისაგან შედგებოდა, რასაც გვაიფირებინებს დეკანოზის დალოცავა: „რმერთო გაუმარჯოს თემს ოსავს და სოფელს გუდამაყარსა“<sup>-ო</sup>, ე. ი. აქ აშერად საუბარია გუდამაყრის ოსავის თემშე, სოფელ გუდამაყარში კი ძველი გავებით, გუდამაყრის მხარე, კუთხე უნდა იგულისხმებოდეს<sup>29</sup>.

„საბურთველოს წმ. გიორგის“ შესახებ ზემოთ მოტანილი მოსახლეობის დამადასტურებელი უნდა იყოს შემდეგი ეთნოგრაფიული მასალაც: „დნარჩენ ხატის რომელიმე დღეობაში მლოცავი რომ მოედოდა, ჯერ საბურთველოში გაიღოდნენ, ქულებს მოხსდიდნენ, გაჩერდებოდნენ, სანთელს აანთებდნენ, შეეხვეწიოდნენ და წავიდოდნენ თავიანთ სალოცავში“.

მთიულეთი და გუდამაყარი ოღონისაელეთ საქართველოს მთიანეთის დამოკიდებელ, თავისთავად კუთხებს წარმოადგენენ. ასეა მიღებული დღეს ქართულ საისტორიო გეოგრაფიაში<sup>30</sup>. ეს ისტორიული წყაროებიდანაც კარგად ჩანს. საისტორიო წყაროებში მთიულეთზე აღრე მოხსენიებულია გუდამაყარი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე. გუდამაყარი მთიანეთის სხვა კუთხეებთან ერთად (ქართალელნი, ფხველნი, წილქნელნი) მოხსენიებულია ლეონტი მროველთან XI ს.<sup>31</sup>, როდესაც ის ილწერს IV ს-ში მთის გაქრისტიანების ამბებს. გუდამაყარი ნახსენები აქვს, აგრეთვე, VIII ს. სომხური გეოგრაფიის ანონიმ აერორს<sup>32</sup>. ამდენადაც, არ შეიძლებოდა ამ ორ კუთხეს გამაერთიანებელი, ცენტრალური სალოცავი ჰქონდა.

ქართულ წყაროებში შედარებით გვიან ჩნდება მთიულეთის რეგიონის დასახელება, რომელიც საისტორიო გეოგრაფიული გამოკვლებით<sup>33</sup> და ჩვე-

<sup>28</sup> ი. ჟ ყ თ ნ ი ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

<sup>29</sup> ი. გ ვ ა ს ი მ ი შ ე ლ ი, თხულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 74, 84—85; მისივე, ქართველი ერის სტრუქტა, წ. II, 1965, გვ. 5, ი. აბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენს ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 401.

<sup>30</sup> ქ. გ ვ ა ს ი მ ი შ ე ლ ი, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ქავატი, წილკანი, წანარინ „გაექსისის ეთნოგრაფიული კუბული“, III, თბ., 1971, გვ. 194-210; მისივე, არავერის ხეობა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 533).

<sup>31</sup> ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, I, გვ. 125.

<sup>32</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 226.

<sup>33</sup> ქ. გ ვ ა ს ი მ ი შ ე ლ ი, არავერის ხეობა, ქ ე ს ე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 533. უფრო ძირე ცხავატის ისტორიული თემის ლოკალიზაცია თეთრი არავერის ხეობაში მოახდინა ი. დ თ ლ ი ძ ე მ (ჩ. მის ი) „გამორგო ბრწყინვალის სამართლი“, თბ., 1957, გვ. 275), ონონდ ის განსხვავებით, რომ მის მიზრ შემთხვევაზებული ცხავატის ისტორიულ გეოგრაფიულ კუბის სახლერები მოიყვადა ტერიტორიას „ფასანაურიან ხატის მიმართულებით ვიდრე ჩირ იკიდედ“. შემდეგში ცხავატის ზუსტი საზღვრები ქ. გვასალის დაადგინა (იხ. მისი „მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“).

ნი ეთნოგრაფიული მასალებით მოიცავს უფრო აღრინდელ, ქართული წყარობის ხადასა და ცხავატს. ჩანს, ისტორიულად თანდათან მოხდა ხადას და ცხავატის ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულად გაერთიანება, რაც უკვე ფაქტია „ძეგლი ერთისათვას“ შედგენის დროისათვის, რომლის დროსაც ხადასა და ცხავატის გაერთიანებულ ერთეულს — მთიულეთს საერთო სალოცავი „ლომისა“ აქვთ<sup>34</sup>. ეთნოგრაფიულ შასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ხადასა და ცხავატს, როგორც დამოუკიდებელ კუთხებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა, ისტორიულად თავთვეისი სალოცავები უნდა ჰქონოდათ. ასეთად წარმოგვიდგება დღეს ხადში ორსებული სალოცავი „ხად იჯ ვარი“ (ანუ „ხადისა თორმეშამე“), რომელიც ყველა ხადელთა, ხადში შემავალ სოფელთა და გვართა საერთო გამოერთიანებელი სალოცავი იყო და „ცეცხლი იჯ ვარი“ ნასოფლარ ზამთრებით თაში (დღევანდელი ნადიბანის ზეეით, მთაზე) რომელიც ცხავატის ისტორიული თემის სალოცავი იყო<sup>35</sup>. „ცეცხლივერთან“ იყო ე. წ. სათემო სახლი, მთელი თემის (ცხავატის) შესატები და ღმის გასათვევა.

„ლომისა“ (აგრეთვე, „ფუძის ანგელოზი“) რომ შედარებით გვიან გადაიქცა საერთო მთიულურ სალოცავად (და „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ საერთო გუდამაყრულ სალოცავად) ამის დამადასტურებელი უნდა იყოს შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „ლომისა და პირიმზე ფუძის ანგელოზი ჭიელებია. ერთი ყაიდის სალოცავები არიან. ორივე სალოცავი როგორც კარგი ვაკეკაცები ცხეტებია, ახალგაზრდები, პირტულები არიან. ცეცხლივერთან და ხადივარი თეთრწევერები, ბებრები არიან“ (67 წლის სოფიო ბუჩქური-ჯაღმაიძე, 1982 წ.).

„ხად იჯ ვარი“ და „ცეცხლი იჯ ვარი“ რომ გარკვეული გეოგრაფიულ ერთეულების ცენტრალურ სალოცავები უნდა ყოფილიყო (ამ შემთხვევაში ხადასა და ცხავატისა) ნათლად • ჩანს ამ სალოცავთა სახელდების ტერმინებით. კერძოდ, ეს ორი სალოცავი მოიხსენიება ტერმინით „ჭარი“ და ორი „ხატი“. უკანასკნელი ეთნოგრაფიული გამოკვლევებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ტერმინი „ჭარი“ არის არა საგარი, სასოფლო-სათემ სალოცავ-სამღლოცველო, არამედ სამეზობლო-ტერიტორიული თემის ღვთაებისა და მისი საკულტო-რელიგიური ცენტრის სახელწოდება. ხოლო „ხატი“ არის საერთო წინაპრის ქონება საგარი და სასოფლო საკულტო კომპლექსი. შედრ. ფშავების საერთო სალოცავი — ლაშარის ჭარი, ხევსურეთისა —

<sup>34</sup> ქართული სიმართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 108, 114.

<sup>35</sup> ჩ. ხარაბეგი, ა. რობაჭიძე, მთიულეთის სოფელი ძეგლად, თბ., 1965, გვ. 7, 55—57; გ. ერელაძის მასალები „მიწები ცხავატის თმშენები“, გვ. 260 (ისტორიის ისტორიულის სექტორის არქივი). „ცეცხლივერთან“ მთიულეთში, სხვაგანაც არის, კერძოდ ხადაში, რომელიც შემთხვევებისა და ციხეშეიღების საგარო სალოცავა.

ნაშრომი ხელნაბეჭდით სახით დღით ხნის გამზადებული გვერდი, როგორც გამოვიდა გვ. 3 ვასალის მონოგრაფია „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნაკრებები“, თბ., 1983, რომელშიც თომეტის ანალიზით შეხედულება ვარიოტორებული „ლომისას“ მთიულეთის ცენტრალურ სალოცავად გადაქვევის შესახებ (გვ. 39 — სქლოლი). ასეთი პერიოდიდან მას XIII ს. — ხორისანთა ლაშექრობის შემდგომი დრო მიანინა, რაც ემთხვევა ამ საკოთხოან დაკავშირებით ჩეკელულების. უფრო დაწერილებით „ლომისას“ საერთო მთიულურ და არა მარტო საერთო მთიულურ, არამედ მთიულეთ-ქანის ხელის საერთო გამარტონინებულ სალოცავად გადაქვევის ისტორიული და ეთნოგრაფიული მოვლენების თუ მიზეზების შესახებ სხვა ნაშრომში გვხვდება სატარი.

გუდანის ჭვარი, თუშეთისა—ლაშარის ჭვარი<sup>36</sup>. ჩეენს შემთხვევაში: ცხავატისა—ცეცლის ჭვარი, ხადასი — ხადიჭვარი.; ლომისას საერთო მთიულურ სალოცავად (ცხავატი+ხადა) გვიან გადაქცევის სასაჩვებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, ზემოთ მოტანილი გადმოცემის ტრადიცია მისი დაარსების შესახებ.

XVIII ს-ის აღნიშნულ რეგიონში გამოიყოფა ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული — მთიულეთი და გუდაყარი. კერძოდ, ასეთი დაყოფა აქვს შემოთავაზებული ვახუშტი ბაგრატიონში<sup>37</sup>. ეს ტრადიცია გრძელდებოდა XIX ს. ასევე მიღებული ქართულ საისტორიო გეოგრაფიაში. მაგრამ, უნდა ითქვის, რომ თანადათან XX ს-ის ზოგიერთ ავტორთან მოხდა ამ ორი დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულის ერთ რეგიონად წარმოდგენა (ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე<sup>38</sup> და სხვები). მთიულეთისა და გუდამაყრის ერთ ერთეულად, კუთხედ მიჩნევის საწინააღმდეგოა, აგრეთვე, დიალექტოლოგიური გამოკვლევები<sup>39</sup>. მთიულეთისა და გუდამაყრის ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად წარმოდგენა დღესაც გრძელდება, რაც თვალისათვალივასახა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებულ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების „რუკაზე<sup>40</sup>, საღაც გუდამაყრი საერთოდ არაა დატანილი (გუდამაყრის ტერიტორია რუკაზე მთიულეთის ქვეს მოცემული), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქსე-ში ვუდამაყრის, როგორც საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას, სათანადო ადგილი დაეთმო (ქსე, ტ. 3). მთიულეთის ლოკალიზაციის საქმეში კველაზე დიდი უზუსტობა გ. ხორნაულმა დაუშვება<sup>41</sup>.

ამრიგად, გასახიარებელი არაა თეზისი, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობას საერთო ცენტრალური სალოცავი — „ლომისა“ ჰქონდათ. „ლომისა“ მხოლოდ მთიულეთის საერთო, გამარტინანებელი სალოცავი იყო. გუდამაყრელები კი „პირიმზე ფუძის ანგელოზს“ ეთაყვანებოდნენ.

„პირიმზე ფუძის ანგელოზი“ შედარებით გვიანაა გადაქცეული გუდამაყრის ცენტრალურ სალოცავად, რამდენადაც იგი ხევსურეთიდან გუდამაყრში

<sup>36</sup> მ. კანდელაკი, ქართველ მთიულთა სიცალურ-ტელიგიური სტრუქტურის საკითხები („ჯვრია“ და „ხარია“), მანნენ, სტრილის სერია, № 3, 1981, გვ. 89—99.

<sup>37</sup> ვაჲ შ შ რ ი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973. მთვალისაზრისით საკურაღლებოა 1788—1811 წ. საბორი „კათალიკოზის საწყის სოფელი და მცველებითავარი ქართლისა და კახეთიში“ (ქსდ. ტ. III, გვ. 1114), სადაც ვეთოხულობათ: „წილადისა მიტროპოლიტი ითანე, რომელიც ამ სცხოვრობს წილადს, რომელსაცა ჰყავს სამშენოდ ამ შენის სოფელი რიცხვით ორმოცდაქვეს და ხებანი, მოხვევენი, მთიული 60, მთიული 60, გუდამაყრ ელ-ნი, ხანდაკ ლ ნ ი, ჰართ დ ე ლ ნ ი.“

<sup>38</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, ტც., 1940; ვ. ბარდაველიძე, დревнейшие..., გვ. 2—5.

<sup>39</sup> ი. გიგინე ვ ვ ი ლ ი, ვ. თოფურია, ი. ქ ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დალექტოლოგია, 1, თბ., 1961, გვ. 52—101; ლ. კანდელაკი, მთიულეთის დარგობრივი ლექტიკა, თბ., 1967; ვისივე, მთიულერი ტექსტები, თბ., 1978.

<sup>40</sup> ქსე — საქართველოს სსრ, თბ., 1981, გვ. 63.

<sup>41</sup> გ. ხორნაული, მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკური მასალები და ძიებანი), თბ., 1983 გვ. 7—21. ერთობს საფუძვლივ მთიულეთის გარდა მთიულეთში შექმნას დამუშავებული ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხების: გუდამაყრი, ხანდა, კართლი, აგრეთვე, ხორნის ხეობა. მთიულეთის მათევის შიდა ქართლის მთიულეთის ნაწილს. გ. ხორნაულის თანამდებობა უძინალიან იშევა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საკითხის არგებული ისტორიული, ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული ლიტერატურის გმირუენებლობა-უგულებელყოფასთან გვაქვს საქმე.



მოსახლეობის მიგრაციის შედეგად არის გადმოტანილი. გუდამაყრის აღწინ-დელი მოსახლეობის ცენტრალური სალოცავი „საბურთველოს წმ. გიორგი“ უნდა ყოფილიყო, რომელმაც მოსახლეობის ცვლის შედეგად თანდათან და-კარგა ეს ფუნქცია — ძელი გუდამაყრელები ბარში გადასახლდნენ და შათ ნისახლარზე, ძირითადად, ხევსურეთიდან გადმოსული მოსახლეობა დაფუძნდა.

მთიულეთი წარმოადგენს რა ორი ისტორიული კუთხის ხადასა და ცხავა-ტის გაერთიანებას, მისი სეროთ სალოცავი — „ლომისა“ შედარებით გვიანაა წარმოქმნილი („ძეგლი ერისთავთას“ შედგენის დროისათვის „ლომისა“ უკვე მთიულთა საერთო სალოცავია). ხადასა და ცხავატს, როგორც დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს თავიანთი ცენტრალური სალოცავები ჰქონდათ: ცხავატს — „ცეცხლიჯვარი“, ხადას — „ხადიჯვარი“.

Р. А. ТОПЧИШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ НАСЕЛЕНИЯ МТИУЛЕТИ И ГУДАМАКАРИ

Резюме

В работе изучены историко-этнографические вопросы фамильных имен, распространенных в двух соседних историко-географических регионах горной Восточной Грузии—Мтиулети и Гудамакари.

Высказанное в научной литературе мнение о наличии у мтиулов и гудамакарцев общего центрального святилища Ломиса новыми этнографическими итогами исследования не удостоверяется. В действительности, Ломиса предстает лишь центральным святилищем мтиулов, гудамакарцы же почитали Пиримзе пудзсангелози, ставшее со временем их центральным святилищем, перенесенным из Хевсурети в итоге миграции населения. Древнейшим центральным святилищем Гудамакарского ущелья следует считать Сабуртвело с цинда Гиорги, которое в результате миграции в этот район хевсурского населения постепенно утратило свою головную функцию.

Области Хада и Цхавати в прошлом имели отдельные центральные святилища: Хадиджвари и Цецхлиджвари. Что же касается упомянутых выше Хада и Цхавати, с течением времени они составили единый регион Мтиулети, в более позднюю эпоху находящийся под покровительством святилища Ломиса.

წარმოადგნა საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის ივ- ჯევახიშვილის სახ. ისტორიის, იტექოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინს- ტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიუ- ლი შესწავლის განყოფილებაშ

### გულიაშ ჩიტოვანი

## თრუსოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)<sup>1</sup>

ქართულ-ოსური ურთიერთობის შესასწავლად ერთ-ერთი საინტერესო კუთხია ყაზბეგის რაიონი, სადაც საუკუნეების მანძილზე მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირში ცხოვრობდნ ქართველები, კერძოდ, მოხევეები და ოსები.

ყაზბეგის რაიონში შედის ორი ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული — ხევი და თრუსო, სადაც 1980—82 წწ. ეთნოგრაფიულ მასალებს ვკრეფლით დასახლების სტრუქტურასა და მათში სახალხო შესაკრებლების ადგილსა და მნიშვნელობაზე. მაღალი, პირველ რიგში ვაზუსტებლით დასახლების ერთეულების (სოფლის, თემის, ხეობის) ტერიტორიულ საზღვრებს. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და თანამედროვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემების შეჯერებისას გაირკვა, რომ ხევისა და თრუსოს ტერიტორიული საზღვრების გააზრება ერთმანეთს არ დაემთხვა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით. ამან განაპირობა წარმოდგენილ წერილზე მუშაობა.

ხევის ტერიტორია მოქცეულია ჯვრის უღელტეხილსა (რომელიც ძოიულეთისა და ხევის საზღვრაი, აგრეთვე მდ. მდ. თერგისა და არაგვის წყალგამყოფია) და დარიალის ხეობის ვიწროებს შორის. უფრო ზესტად, მისი ჩრდილო უკიდურესი წერტილი მდ. თერგის მარჯვენა მხარეს არის ე. წ. ბ. ბ. ტ. ა. რ. ა. მ. ა. რ. კ. ა. მ. რომლის ქვემოთაც (მდ. თერგის დინების მიმართულებით) ჩრდ. ოსეთისა და ჩინეთ-ინგუშეთის ურთიერთომომიჯნავე აღვიდებია<sup>2</sup>, ხოლო მდ. თერგის მარცხნა მხარეს ხევის კუთვნილი უკიდურესი წერტილია ხურნული (ხურნუკის ყელი ანუ ხურნუკის გადასასლელი), რომლის შემდეგაც იწყება ოსეთის ასრულება.

ხევის ტერიტორიაში შედის მდ. თერგის მარჯვენა შენაკად ს ნოს წყლის ხეობაც (სწორ ხეობა).

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ჯვრის უღელტეხილიდან ვიდრე დარიალის ვიწროებამდე მოქცეული ხევის ტერიტორიული მონაცემთი (ე. ი. სწორ ხეობის გარეშე) საქართველოს სამხედრო გზას მოუყვება დაახლოებით 50 კმ. სიგრძეზე, ხოლო ამავე სამხედრო გზაზე მდებარე, ხევის კუთვნილ სოფ.

<sup>1</sup> წყათხულია მოხსენებად ეთნოგრაფთა მე-4 რესპუბლიკურ სესიაზე ქ. თბილისში იუ. გავან-ხიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, 1982 წ. 27 ოქტომბერს.

<sup>2</sup> ვ. ითო ნიშვალი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 36—37.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 38.

კობიდან (სადაც მდ. თერგი ჩრდილოეთისაკენ უხვევს) მდ. თერგის აყოლებით ტერიტორია იწოდება თ რუს ოს ხეობა და 4.

ვიდრე თრუსოს ტერიტორიული საზღვრების დაზუსტებას შევეხებოდეთ, გვინდა ორ საკითხზე შევაჩეროთ ყურადღება — თვით სახელწოდებასა და მის ისტორიულ წარსულზე.

XIX საუკუნისა და თანამედროვე ლიტერატურაში, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში ზეპირ მეტყველებაშიც, იხმარება გამოთქმა „თ რუს ოს ხეობა“.

ქართულ წერილობით წყაროებში, ყველგან, მითითებული კუთხე მოიხსენიება სიტყვა „ხეობის“ გარეშე. ასე მაგალითად, „ძეგლი ერისთავთა“-ში ასევებით ტოპონიმს თრუსული თრუსული თრუსუს, ხოლო მისგან ნაწიარმოებია აქ მცხოვრებთა სახელწოდება — თრუსუელი („...მაშინ ჩავიდა თრუსუს და მიეგანეს თრუსუელი...“ და სხვ)<sup>6</sup>.

„თრუსუელთაოცა“ მოიხსენიება XV ს-ის ხელნაწერში — გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთამ“<sup>7</sup>.

„თურს“, როგორც გვოგრაფიული სახელწოდება მითითებული აქვს სულხან-საბასაც.<sup>8</sup> განუშტი ბატონიშვილიც ყველგან მხოლოდ „თრუსოდ“ მოიხსენიებს ამ ტერიტორიას: „ხოლო ზახას აღმოსავლეთის მთის იქით არს თ რუსო...“, „...მოანი ესენი განპყოფენ კევსა და თრუსოსა“, „მაღრან-დუალეთსა და თრუსოს შორისი..“, „...დასავლით თრუსოსა და ზახას შუათი“ და, რაც მთავრია, და არს თრუსო სამ კეობად“<sup>9</sup>. აქ ნათლად ჩანს, რომ თრუსო კუთხეა, მხარეა, რომელიც სამ ხეობად განიყოფების.

XVIII ს-ის აეტორის პაპუნა ორბელიანის ნაშრომშიც ასევე „თურსი“-ა ნახსენები — „თურსი და ტურესი“<sup>10</sup>.

<sup>4</sup> ს. მაკალათი, ხევი, ტფ., 1934, გვ. 9; პ. ზაკარაյ, ნекоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли, XVI—XVIII вв. საქართველოს სახელწიფრ მუზეუმის „მოაბეგ“, თბ., XIX—A, XXI—B, გვ. 189; გ. ჯალაბაძე, მიწამომებელება თერგის ხეობაში, მუზეუმის „მოაბეგ“, ტ., 22—B, თბ., 1961; გ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი, თრუსოს ხეობაში, კევ, თბ., 1964; მისი კევ, ხევს ტოპონიმიები, გვ. 7; პ. ზაკალათი, არა გვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკელევი, თბ., 1972, გვ. გვ. 33, 41—44.

<sup>5</sup> Записки Н. С. Чилиева, о горских народах по военно-грузинской дороге 1827 г., АКАД, VII, Тиф., 1878, გვ. 347; Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края т. V, Тиф., 1887; დ. გვ. რ. 18—გვ. 10, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიადან, თბ., 1955, გვ. 166; გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 202, 205, 228 და შემდ., პ. ზაკალათი, დასახ. ნაშრ., 39 და სხვ.

<sup>6</sup> შ. მესხი, ძევლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნავ. 30, თბ., 1954, გვ. 28, 348, 357.

<sup>7</sup> ქ. შარაშიძე, გერგეტის მატიანე, მსკი, ნაევ, 30, თბ., 1954, გვ. 246—247, 272.

<sup>8</sup> სულხან-აბა თ რბ ელი ინ ი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 142; ტოპონიმს გვერდით მიწერილი აქვს ციფრები „თურს“ (14, 30/33, 30), რაც სიმღლე-სიფრის გამჭვინვალებით, საბა თვის ნაშრომს წინასიტყვაობაში ვამზარტვდება: „სადა კე ჭლება“ (40, 30/5, 20), ქუენის ზომათა რიცხვა, პირველი ხარისხია სიმღლისა და მეორე — წამის რიცხვი. აქვე, გვ. X.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, მე-4, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 647.

<sup>10</sup> ვაკეუნა თ რბ ელი ინ ი, მატავი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 113.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშიც გვხვდება ტერმინი „თრუსო“:

თრუსოს ჩავიდეს ხევსურინი,  
 ჰეხი ჩიაღეს ცისამ.<sup>11</sup>

ამრიგად, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით თრუსო||თრუსუ||  
 თურს ისეთივე მნიშვნელობის ტერმინად გამოიყურება, როგორიცაა ფშავი,  
 ხევსურეთი, ხევი და სხვ. თრუსო მოიცავს მდ. თერგის ხეობის გარკვეულ მო-  
 ნაკვეთს, ისევე, როგორც ხევი და ამდენად, ორივე ერთი მდინარის — თერგის  
 ხეობის სხვადასხვა სახელწოდების ორი ტერიტორიული ერთეულია — ხევი  
 და თრუსო. თრუსოში მოსახლე ოსები მას უწოდებენ თი რა კი ქ მ-ს (თავ-  
 სი კომ), ისევე როგორც მაგალითად, ქურთათი ქომს—ქურთათის  
 ხეობას, დიგორა ქომს-დიგორის ხეობას (ქომ-ს. ხეობა) და სხვ. ქართულ-  
 ში ნახმარი თრუსოს ხეობა სწორედ ოსურის კალკია. ამიტომ არ არის მარ-  
 თებული, ჩევნი აზრით, ხევის დაყოფა (უფრო სწორად ყაზბეგის რაიონის)  
 „თრუსოს, თერგისა და სხვს ხეობად“<sup>12</sup> (აქ თრუსოსა და თერგის ხეობაა და-  
 პირისპირებული). ვფიქრობთ, სამეცნიერო ლიტერატურაში უნდა ვიხსაროთ  
 „თრუსო“ და არა „თრუსოს ხეობა“ (ისევე, როგორც არ  
 იხმარება აფშავის ხეობა, ხევის ხეობა და სხვ).

თრუსო ძევლთაგანვე საქართველოს ფარგლებში შემავალი ისტორიული  
 დაღულეთის ნაწილია, სადაც ქართულ, სომხურ და ანტიკურ წყაროებში მრა-  
 ვალგზის მოხსენიებული და და და და მოხსელეობდნენა<sup>13</sup>.

უკანასკნელ ხანამდე მეცნიერები დვალებს მიიჩნევდნენ ისებად ან ერთ-  
 ერთ ოსურ ტომად<sup>14</sup>. XX ს. საკითხის შესწავლის გალრმავების შემდეგ ქავა-  
 სის მცოდნებში წარმოიშვა აზრი, რომელიც დვალებს გნეტიკურად უქა-  
 ვშირებს იბერიულ-კავკასიურ ტომებს. ტომშექმედ კიდევ 1905 წ. გამძევე-  
 ყნებული ნაშრომში (გერმანულ ენზე) გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც დვა-  
 ლები საკუთარი ენის მქონე, კერძოდ, ვეინაურენოვან, დამოუკიდებელ ტო-  
 მად მიიჩნია<sup>15</sup>. ვ. აბავიც ძეველ დვალებს იბერიულ-კავკასიურ ტომად მიიჩ-  
 ნეს<sup>16</sup>. დ. გვრიტიშვილს, რომელმაც უარყო დვალ-ოსთა იგივეობის საკითხი,  
 ისინი ქართულ ტომად ესახება<sup>17</sup>.

დვალთა განსახლების, ვინაობის, ენისა და ოსებთან მათი მიმართების სა-  
 კითხი სპეციალური კვლევის საგნად გაიხადა ვ. გვირეებულმა. იგი მიიჩნევს, რომ  
 დვალები კავკასიის ცენტრალურ მაღალმთიანეთში, ყველაზე მეტად ცნობილ

<sup>11</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 21.

<sup>12</sup> ს. შეკვეთი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>13</sup> В. Гамрекели, О племени двалов, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბ., 1957, გვ. 176; მისივე, დვალы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тб., 1961, 5 შემდ., გვ. 133, 135, ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, გვ. 112. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბ., გვ. 490 (იხ. დვალები).

<sup>14</sup> В. Гамрекели, О племени двалов, გვ. 179—180; მისივე, დვალы и Двалетия, გვ. 6—9; ვ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინიზი, 1958, გვ. 178—179.

<sup>15</sup> В. Гамрекели, დასახ. ნაშრ., 11—12, გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., 179.

<sup>16</sup> В. Гамрекели, О племени двалов, გვ. 12; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., ვ. გვ. 179.

<sup>17</sup> ვ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმმხილველი, I, თბ., 1949, გვ. 114.

მთიელ ტომთა შორის სვანების შემდეგ და თუშ-დიდოლოთა თანაბრად გვიც-ლინებიან<sup>18</sup>. ისინი ეთნიკურად ყველაზე ახლოს იდგნენ ვეინახურ ტომებთან. მაგრამ ვეინახებში თანამედროვე ჩეჩენები და ინგუშები კი არ უნდა ვიგულის-ხმოთ, არამედ ის ეთნიკური ერთეულები იძერიულ-კავკასიური ბუნებისა, რო-მელთაგანაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა ვეინახური ხალხი<sup>19</sup>.

მონცვლოთა ექსპანსიის დროს ჩრდილო კავკასიის ველებიდან ცენტრალუ-რი კავკასიის მთიანეთის ვიწროებში შემოხიზნული ოსები პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო თანდათან სამხრეთით მოიწევენ დვალეთის ტე-რიტორიაზე (მათი აქ შემოსვლა შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდება)<sup>20</sup>. თრუსო ერთ-ერთი პირველი რაიონთაგნია, სადაც ოსები ჩრდილოეთიდან სამხრეთით გამომსახლების საწყის სტადიაზევე მკვიდრდებიან<sup>21</sup>. შევიწროებული დვალე-ბის ერთი ნაწილი სამხრეთით, საქათველოს ტერიტორიაზე იხევდა; დროთა განმავლობაში მიგრირებული თუ ადგილზე დარჩენილი დვალები მთლიანად ასიმილირებულნი აღმოჩნდნენ ნაწილობრივ ქართველებისა და ნაწილობრივ ოსების მიერ, ამიტომაც ისინი შედიან ორივე ამ ხალხის ისტორიაში<sup>22</sup>.

კავკასიის მთიანეთში შემოხიზნულმა ირანულენოვანმა ოსებმა შეინარ-ჩუნეს საკუთარი ენა, სხვატრივ კი ეზიარენ და შეიწოვეს კავკასიური კულ-ტურა.

XIV ს-ში თრუსო შედიოდა ქსნის საერისთავოში<sup>23</sup>. XVIII ს-ში იგი არაგვის ერისთავების მფლობელობაშია. თუ როდის დაკარგეს ქსნის ერის-თავებმა თრუსო და როდის მიისაკუთრეს არაგვის ერისთავებმა, წყაროებში არ ჩამს. გ. თოვოშვილი ფიქრობს, რომ იგი არაგვის ერისთავებმა ძლიერების ხა-ნაში — XVII ს-ში დაისაკუთრეს<sup>24</sup>. 1743 წ. არაგვის საერისთავო გაუქმდა (არაგვის მოსახლეობის აჯანყების შემდეგ), ერისთავები გააძევეს და საერის-თავი ქართლის მეფე თემიტურაზე გადაეც. XVIII ს-ის დასასრულს, 80-იან წლებში იგი ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულოდ იქცა<sup>25</sup>.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თანამედროვე ისტორიულ-ეთნოგრაფიუ-ლი ლიტერატურის მიხედვით თრუსო მთიცავს ტერიტორიას მდ. თერგის სა-თავიდან ვიდრე საქათველოს სამხედრო გზაზე მდებარე, ხევის კუთვნილ სოფ. კობამდე. ასევეა წარმოდგენილი იგი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც: „თრუსოს ხეობა, მდ თერგის ხეობა კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, კავკასიონის მთაგარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის, უღელტეხილ თრუსოდან სოფ. კობამდე (სიგრძე 25 კმ. ხეობის უდაბლესი ნაწილი 2000 მ-ზეა)“ (სოფ. კობთან“).<sup>26</sup>

<sup>18</sup> ვ. გამრეკელი, დვალი և დვალეთია, გვ. 132.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>20</sup> გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 194.

<sup>21</sup> გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბ., 1961, გვ. 188.

<sup>22</sup> ვ. გამრეკელი, ი ქართველი და დვალის ურთიერთობა, გვ. 179.

<sup>23</sup> „ქეგლი ერისთავთა“, შ. მესხის გამოცემული ტექსტი, მასალები საქართველოსა და კავ-კასიის სტრიტისათვესი, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 348.

<sup>24</sup> გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა, XV—XVIII სს. გვ. 193.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>26</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 701.

ამ შემთხვევაში თრუსოში შეყვანილია მდ. თერგის ხეობის გარკვეული მონაცემები სათავიდან სოფ. კობამდე და აგრეთვე ყველა მისი განშტოებითი ხეობა, მნის ხევის ჩათვლით.

ჩვენ მიერ ყაზბეგის რაიონში (როგორც ხევში, ასევე თრუსოში) 1980—1982 წწ. შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება შემდეგი: როგორ სოელი ოსები მითითებულ ტერიტორიას უწოდებენ თგრს იქთგრჩი ის ან თგრსი ქომითგრჩი ქომ-ს (ქომ—ოს. ხეობა), ხეობის სათავე მთას — თგრსი ხოხს—თრუსოს მთას ან ხელადურ — კლდიან მთას, თრუსოს უღელტეხილს — თგრსი ავსაგას.

მდ. თერგი — ის. თერგ ან თგრჩი იდონი (დონ—ის. წყალი, მდინარე) სათავეში სამი პატარა წყლისგან შედგება. მათგან ძირითად ტოტად ითვლება შესა, თრუსოს მთიდან მომდინარე ხელადურ დონი, მას მარჯვენა მხრიდან ერთვის წლიის ხოხიდან (ხოხ-ის. მთა) მომდინარე წლიიქომ დონი (ხეობაა — წლიიქომი). მარცხენა მხრიდან მიერთვის რეჟექტორიდან ჩამოსული რეჟექტორი მომდინარე რეჰექტორი დონი. ამ უკანასკნელის შერთვის ადგილიდან, სიიდანაც მითითებული სამი ტოტი ერთ მდინარედ იქცევა, იქნდება მდ. თერგი და დ. ამ ადგილთან ახლოს, მდ. რევენიმდონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს თრუსოს პირველი სოფელი სივრცაურაში ვრცელ აურელი.

მდ. თერგს გზაღავზა უერთდებიან პატარა ხევები და წყლები; მარცხენა მხრიდან სოფ. რესიტრების ასთან ჩამოვდის ხევი ზამართავები და წყალი ზამართავები დონი, სოფ. ტეფი ის მარცხენა მხარეს — ტეფი იქომ და წყალი ტეფი იქომ დონი, სოფ. ჭიმარა აღი მარა ასთან პატარა ხევი ჭიმარა იქომი და დონი, სოფ. ყარათყაურ-სთან ღელე შუადათრე.

მდ. თერგს მარჯვენა მხრიდან მიერთვიან: სოფ. ცოცოლტა // სოსოლტა // წოლთა-ასთან ცოცოლტა ქომით და წყალი ცოცოლტა იქომი და წყალი ცოცოლტა იქომ დონი.

მითითებულ მონაცემთხვე მდებარეობს აგრეთვე სოფ. ბურმაში იგი, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ცოცოლტას გამოღმა.

მდ. თერგის (ე. ი. თრუსოს ძირითადი, მთავარი მდინარის) ხეობას მარჯვენა მხრიდან უერთდება სოფ. ყადლასენ ხოხიდან ანუ დესი ხოხიდან (სოფ. დესის სახელის მიხედვით) დესი იქომ მომდინარე მდ. დესი იქომ დონი. ამ ხეობაში ორი სოფელია უალაგ (ზემო) დესი და დალაგ (ქვემო) დესი-ორივე წყლის მარცხენა მხარეს.

მდ. თერგს მარცხენა მხრიდან უერთდება თრუსოს მესამე ხეობა და წყალი (სეატიშხონიდან—სოფ. სეატიშის მიხედვით სახელდებული) სეატიშხომში მომდინარე სვატიშე ქომ დონი. ამ ხეობაში ორი სოფელია — ერთი მის სათავეებთან — სოფ. სვატიში და მეორე, მდ. თერგთნ ხეობის შეერთების ადგილს, კლდეზე, სოფ. ჩეტოითე — უფრო ზუსტად უალაგ (ზემო) ჩეტოითე, რომელსაც ზაგაგორსაც უწოდებენ და დალაგ (ქვემო) ჩეტოითე. მათ ზემოთ მთაზე წარმომდგარია მთავარი გელოზის სახელმის სალოცავი. აღნიშნული სოფელები სამი ხეობის შეერთების შუაში მდებარეობენ. ისინი, ერთი მხრივ, მდ. სეატიშქმის მარჯვენა ნაპირს, მეორე მხრივ კი მდ. თერგის მარცხენა ნაპირს ეხებიან.

სოფ. ჩეტოითეს ქვემოთ. დაახლ. ერთი კმ. მანძილზე სწორ დაგილის, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. აბანი. მის გაღმა, თერგის მარჯვენა მხარეს ჩამოდის ხევი ეს ქომი და წყალი ეს ქომ დონი. უფრო ქვემოთ, მდ. თერგის მარცხენავე ნაპირის, მაღლობზე მდებარეობდა სოფ. ჩეტე რს იქ ტრის ი, რომელიც ამეად დაცლილია. ამ სოფლიდან გამოსული ახლა ცხოვრობდნ დაბლა, სოფ. აბანიდან დაახლ. ნახევარ კმ-ზე. ეს არის თრუსოს უკანასკნელი სოფელი.

ხეობის ქვემოთ ნაწილი საქმაოდ ფართეა. არის საძოვრებად გამოსადევი ადგილები და მრავალი მინერალური წყალი — რს. ნატ ჭანი.

თრუსოში ჩატერილი მასალებით ირკვევა, რომ ამ კუთხიდან მრავალი გზაბილიყი გადადიოდა მეზობელ კუთხებში. ერთ-ერთი ტოტის სათავიდან, კერძოდ წლივებმდონის სათავიდან გზა გადადიოდა სამხ. ოსეთის სოფ. ს ბაში. ხელადურხობიდან გზა გადადიოდა ალაგირის ხეობის ზაყას თემის სოფ. აბაი ტრი აუ-ში, რეშიქომის აელით გადადიოდნენ ჩრდ. ოსეთის დარღა კ ს-ის თემის სოფ. ჭიმარაში. მეორე ხეობის — დესიქომის გადავლით გადაღიან სამხ. ოსეთის სოფ. ედის ჭი. მდ. თერგის მარჯვენა შენაკად ესკომდონის სათავიდან გზა გადადიოდა ჭავის რის სოფ. ერმან-ში. მხოლოდ მესამე ხეობის — სვატიშქომის გადავლით ვერსად გადიოდნენ, რაღან მას კეტავს „ყინულოვანი კლდე“.

თრუსოელ და აგრეთვე ხევის ტერიტორიაზე მოსახლე ისთა ერთსულოვანი მითითებით თრუსოს ქვემოთ საზღვარია ის ადგილი, სადაც მდ. თერგის ხეობა ძალიან ვიწროვდება. (მისი სიგანე რამდენიმე მეტრია) და სადაც კლდეებში გამომწყვდეული მდინარე ზატქით მიიკვლევს გზას. აქვეა ნარჩანი და აგრეთვე წმ. გორგის სახელობის სალოცავი და შეტერულებათა ყუთი. ამ აღგილს ადგილობრივი უწოდებენ კაშარ აკა არა არას. აქედან დაწყებული ვიწრო კანიონი, მთხომბელთა განმარტებით, ამ სახელწოდებით არ აღინიშნება. საერთოდ, ვიწრო ხეობას ოსები უწოდებენ ურნევა კომ-ს. ყაშარა უვიწროვესი ადგილის, თრუსოს კარგის აღსანიშნავად იხმარება. აქვე ახლოს ყაშართულ მთას — კაშარა არა ის თხი, მისგან ჩამოსულ ხევს კაშარა არა ის კომ-ი და წყალს კაშარა არა იქონი დონი აღნიშნული ადგილის სიახლოვის გმო შეერქვა და არა — პირიქით.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, თრუსო ეწოდება ტერიტორიას მდ. თერგის სათავებიდან (მთხომბელთა ერთი ნაწილის დაწუსტებით, ს. სიგრაუტადნ, სადაც შემადგენელი სამი ტოტი ერთ მდინარედ იქცევა და მდ. თერგად იწოდება) ვიდრე ხეობის უვიწროვეს ადგილ კაშარა არა მდე.

მსხვილმაშტაბიან ტოპოგრაფიულ რუქებზე აღნიშნულია ეს პუნქტი და მას აწერია Techmna Kacapa, მაგრამ მასში მოქცეულია მდ. თერგის ხეობის ვიწრო კანიონი დაახლოებით ორი კმ. სიგრძისა. აქვე ჩამომდინარე წყალს სახელწოდება არ აწერია და ეს უნდა იყოს ზემოთ მითითებული მდ. ყაშარაიქომდონი: რუქაზე აღნიშნულია მთა კასარაც — 3500 მ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ყაშარა მხოლოდ უვიწროვეს ადგილს ეწოდება და უნდა ჩასწორდეს მისი აღნიშვნა რუქაზე.

ყაშარადან საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. კობამდე 7,5 კმ-ია. აღსანიშნავია, რომ ყაშარის კასარის სახელწოდებით ადგილი ცნობილია ჩრდ. ოსეთის ალაგირის ხეობაში და იგი მოიხსენიება ქართულ საისტორიო-

წყაროში. კერძოდ, ალაგირის ხეობის ს. ზარამაგიდან 8 კმ-ის დაშორებით მდ. არდნის ხეობის უვიწროვეს ადგილს ოსები უწოდებენ კასარა-ა-ს. ეს იგივე კასარის ხევი და კარია. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთის აღწერილობისას მიუთითებს: „ხოლო გალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს ქარის კეობა...“, „ხოლო კასრის კარი არს ქუემო ზრამაგას ქუეთ, სადც მოვიწროვდების..; და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტყირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მეფე-თაგან ქმნული, რათა არა ვილოდნენ თუნიერ მთთა ავსნია<sup>27</sup>.“

კასრის კარის გვიანდელ შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრის ფუნქცია ეკისრებოდა<sup>28</sup>. სოფ. ზარამაგიდან ჩა, ხოლო დაბა ბურონიდან ოთხი კმ-ის მოშორებით ხეობის ჩამხერგავი კედელია აშენებული მდინარის მარცხნი ნაპირზე. მისი სიგანე 50-იმდე მეტრია, ხოლო სიგრძე წყლის გაყოლებით ცოტა ამაზე მეტი, მდინარის ლონიდან კი ამაღლებულია 12 მ.-ზე. დავაკებულ ადგილს დასავლეთიდან აღმართული მთის 15—18 მ; სიმაღლე შევლიდ აღმართული კლდე ზღუდავს და, ამრიგად, „კასრის-კარი“ აგებულია ამ კლდისა და მდ. არდნის ფრინილ ნაპირს შუა<sup>29</sup>.

როგორც ითქვა, კასრის ხევს თსურად „კასრა“ ეწოდება, კასარ კი თსურ ენაში გაიაზრება კარიბეჭდ, ზღურბლად—მიუთითებს გ. თოგოშვილი.<sup>30</sup> ასევე იგი განმარტებული სურ-რესულ ლექსიკონშიც კ'ა ა ს ა რ — პ ი რ ი გ.<sup>31</sup> ვ. აბავის აზრით, აღნიშნული ტერმინი ქართულიდან, კერძოდ, რაჭულიდან—სიტყვა „ქარსელიდან“ უნდა მომდინარეობდეს; „...Вероятной кажется связь с груз. (рачин.) k'apseli, передняя.. звуковое развитие: k'arseli→k'elser→k'aeser, как с'axala→cælxæra→cæxæra, свекла“<sup>32</sup>. მაგრამ თვით რაჭაში ანალოგიურ, ხეობის ჩამეტ ვიწრო ადგილებს კარი ეწოდება (და არ ქარსელი), მაგ., ხიდის კარი—ქვემთ და ზემო რაჭის სასაზღვრე ვიწრო ადგილია მდ. რონის ხეობაში, ისევ როგორც საქართველოს სხვა კუთხებში—ტაოს კარი, არაგვის კარი და სხვა. იმავეს ნიშნავს ზეპირისტყვიერების კართანა:

ცხრანი ძმანი დევები, მეთე სტანვ მამია,  
კართანა შეკრეს არავი, შუაფხოს შემძღვანო.

„კართანა“ ადგილია კლდიანი, სადაც ვიწროდ გამოდის არაგვი<sup>33</sup>. ჩვენთ აზრით, აღნიშნული ტოპონიმი თუთ სიტყვა კასარი-დან უნდა მომდინარეობდეს. ძევლ ქართულში ტერმინით კასარი აღინიშნებოდა (ციხე, კოშკი<sup>34</sup> და საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის (დვალეთის ტერიტორიიზე) დაცველი კოშკის — კასრის მიხედვით უნდა შერქმეოდა მითითებულ ადგილს“ კასრის კარი“ და „კასრის ხევი“. მა აზრის სისწორეს აღასტურებს ანალოგიური ვითარება ხევსურეთში, კერძოდ, ახსოტში, სადაც ქისტების ტერიტორიასთან შე-

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, მითო. გამოცემა, 644—645.

<sup>28</sup> გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბ., 1977, გვ. 19.

<sup>29</sup> გ. გამრეკელი, დვალეთის კარი ცენტრალურ კავკასიონზე, ძევლის მეცნიერი, თბ., 1965, 5, გვ. 25.

<sup>30</sup> გ. თოგოშვილი, საქართველო ისეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1953, გვ. 32; მისავა, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, გვ. 20.

<sup>31</sup> ისეთი მარტინ ბაგრატიონი, 1970, გვ. 270.

<sup>32</sup> В. И. Абаев, ИЭСОЯ, I. М.—Л., 1958, გვ. 630.

<sup>33</sup> ქართული ხალხური პოზირი, I, თბ., 1972, გვ. 306.

<sup>34</sup> ი. აბულაძე, ძევლი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 193.

მხებ ყველაზე კიწრო სასახლეო ადგილს (არხონტის ქედისა) უწოდება ქავის კარი. ქავს ხევსურები უწოდებენ ციხეს, კოშეს, დამცველ ნავებობას. კლდიდან გზამდე ექ მაღალი გალავნი იყო აშენებული, გზის პირში კი საყარაულო სიმაგრე. სწორედ ამ ნავებობას უწოდებდნენ ხევსურები ქავს, აღვილს კი — „ქავის კარს“<sup>35</sup>.

ვფიქრობთ, რომ ალაგირის ხეობის მითითებული ტოპონიმის (რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ხეობის გამაგრებულ ვიწრო ადგილს ციხის, კოშკის-კასრის მიხედვით ეწოდა) შინაარსის გაფართოება უნდა მომხდარიყო და ასევე აღინიშნებოდა შემდგომში ხეობაც — კასრის კარი კასრის ხევი. გ. ორგოშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს: „ჩვენის აზრით, გარკვეულ ხანაში, მათ შორის ვახუშტის დროსაც, ვალაგირის ხეობა და კასრის ხეობა სინონიმებს წარმოადგენდნენ, ამასთან კასრის ხეობა მისი ძველი სახელწოდება იყო, ვალაგირის //ალაგირისა (ნიშავრს ზემო თხობას, ზემო თხებს) კი უფრო გვაიდელი, როცა ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე მოხდა თათა დამკვიდრება. ამიერიდან ისინი პარალელურად იხმარებოდა. ამასთან „კასრის ხეობის“ შინაარსი დაკავშიროდა და კარების სამხერეთით მდებარე ნაწილის აღსანიშნავად იხმარებოდა. ეს კარები, ვახუშტის წარმოადგენით სწორედ იმიტომ თვით, რომ ქართველ მეფეებს თათა სამხერეთით მოძრაობისათვის კონტროლი გაეწიათ“<sup>36</sup>.

ტერმინი „კასრის ხევი“ მთელი ალაგირის ხეობის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო, არამედ, მხოლოდ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის უკიწროვეს ადგილის აგებული სიმაგრის — კასრის — მიმდებარე ხეობისა, ხოლო კასრის კარი — თვით ამ უკიწროვესი ადგილისა, ისევე, როგორც ხევსურეთში. ამაზე მიუთითებს თრუსოში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალაც, საღაც კასარა ეწოდება ხეობის შესასვლელ უკიწროვეს აღვილს, ხოლო მისი სიახლოესი გამო ასევე ეწოდა მთასა და ხევს.

თრუსოელ თათა ძირითადი კონტიგენტი ჩრდილო თხეთიდან მოსული ისებია. მათ შორის უმრავლესობა ალაგირის ხეობიდანაა გამოსული. სწორედ მათ უნდა გადმოეტანათ ტერმინი კასარა და შეერქმიათ თრუსოს კარისთვის, მდ. თერგის ხეობის უკიწროვესი, ჩამკეტი ადგილისათვის.

თრუსოს კასარასთან სიმაგრე არ ყოფილა, მაგრამ ამ ადგილის, როგორც სასახლეო კარების მნიშვნელობაზე (გარდა მოტანილი ეთნოგრაფიული მისალისა) ერთი გარემოებაც მიუთითებს: როგორც ზემოთაც ითქვა, მითითებულ ადგილზე წმ. გორგის — თს. უასტერჯის სალოცავი და შეწირულებათა ყუთია. ექ გორგლელსა და გამომელელს საღიძებელი უნდა ეთქვა (თუ ჟქონდა სამელა-შეესა) და შეწირულება გაეღო. ასეთივე ხატია ალაგირის ხეობის „კასრის კართანაც“. რაჭაში მცხოვრები თასი — ალისან ნარტყაშეილის (ს. გადაში — ონის რ-ნი) მიერ ასეთი მონათხრობი ჩავიწერეთ: ალისანი (რომელიც მძღოლია) მანქანით მამისონის უღელტეხილის გავლით გადასულა ალაგირის ხეობაში. მას კასარასთან ახლოს მანქანა გაფუჭებია (ზეთის მილი გამსკადარი) და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავიწინილა. ამ დროს მოხუცს გამოუვლია და შე-

<sup>35</sup> ა. თ. ჩ. ი. ა. უ. რ. ი., ხევსურული მასალები, II, 1949, რ. I(17), გვ. გვ. 19—20 (ი. ჯაბაშვილისა სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების აზევე).

<sup>36</sup> გ. ორგოშვილი, საქართველო-თხეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინ., 1953, გვ. 32.

წუხებული მძღოლის თვის უკითხავს — წმ. გიორგის — უასტერჯის ხატი თუ ადლეგრძელება? აქ გამვლელმა ფული უნდა გადაისროლოს, სალოცავი ადიდოს, ჭიქა არაყი დალიოს და ისე გააგრძელოს გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებაო. ოლიხანს თავი უმართლებია — წესი არ ვიცოდიო. ამოულია საგზალი, სასმელი და ყველაფერი ისე გაუკეთებია, როგორც მოხუცს დაურიგებია. მალე სხვებიც გამოჩენილან, დახმარებიან და მანენა შეუკეთებიათ. მთხრობელი ირმუნება, რომ სადაც არ უნდა იყოს იმ სალოცავის სადღეგრძელოს ყოველთვის მშობას — „შეგვეწიოს კასარის ჭვარიო“ (ოს. ბახუსქეთათ კასარა ძუარ) <sup>37</sup>.

ზემოთ აღნიშნული იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ალაგირისა თუ თრუსოს კასარასთან არსებული წმ. გიორგის ხატებს თავიანთი საცხოვრისი ტერიტორიიდან გასული მეომეებისათვის მშვიდობით დაბრუნება უზრუნველეყოთ. ხოლო ამ აღვილებზე ამ ხატების არსებობა სწორედ საზღვრის მიმთთებელი უნდა იყოს.

თრუსოს კარიდან, ყაშარადან მდ. თერგის მიმართულებით დაახლოებით ორი კმ-ს მანძილზე ხეობა ვიწრო, მყაცრი და კლდოვანი და დასახლებისათვის ვამოუსადეგარი. ხეობის ამ მონაცევის თრუსოლები ქვეინ აღვილს — ხურან და ლამა მას უწოდებენ. ამ კლდოვან ვიწროებს გავდივართ თუ არა მდ. თერგის მარცხენა ნაბირზე მდებარეობს სოფ. უალაგ (ზემო) ოქროყანა. ზემო ოქროყანიდან სოფ. კობამდე 2,5 კმ-ია, ქვემო ოქროყანიდან — 2 კმ. მდ. თერგის მარცვენა ნაბირზე მომდევნო სოფელი ნოვე (ფუ ა უ).

აქვე ახლოს, მდ. თერგის მარცხენა მხრიდან უერთდება მნის ხეობაზე ნიჭოვთ მისი და წყალი მნაიჯ თმდონი. მისი აყალოებითაა სოფ. შევარდენი ნი, ხოლო ხეობის სიღრმეშია — სოფ. მნა.

სოფ. ნოვეულან იწყება დაბლობიკ თბი ფუჟ (ფუზ), რომელსაც მოხევები ადოს მინდორს უწოდებენ. იგი გადაჭიმულია მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ნოვეულან სოფ. ალმასიანამდე. მოხევეებმა ამ აღვილს „შეუნარჩუნეს ისტორიული სახელწოდება“<sup>38</sup>. ეს უკანასკნელი მოხსენებული აქვთ გულდენშტერსაც: როდესაც მოზღვოიდან საქართველოში შემოვიდა ტოტლებინი ამ მხარეში თერგზე, კობთან, პატარა ველზე, რომელსაც ქართველები ადოს მინდონის უწოდებენ შეხვდა მას ერეკლე მეფე<sup>39</sup>.

წერილობით წყაროებში თრუსოს ტერიტორიული საზღვრები დაშუსტებით არ არის მითითებული, მაგრამ მათი ანალიზიდან გარკვევით ჩანს შესატყუებისობა ეთნოგრაფიულ მონაცემებთან: პირველი მონაცემები გვხვდება XIV ს-ის ძეგლში — ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში — „ძეგლი ერისთავთა“, სიღრმაც ჩანს, რომ „თრუსულინი“ და „მნაველინი“ ერთმანეთს მტრობენ. წყაროში ვკითხულობთ: ერისთავი ვიზშელი „მაშინ ჩავიდა თრუსუს და მიეგებნეს თრუსულინი მრავლითა ძლუენითა და ერთგულობისა ჩუენებითა და ეველრენს შუელად მტერთა მათთა ზედა მნას. ხოლო ერისთავმან უბრძანა მნავლთა მოსვლად წინა მისა, არამედ მათ არ ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მე-

<sup>37</sup> გ. ჩივთვანი, რაჭის ეთნოგრაფიული ექსპოუნის დოკუმენტი, 1982, I, გვ. 53—54.

<sup>38</sup> გ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, გვ. 48—49.

<sup>39</sup> გრელდენშტერს მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964, გვ. 225; გ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

„მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 2

შინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდაა.<sup>40</sup> მაშინ განრის-ხებულმა ვირშელმა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შეტრია მნაველთ, დაამარცხა ისინი და „...დაწუნეს და დაარღვნეს ციხენი და სოფელნი იმათნი“<sup>41</sup> ცხადია, აქ იგულისხმება მნის ხეობის სოფლები. მნაველთა მოსახმარებლად მოდიან მოხევეები: „ესმა მოკეეთა და მოვიდეს ბრძოლად და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისამ, შიშით დაიმალნეს. უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოკეეთა სიმრავლე ძლიერისა...“<sup>42</sup>

მოტანილი ციტატებიდან ჩანს, რომ რთუსოელნი და მნაველნი მტრები-ირიან, ამ უკანასკნელთა დაცვა მოხევეთა საზრუნავია და მათი ურჩიბისათვის იგინივე იძლევიან ძლვენს, რაც მოწმობს, რომ მნის ხეობა ხევის ტერიტორიაა.

სოფ. მნა და მის ქვემოთ ასებული სოფ. აღო ხევის სოფლებს შორისაა მოხსენიებული XV ს-ის ხელნაწერში — გრგეტის სამების „მატანე მოსახსე-ნებელი სულთაა“<sup>43</sup> აქვეა მათვან დამოუკიდებლად მოხსენიებული თრუსო-ელიც — „თრუსოველთააცა...“<sup>44</sup>.

ვ. ითონიშვილი ფიტრობს, რომ სოფ. აღო უნდა ყოფილიყო თანამედროვე სოფ. ნოგაუს ადგილს. სახელწოდება ნოგაუ ისურად ახალ სოფელს ნიშ-ნავს და ძეველ ნამოსახლარზე უნდა იყოს აშენებული<sup>45</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი თრუსოს მდებარეობის შესახებ წერს: „ხოლო ზა-ხის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო, რომელსა ექს აღმოსავლით მთა, ხოხიდამ და ქევის ყელიდამ ჩამოსულნი მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განპყოფენ ქევსა და თრუსოსა, სამხრით კავკასი, მთიულეთსა, მაღრან-დუალეთსა და თრუსოს შორისი, ჩრდილოთ მყინვარი და ხოხის კავკასი; და-სავლით თრუსოსა და ზახის შუათი მთა. და არს თრუსო სამ ქეობად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრან — დუალეთის კავკასია და მესამე ხოხის კავ-კასას“<sup>46</sup>.

ვახუშტისეულ რუქაზე მითითებულ ტერიტორიას მიწერილი აქვს „თირ-ს ი“ და ასოები მდ. თერგის შემადგენელ სწორედ იმ სამ ხეობაზეა განაწილებული, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ზემოთ საუბარი. სამი ხეობის შესაყარის-ქვემოთ ადგილი სუფთაა. აეტორს საჭიროდ რომ ჩაეთვალა, თავისუფლად შეიძლებოდა ასოს ქევმოთ ჩამოტანა. ჩვენი აზრით, მან ზუსტად მიუთითა თრუსოს ტერიტორიად მიჩნეული — სამ ხეობად განტორებული მონაკეთი. ვეტორის მითითება სხვა ადგილზე იმის შესახებ, რომ მდ. ხევისა — არაგვი... დაის აღმოსავლეთად ჩასავლამდე“... ე. ი. კობამდე), „ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ქევად“<sup>47</sup>. სრულიდა არ ნიშნავს იმას, რომ აქედანვე — კობიდან იწყება თრუსო, არამედ გას „საორიენტაციო მნიშვნელობას ანიჭებს ერთ შემთვევში თრუსოს ხეობის ლოკალიზაციისათვის... ხოლო მეორე შემთხვევაში

<sup>40</sup> ქვეღლი ერისთავთა, მითითებ. გმირც. გვ. 357.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 357—358.

<sup>42</sup> ქვეღლი ერისთავთა, მითითებ. გმირც., გვ. 358.

<sup>43</sup> ქ. შარაშიძე, გრგეტის მატანე, სეკი, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 246—247.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>45</sup> ე. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48—49.

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 356—357; იგივე მონაკეთის აღნიშნავს „თრუსო“ ქ. გვასა-ლის სემმაზეც. ქ. გვასალი, არაგვის ხეობის სტროიული გეოგრაფიის საკითხები, სა-ქართველოს სტროიული გეოგრაფიის ქრებული, V, თბ., 1975, სექმ. 2.

ხევის ისტორიული ქეგლების მდებარეობის საჩვენებლად... („ჩასავალს ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა“).<sup>48</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში თრუსოში მნის ხევიც შევიდოდა და აეტორის მითითების საწინააღმდეგოდ სამ ხევად კი არა, ოთხ ხევად წარმოგვიდგებოდა.

გარდა ამისა, ვახუშტის თავის რუქაზე ოსური სოფლები აღნიშნული აქვს ნიშნით 8; თრუსოში მხოლოდ რვა ასეთ ნიშნისი სოფელი (დაბა) აქვს მითითებული. ხოლო ხევში ქართული სოფლების (აღნიშნულია ნიშნით 3) გარდა მხოლოდ ორი ოსური სოფლის ნიშანია სოფ. გველეთის სამხრეთით და თანამედროვე კობის აღგილის.<sup>49</sup>

1743 წლამდე არც ერთ ხალხთა აღწერის დავთას არ მოუღწევია, სადაც ნაჩვენებია თრუსოს სოფლები და მოსახლეობა<sup>50</sup>. XVIII ს-ის ცნობებით კი არაგვის საერისთავოში შემავალი ხევის სოფლების სიაში მითითებულია სოფ. ე დ ო, სადაც ორ კომლს უცხოვრია და სოფ. მ ნ ა — 23 კომლით<sup>51</sup>.

სოფ. ოქროყანას ხევის სოფლად მოიხსენიებს ნ. ჰილაშვილი, რომელიც მთის მმართველად მუშაობდა და 1827 წელს ფინანსთა მინისტრის დავალებით შეადგინა აღმ. საქართველოს მთიანი რაიონების, მათ შორის თრუსოსა და ხევის სამეურნეო მიმოხილვა.<sup>52</sup>

1887 წ. ნ. კ. ნიკოლოზი წერდა: „Осетини насељяют неприступное Трусовское ущелье образуемое верхним течением реки Терека<sup>53</sup> ქ ა ვტორიც ჩვენ ჩერე მიერ მითითებულ თრუსოს ტერიტორიას უნდა გულისხმობეს, რომელიც ყაშარად ან მოყოლებული, მართლაც, მიუდგომელი იყო იმხანად.

ა. მ. ცაგაევის, რომელმაც სპეციალური ნაშრომი გამოსცა ოსეთის ტოპონიმიკაზე, ხეობების მიხედვით მოყავს მასალა. ტოპონიმების ერთი ჯგუფი მას გამოყოფილი აქვს სათაურით „თრუსოს ხეობაში“. სქოლიოში კი შენიშვნავს, რომ ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულია თრუსოს, ღუდისა და მნის ხეობებისა და აგრეთვე სს. კობის, ზემო და ქვემო უხათის, ქუმლისციხის—ე. ი. ყაზბეგის რაიონის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დასახლებულია ოსებით<sup>54</sup>. ამ სახით მასალის გაერთიანება, ცხადია, შეცდომა. იგი მომავალში მრავალი გაუგებრობის საფუძველი გახდეს, შესაძლოა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ავტორს თრუსოსა და მნის ხეობები გამიჯნული აქვს.

ცხადია, სს. ოქროყანისა და შევარდენის სახელწოდებებიც ამ ადგილებში ქართული მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს წარსულში. ამ ადგილებში ამეამად მოსახლე, ასიდევ წლის წინათ ჩასახლებული ოსები თრუსოდან, ჩრდ.

<sup>48</sup> ვ. ითონიშვილი, ჯვრის ულელტეხილის სახელწოდებანი, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1974, I, გვ. 81.

<sup>49</sup> ჭ. გვასალია, შილა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1976, I გვ. 148.

<sup>50</sup> დ. გვრიგოშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 98.

<sup>51</sup> ე. იაგიაშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა შე-18 ს., 1907, გვ. 96.

<sup>52</sup> ჩ. ჩილაევ, დასახ. ნაშრ., გვ. 350.

<sup>53</sup> ჩ. ჩ. ჩილაევ, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

<sup>54</sup> ა. და. ცაგაევა, თოponimia Северной Осетии, I, Ордж. 1974, გვ. 61.

თსეთილან და სხვა კუთხებიდან არიან მოსულნი. მათ შორის მრავალი გამსებული ქართველია. მაგ., სუჩიაშვილები, ქასაშვილები და სხვა.<sup>55</sup>

როგორც ზემოთ აღინიშვა, ყაშახაძინ მოყოლებული ტერიტორია, მნის ხეობის ჩათვლით, არც ერთ თსს თრუსოდ არ მიაჩნია, მაგრამ მას არც ხევს ჭრ უწოდებენ. „ეს არც ხევთ, არც — თრუსო. ეს ცალკე ტერიტორიაა — ა— გვეუბნებრინ ისნი. მნის ხეობის მცხოვრებნი ამბობენ. — „ჩვენ მნაიქომში ვცხოვრობთ“, ხოლო სხვები = „კომბიტაზე-ო.

მთხელეების უძრესობამაც იცის, რომ თრუსონ ხეობის უვიზროვესი ადგილიდან იწყება (ზოგმა არ იცის სახელწოდება—ყაშარი), ზოგიერთები კი რთუსოდ მიიჩნევენ სოფ. კობილან მდ. თერგის აყოლებით ტერიტორიას მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აქედან მოყოლებული მხოლოდ ოსური სოფლებია ვანლავებული.

მსგავსი მოვლენა საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის შემჩნეული ეთნო-გრაფთა მიერ. მაგ., ომოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი ლიხის ანუ სურამის ქედის გაღიამდელები — იმერლები, გაღმორმელები — ქართლე-ლები — არც ერთს არ მიაკუთვნებენ თავის თავს და ამბობენ: ნამდვილი იმე-რეთი მოლითს ქვემოთ იწყება, ხოლო ნამდვილი ქართლი — გომის შემდეგო. საკუთარ საცხოვრისს კი „შეა ქვეყანას“ უწოდობენ<sup>6</sup>.

ორი კუთხისა და ხალხის სეცო შემცველი ხაზის ღლაპინშვავად, ხადაც თავს იყრის შერეული კულტურის მრავალმძრივი მონაცემები, გ. ჩიტაიმ სამეცნიერო ლიტერატურულში შემოიტანა ცნება „ლამიტროპული ზოლი“.<sup>57</sup>

ამერიკად შეიძლება ასეთ ლიმიტრობულ ზოლად ჩაითვალოს მდ. ორგანის ხეობის მონაცემთი ყაშარადან მოყოლებული სოფ. კობამდე და აგრეთვე მნის ხეობა, საღაც, როგორც ითქვა, მოსახლეობენ ჩრდ. და სამხ. ისეთიდან, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხებიდან (მაგ., მთიულეთი) გამოსული ისები და ამერიკად გაოსებული ქართველები. მათ ყოფასა და კულტურაში შექმული ელემენტების შესწავლა და გამოვლენა საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

ამრიგად, ზემოდგანის მასალების საფუძველზე დგინდება, რომ თარუ სოს ტერიტორია მოიცავს მდ. თერგის ხეობის მონაკვეთს მისი სათავეებიდან, ვიდრე ხეობის უვიწროვეს ადგილ ყაზარ აქა რა-მდე, რომელიც წარსულში დაღარა, ხოლო შემდგომში აქ ჩამოსახლებულ ოსთა სამოსის ხელო ტერიტორიის სახაზე კარგი უნდა ყოფილიყო.

კაშარადან მოყოლებული მდ. ოქრიძის ხეობის დაახლოებით 2 კმ-იანი კანიონი ბურგბრივ სასაზღვრო ზოლს წარმოადგინდა თრუსისა და ხევის შორის.

იმ ადგილიდან, სადაც მდ. თერგის ხეობა ფართოვდება და მდებარეობს სოფ. ზემო ოქროყანა, სოფ. კობამდე და აგრეთვე მნის ხეობა, ხევის ტერიტორიას მიეკუთვნება ტრადიციულად<sup>55</sup> მდებარეობა, მხარის ისტორიულ-ეთნოგრა-

<sup>57</sup> გ. ჩ. ი. ტ. ა. კ., ეთნონიმიკური ხალხური გამოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 393, ლ. ფრ. უ. ი. დ. ე., ფას. ნაშრ., 138.

ფილი შესწავლისას ეს მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული და მასალაც ამასთან შესატყვისობაში წარმოდგენილი.

გარდა ამისა, მოთითებული ტერიტორია უნდა ოღნიშვნებოდეს ტერმინით თრუსო, და არა თრუსოს ხეობა, რის საფუძველსაც იძლევათ წერილობითი წყაროები. თრუსოს ხეობის დაპირისპირება მდ. თერგის ხეობასთან გამართ-თლებული არ არის, რადგანაც ხევიცა და თრუსოც მდ. თერგის ხეობის ორი სხვადასხვა მონაკვეთია.

### Г. Д. ЧИКОВАНИ

## К ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ТРУСО (По этнографическим материалам)

### Резюме

Для изучения грузино-осетинских взаимоотношений особенно интересен Казбекский район, где в течение нескольких столетий в тесных культурно-исторических связах проживают грузины, в частности, мохевцы и осетины. В этот район входят две известные историко-географические единицы. В процессе изучения структуры поселения выяснилось, что осмысление границ Трусо и Хеви в современной историко-этнографической литературе не совпадает с данными этнографии.

Проделанная нами работа показала, что Трусо охватывает территорию верховьев р. Терека—от Трусовского перевала до места, которое называется Касара, а не до с. Коби, как указывается в современной историко-этнографической литературе. Касара считалось воротами Трусо, где в ранние века проживали двалы, а после—осетины, пришедшие сюда после нашествия монголов с ущельев (преимущественно из Алагирского) Северной Осетии. Термином Касара обозначалась также северная граница Алагирского ущелья (точнее, сев. граница Грузинского царства), которая была укреплена крепостной стеной и башней (по-груз. Касрис цихе, а теснина ущелья—Касрис хеви). По нашему мнению указанные термины—т. е. Касара Терского ущелья и Алагирского ущелья происходят от термина касри, что в старогрузинском означало «крепость», «башня».

Осетины, пришедшие из Алагирского ущелья в Трусо, назвали этим же термином ворота последнего.

Хеви охватывал территорию от с. Верхнего Окрокана до с. Коби, включая и Минс хеви, на что указывают письменные источники. Кауньон между Касара и Верхним Окрокана, непригодный для поселений, представлял естественную границу между Трусо и Хеви.

В данное время проживающие в Минс хеви и на Кобифаз осетины и осетинившиеся грузины себя не причисляют ни к трусовцам, ни к хеви. Эту часть можно считать лимитропической зоной, которую следует подробно изучать.

После всего сказанного выше, как нам кажется, будет неправильно говорить обо всех женщинах, работавших в государственном хозяйстве под термином *gētē*, как о «рабынях» (ведь термин «рабыня» в первую очередь подразумевает юридический момент). Среди них, конечно, были с юридическим статусом рабынь, но встречаются и свободные лица. Термин же *gētē* этого не различает. Из-за этого в хозяйственных документах данный термин, по нашему мнению лучше переводить вообще как «работница», тем более, что отдельные группы женского персонала, упоминаемого как *gētē*-собственно рабыни или юридически свободные—не отличаются друг от друга экономическим положением, формами эксплуатации труда или оплаты. В таких случаях юридическому статусу женщин-работниц не придается никакого значения.

В заключение несколько слов о юридическом статусе занятых в государственном хозяйстве подростков-*dumu-pīta* (мальчики-*dumu-pīta* или девочки-*dumu-pī*). В данном случае мы имеем дело с тем же положением, как и с *gētē*. Выясняется, что определенная часть подростков, быть может, и большая, с рождения же имеет статус рабов. Таковыми мы считаем: 1) детей пленных женщин, тех же пленных, которых вместе с матерями распределяли по разным филиалам хозяйства<sup>22</sup>; 2) большую часть пожертвованных<sup>23</sup> и 3) детей работающих в хозяйстве рабынь, обычно упоминаемых по имени матери<sup>24</sup>.

<sup>21</sup> CT VII, 18395, об. 5; STA, 10 VIII 9—10, 13—14 (в этом последнем случае работница (*gētē*) является дочерью энгара-*Gēme-ba-bi dumu PN enger*), IX 13—14, 17—18 (и здесь *gētē* упоминается как дочь энгара—*Ug-am dumu Ur-<sup>d</sup>Lama engar*), 22—23 (*Nin-lū-ša<sub>6</sub>-ša<sub>6</sub>* dumu *Ur-te-na udul*).

<sup>22</sup> Их встречаем обычно вместе с пленницами (см. здесь же, прим. 4).

<sup>23</sup> AI, A I 1—5 сл.; B I 3—6 сл.; NAT, 166:21; WMAH I, 176 I 37—38, III 5 сл.; STA. 4 V9, 11; 10 YII 12, 18; YOS IV, 67:6; MVN VI, 530:10, об. 1, 3, 10; CTC, 54 IY24—25, 35—3

<sup>24</sup> Пока что, поскольку у нас нет других критериев проверки, большую часть подростков, упоминающихся по имени матери, следует считать рожденными несвободными. По данным содержащих соответствующие сведения документов выясняется, что число подростков с таким статусом должно составлять 70—75% занятых в хозяйстве несовершеннолетних (документы см. здесь же, прим. 26).

<sup>25</sup> An Or I, 85:55, 139—159; SET, 252:47; TRU;378:3—5; MOS XVI, 162 II 6 YI 40, IX 6, 15—34.

Данные документов подтверждают тот факт, что часть подростков рождена свободными, например: 1) нанятые (*dumi-ბიპ-მე*<sup>25</sup>) и 2) дети свободных родителей. При выделении этой последней группы исходным для нас является факт упоминания детей по имени отцов<sup>26</sup>.

Вот вкратце то, что мы хотели сказать о социальном статусе работников, упоминаемых под терминами *gème* и *dumi*<sup>27</sup>.

Представлена отделом древней истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

---

107; 320; 326; 352; 419; СТС, 54; RTC, 400; 404. Выяснилось следующее: из 1048 случаев, когда указаны имена отца или матери несовершеннолетних работников, в 280 случаях указаны имена отцов (27%) в остальных 768 (73%)-имена матерей.

<sup>27</sup> Список сокращений см. в сборниках: Вопросы древней истории, III, Тб., с. 252—254, IV, Тб., 1973, с. 208—209; V, Тб., 1977, с. 199—202; VI, Тб., 1980, с. 192—195; VII, Тб. 1984, с. 178—180.

<sup>28</sup> С этой точки зрения нами были выборочно проверены хозяйствственные документы указанной эпохи, в которых представлены более полные сведения по интересующему нас вопросу (см. WMAHI, 175; 176; 277; SADI, 12; STA, 4; 10; 28; HSS IV, 2; 21; 49; MOS XVI, 154; 157; 159; 162; UET III, 1042; 1415; HLC II, 51, I; 59, 19; HLC III, 142, 375; CT VI 17761; 18379; 18409; CT X, 19065; GDD, 324; 382; YOS IV, 232; АпОг I, 280; SWL, I; MVN,

## ლაშა პირიარი

### ეგრეთ ფოდებული სეგმენტი იარაღის ცუნდის გარემონტის

გვიანბრინგაოს ხანის კოლხეთის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძერები შეინიშნება. საომარი იარაღების გვერდით ამ პერიოდში დიდი რაოდენობით გვხვდება სამიწათმოქმედო იარაღები: თოხები, ცულები, წილდები, სეგმენტები. ეს უკანასკნელი კი თოხთან და ცულთან ერთად კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია.

1. ო. ჭაფარიძე, კოლხური ცული, საქ. სახელმწ. მეზურების მოაშე, XVI—1950; გ. გობეგიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. სივრ. ქველი ქართული სამთმადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები ს. ლებანი, საქ. სისტ. აკადემიის მომენტი, ტ. XIII, № 3, 1952; ც. ბაბუაძე, რ. ბაბუაძე, თ. ღვალი, თ. ჭაფარიძე, სასილანქ-ბრინგაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958, თ. ჭაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასვლურ - ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტ. 49, 1953; ალ. კალანდაძე, სოხუმის მთას არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, ალ. ჭაფარიძევილი, ტ. ჩუბანინიშვილი, უდეს გინძი, საბჭოთა ხელოვნება, 1959, № 4; თ. ჭაფარიძე, გ. გობეგიშვილი, ვაინბრინგაოს ხანის ძეგლები დასვლეთი საქართველოდან, საქ. არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 155—190; დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბ., 1961; ლ. სახაროვანი, ვაინბრინგაოს ხანის ლექჩერის სამთმადნოში იარაღების შესწავლისათვის, მაცნე, 1964, I; თ. ღამბაშვიძე, თბილისის განა, 1963; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1965, В. И. Стражев, Бронзовая культура в Абхазии. Изв. абрх. научного общества, IV, 1926; М. М. Иващенко, Исследование археол. памятников материальной культуры в Абхазии, Тб., А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Изв. ГАИМК., Вып. 120, 1935, М. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов; მასლები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1941; А. Л. Лукин, Материалы по археологии Бзыбской Абхазии, ТОИПК, № 1941; Б. А. Куптина, Урартский «колумбарий» у подошвы Арагата и Куро-Аракский энеолит, საქ. სის. მეზურების მოაშე, XIII—В, გვ. 27 და შვ. გ. კ. Ниорадзе, Археологические находки в с. Квиши, СА, XI; Б. А. Куптина, Материалы по арх. Колхида, т. I—II, Тб., 1949—1950; Ф. Тавадзе, Т. Сакварелидзе, Бронзы древней Грузии, Тб., 1959; М. Трапиш, Памятники колхицкой и сикифской культуры в Абхазии, Сухуми, 1962; Г. С. Читая, О некоторых памятниках древнеколхской культуры: VII международный Конгресс антропологич. и этнографич. наук-М., 1964; თ. ლორთქიძე ბანი, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; Г. Лордкипаниძე, К истории древней Колхиды, Тб., 1970; თ. ლორთქიძე ბანი, ძველი კოლხეთის კულტურა, 1972; ი. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიისათვის, თბ., 1973; ი. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდნ, ბათუმ, 1974; თ. მიქელიძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ შეიხლებისარებოს უძველესი მოსახლეობის ისტორიიდნ, 1974; ლ. სახაროვანი, ბრინჯაოს განვითარების ლექციები, თბ., 1976; გ. ბაბუაძე, შემცულის სამართვანი, თბ., 1977; Г. Лордкипаниძე, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978; О. Лордкипаниძე, Древняя Колхида, Тб., 1979; თ. ჭაფარიძე, დასვლეთ საქართველო ვაინბრინგაოს ხანში, საქ. სისტ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1982, № 1, № 2; ე. გოგაძე, კოლხეთისა და ბრინჯაოს აღრული რეინის ხანის ნამთსაბლართა კულტურა, თბილისი, 1982.

სეგმენტური იარაღის ფუნქციის შესახებ სადლეისოდ ერთი, გარკვეული აზრი არ არსებობს, ამიტომ ეს საკითხი უთუოდ საინტერესოა.

სეგმენტური იარაღი ლითონის სწორი და ბრტყელი ფურცელია, რომელ-საც აქვს სეგმენტურად მორქალული სამუშაო პირი, ოდნავ მოგრძო და ხშირ შემთხვევაში ტრაპეციის ფორმის ყუნწი და უმეტესად არათანაბრად გაშლილი მხრები.

სეგმენტურ იარაღებში ძირითადად სამ ტიპს გამოყოფენ:<sup>2</sup> 1. ტრაპეციის ფორმის; 2. დაბალი სამუშაოპირიანი და პორჩონტალურად გაშლილმხრებიანი-და 3. ბარისებრური.

დასაკლეულ საქართველოს ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, კოლხეთში ყველაზე აღრე პირველ ტიპში გაერთიანებული იარაღები ჩნდებიან. მათვეს ძირითადად დამახასიათებელი სახე — ტრაპეციის ფორმა; ყუნწი მკეთრად არ არის გამოკვეთილი, მხრები სწორად ბრტყელია ან ოდნავი გამრაღდებითაა დაქანებული, სამუშაო პირი ორმხრივი ლესვის გამო სოლურია და მკეთრად არ არის მორქალული. სიმაღლე არ ჭარბობს უდიდეს სიგანეს (სიმაღლე 8—11 სმ., პირის უდიდესი სიგანე 8,5—14,5 სმ.).

ისინი აღმოჩენილია:

ძვ. წ. XIV—XIII სს. დათარილებული მელიქედურის, ფარცხანაყანევის, გორას განძებში;

ძვ. წ. XII—XI სს. — ვაკიჯვრის, ციხისძირის, ოფშევითის განძებში;

ძვ. წ. XI—X სს. — ცაგერის განძებში<sup>3</sup>.

მათი გავრცელების არეალი ძირითადად კოლხეთის ბარით და ნაწილობრივ ზეგნებით არის შემოფარგლული.

მევლევართა გარკვეულ ნაწილს (გ. ჩიტაია, ლ. სახაროვა; ალ. რამიშვილს — სამივე სახეობა)<sup>4</sup> სეგმენტების ეს ტიპი ხევწად, ტყის გაეთვალის და ხის და-სამუშავებელ იარაღად მიაჩნია. დ. ქორიძე<sup>5</sup> არ გამორიცხავს მათ გამოყენებას. ნიადაგის დასამუშავებლად ე. წ. სათოხნ-სამარგლ იარაღად.

მეორე ტიპში გაერთიანებულ იარაღებს ახასიათებთ სიმეტრიულად მორქალული პირი, ზევით აწევილი ნიღრები, ოთხეუთხა ყუნწი, დაბალი და განიერი სამუშაო პირი (ალბათ მუშაობის შედეგად გაცვეთილი).<sup>6</sup> სამუშაო პირის სიმაღლე 4—4,2 სმ., უდიდესი სიგანე 13,0—13,5 სმ.).

პირველ ტიპში გაერთიანებულ იარაღებთან შედარებით მათ გამოკვეთილი ყუნწი და მხრების ფორმაც ერთგვარად გაუმჯობესებული აქვთ.

ისინი აღმოჩენილია. ძვ. წ. XII—XI სს. დათარილებულ ვაკიჯვარის, შრომის, ართვინის, ყარა-დერეს, ზენითის, ციხისძირ-სამების, საქარის განძებში; ძვ. წ. XI—X სს. — ცაგერის განძებში<sup>7</sup>.

<sup>2</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—94; ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდნ, ბათუმი, 1974, გვ. 66.

<sup>3</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—31.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, თოხის კულტურად დასაკლეულ საქართველოში (კოლხეთში). ივ. ჯვისიშვილის სახ. სატორის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 2; ლ. სახაროვა, გვიანდებითავის, ნინის ლექსიუმის სამიწამოქმედო არალების შეწარელასათვის, მაცნე, 1964, № 1, გვ. 167, ალ. რამიშვილი, გვ. 69.

<sup>5</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 20—31.



აღსანიშნავია, რომ სეგმენტების ეს ტიპი უმეტესად კოლხეთის სამხრეთ ნაწილში, ზოგის პირა ზოლშია გავრცელებული.

გ. ნიორაძე<sup>8</sup> ამ იარაღებს საომარ ცულად მიიჩნევს. დ. ქორიძეს<sup>9</sup>. იარაღების ის ნაწილი, რომელიც ორმხრივ ნალესა, ცულად მიაჩნია, რომლის ფუნქციაც ერთსა და იმავე დროს გამოიყენებოდა საბრძოლოდ, ხის და ზოგჯერ მიწის დასამუშავებლადაც.

კ. ბირელი<sup>10</sup> ართვინში აღმოჩენილ განძთან დაკავშირებით გამოთქვამს აზრს, რომ სეგმენტური იარაღები ორმაგი ცულის, ალბერტის როლს ასრულებდა, თუმცა, როგორც მასალებიდან ჩანს, წინააზიურ ე. წ. ორპირა ალბერტს ჩერნთან არ ჰქონია გამოყენება. აღსანიშნავია ციხისძირის განძის ერთი იარაღი (ინვ. 93—07:7)<sup>11</sup>, რომელსაც მხერები ამოლუნული აქვს, ალბათ გარდევული ფორმის სატარეზე (შესძლოა სანქციელის ქუსლზე) ჩიმოსაცელად. ლ. სახარვას სეგმენტების მეორე ტიპში გაერთიანებული იარაღები ტყავის დასამუშავებელ იარაღებად მიაჩნია<sup>12</sup>.

მესამე ტიპში ერთიანდება იარაღთა ის ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს თხევუთხა, ტანთან შედარებით სქელი, უმთვრესად ტრაპეციასმაგვარი ყუნწი, ძირითადად სწორხაზობრივად და ჰორიზონტალურად გაშლილი, ზოგჯერ დაწახნავებული მხერები და ყუნწის ნაპირები (დ. ქორიძის აზრით, ასეთი იარაღი საემაოდ მავარი და გამძლე უნდა ყოფილიყო)<sup>13</sup>. ზოგ ცულს სამუშაო პირი წესიერად მომრგვალებული, თთქმის ნახევარწრიული აქვს, ზოგიერთს—მაღალი, უწესოდ მომრგვალებული და წვერისაკენ შედარებით შევიწროებული; ამ ტიპის იარაღების გარკვეული ნაწილი ცალ მხარეზეა ნალესი, ზოგიც—ორმხრივნალესა, რის გამოც სამუშაო პირი სოლურია<sup>14</sup> (ზოგიერთის სიგანე 14 სმ-მდეა სიმაღლე — 16 სმ, ზოგის სიმაღლე კი 10 სმ-მდე, სიგანე — 9 სმ).

ისინი ღმოჩენილია ძვ. წ. XIII—XII სს. — სოხუმის მთის ვაკივერის, ციხისძირ-სამების, ოფშეკითის, ზემო სიმონეთის, თელოვანის განძებში; ძვ. წ. XI—X — ცაგერის, ბუგუულის, თხმორის, თაგილონი განძებში; ძვ. წ. X—XIII სს. — ქვიშარის, ოჯოლის ჭალის განძებში; ძვ. წ. VIII—VII სს. — ურეკის, ბზვანის, კუბუზინჯის განძებში<sup>15</sup>; ძვ. წ. VIII—VI სს. — გუაღისუს სამაროვანში (№ 5/8)<sup>16</sup>, ხუცუბანისა და კურზუს სამარხებში<sup>17</sup>; ძვ. წ. VII—VI სს. — სოფ. პალურში (სამარხები №№ 1, 6, 27, 35, 44, 45, 49, 50, 64)<sup>18</sup>. ძვ. წ. VI ს. — სოფ. ნიგვზიანში (სამარხები №№ 10, 11, 13)<sup>19</sup>.

<sup>8</sup> გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკნის ხეობაში, საქ. სახ. მუზეუმის მოაშენებელი, ტ. XII, —B, 1944, გვ. 191.

<sup>9</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>10</sup> კ. ბირელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1938, გვ. 260.

<sup>11</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>12</sup> ლ. სახაროვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

<sup>13</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 16—46.


<sup>16</sup> მ. მ. ტრაპშ, ტруды, 2, Сухуми, 1969, გვ. 24, 54.

<sup>17</sup> ა. თოსელიანი, ნარკვენები კოლხეთის მატორიისათვის, თბ., 1973, გვ. 112.

<sup>18</sup> გ. ლორქიპანიძე, კოლხიდა VI—II ვ. დ. ი. ა., თბ., 1978, გვ. 112, შეინიშნა № 42.

<sup>19</sup> იქვე.

როგორც იჩვევა, სეგმენტური იარაღების ტიპებიდან ყველაზე გაერცე-  
ლებულ იარაღებად მესამე ტიპში გაერთიანებული ცალები წარმოგვიდგება (იხ.  
რუქა), რომელებიც სეგმენტების არსებობის ბოლო პერიოდამდე ინარჩუნებენ  
თავიანთ სახეს და გამოირჩევინ უფრო დახვეწილი ფორმით (სიმტკიცე, სა-  
მუშაო პირის წამახვილებული ფორმა), ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი პირ-  
ვილ და მეორე ტიპში გაერთიანებულ იარაღებზე უფრო მნიშვნელოვან სახეს  
იღებენ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. როგორც მასალებიდან  
ჩამო, პირველ და მეორე ტიპში გაერთიანებული ცალები ძვ. წ. X საუკუნის  
შემდეგ თითქმის აღარ ჩანან კოლხეთის ტერიტორიაზე.



#### განებში აღმოჩენილი სეგმენტები:

1. სოხუმი, 2. ლეჩხოთი, 3. გულრიფში, 4. ოჩამიჩირე, 5. თავისორი, 6. ორულე, 7. ჩუბუ-  
რისხინი, 8. ურეკი, 9. სამეგა, 10. ციხისძირი, 11. ბობოყვათი, 12. მახინჯაური, 13. განთიადი,  
14. ზენითი, 15. გაფიჭვარი, 16. შერომ, 17. მელიერდური, 18. ხიდისთავი, 19. ბზეანი, 20. ვორი,  
21. ოუშევითი, 22. ფარგაბანყენევი, 23. წყალტუბო, 24. ოფლა, 25. ცაგერი, 26. დლორისია,  
27. სიმონეთი, 28. საქარა, 29. ჭალა, 30. ქვიშარი, 31. ონი, 32. თხმორი, 33. ბორჯომი,  
34. ათვინია.

#### სამარხებში აღმოჩენილი სეგმენტები:

1. სოხუმი, 35. პალური, 36. მუხრანი, 6. ორულე, 37. კურზუ, 38. ჭუმათი ნიგეზიანი, 39. ხუცუ-  
ბანი, 40. თლი, 41. ურბნისი, 46. ქუთაისი.

#### ცალკეული აღმოჩენები

42. გვევეკორი, 43. პიჩირი, 44. ციხესულორი, 45. იაბორური, 23. წყალტუბო, 46 ქუთაისი,  
47. ნოლი, 48. ვანი, 49. საჩხერე, 50 ცენტრალი, 21. ოუშევითი  
(დ. ქორიძისა და გ. ლორთქულის მიხედვით).
11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 2



მესამე ტიპში გაერთიანებულ დიდი ზომის სეგმენტებს მეცნიერთა გარკვეული ნაწილი<sup>20</sup> ბარის ტიპის იარაღად თვლის, ზოგიერთს იგი ნიჩად მიაჩინა. დ. ქორიძის<sup>21</sup> აზრით, ისინი შესაძლებელი იყო გამოყენებინათ მიწის პირველადი დამუშავების დროს და ბართონის ფუნქციის შემსრულებელიც ყოფილიყო.

თელოვანში აღმოჩენილ ამ ტიპის იარაღთაგან ბ. კუფტინი ირ სახესხვაობას გამოყოფს: ორ მათგანს<sup>22</sup> საჩეხ-საკეპს უწოდებს, ორს — ბარისმავარს<sup>23</sup>. ო. ღმბაშიძე<sup>24</sup> ეთნოგრაფია გ. ჩიტაის მოსაზრებას (მისი აზრით, სეგმენტები ხის ქერქის ასაკრელი ხევწებია) და დასაშვებად მიაჩინა მათი გამოყენება „ტყის ტიპის მიწათმოქმედებაში“, სადაც ზოგიერთი მათგანი ალბათ-მიწის დასამუშავებლად იხმარებოდა თოხებთან ერთად. ლ. სახაროვა<sup>25</sup> სეგმენტების ამ ტიპის შესახებ იზიარებს ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის ვარაულს, რომლის მიხედვითაც სეგმენტები შესაძლოა მარტივი სახვნელი იარაღის კბილის დამცველ იარაღად გამოიყენებოდა (სახნისის ნაცვლად).

როგორც ვხედავთ, სეგმენტური იარაღის ფუნქციის შესახებ არაერთი აზრია გამოთქმული. აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება:

როგორც აღნიშნეთ, მკვლევართა გარკვეული ნაწილი (გ. ნიორაძე, ნ. ხოჭარია, ო. ღმბაშიძე, დ. ქორიძე)<sup>26</sup> სეგმენტურ იარაღს თოხების მიხედვის დაგრამ მშენინ გასარკვევია, თუ რა წესით შეიძლებოდა მასზე ტარის მიმაგრება; დასაშვებია ორი შესაძლებლობა, პირველი: ტარის პერპენდიკულარული ჩამაგრება სეგმენტის ყუნწევა, მეორე: 90 გრადუსით მოხრილი ტარის დაგრება ყუნწევა. ერთიცა და მეორეც გარკვეულ სინდელებთან არის დაკავშირებული და თან საკითხავია, რატომ გაირთულებდა იძრონინდელი მიწათმოქმედი საქმეს ამ მხრივ, როდესაც სეგმენტების პარალელურად არსებობდა თოხების ნაირსახეობა ტარზე ჩამოსაცმელი სატარე ხერელით. იგივე ითქმის სეგმენტების ცულად ან ხევწად მიჩნევის შემთხვევაშიც.

ა. იესენის<sup>27</sup> აზრით, სეგმენტური იარაღი ხორცის ან მცნარეულობის საჩეხ-საკეპი იარაღია; მისივე აზრით, სეგმენტები, ისევე როგორც თოხები, შესაძლებელია ზოდის როლსაც კი ასრულებდნენ. ნ. ტრუბნიკოვა<sup>28</sup> შეხედულებით, სეგმენტური იარაღი. ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე, ტყავის დასამუშავებელ იარაღად გამოიყენებოდა, მაგრამ აქ იმ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ სეგმენტები უმთავრესად კოლხეთის ბარში ან ზეგანზე იყო გაკრელებული, იქ, სადაც მიწათმოქმედება იყო წამყვანი დარგი მეურნეობისა; კოლხეთის მთიანეთში, კი სათაც მესაქონლეობას წამყვანი როლი ეკავა მეურნეობაში, ის იშვიათად გვხვდება. სეგმენტური იარაღი რომ ხორცის სა-

<sup>20</sup> ბ. ა. კუფტინი, კაცისაში ქართული ცულტურის უცველესი ფესვების საკითხისათვები, გვ. 318, 319 (დამოწმებული იქნა დ. ქორიძეს, ღასახ. ნაშრომი, გვ. 93.).

<sup>21</sup> დ. ქორიძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 93.

<sup>22</sup> Г. А. Куптин, ღასახ. ნაშრომი, ტბ. VI, სურ. 1, 2.

<sup>23</sup> იქვე, ტბ. XVI, სურ. 3—4.

<sup>24</sup> ო. ღმბაშიძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 167.

<sup>25</sup> ლ. სახაროვა, ღასახ. ნაშრომი, გვ. 167.

<sup>26</sup> გ. ნიორაძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 190; Н. В. Коштариа, Об одном бронзовом орудии из Колхиды, КСИИМК, вып. 36; 1954, гв. 199, 180; ო. ღმბაშიძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 28; დ. ქორიძე, ღასახ. ნაშრომი, გვ. 92—95.

<sup>27</sup> Б. А. Иессен, К вопросу..., гв. 130, 157.

<sup>28</sup> Н. В. Трубникова, К вопросу о назначении Кабанских сечек, КСИИМК, вып. XVIII, 1947 გვ. 53.

კეპ-საჩეხი და ტყავის დასამუშავებელი უოფილიყო, მაშინ საწინამდევო სურათი იყო უფრო მოსალოდნელი<sup>29</sup>. სამართლიანად ორნიშნავს დ. ქორიძე<sup>30</sup>, რომ ასეთი მკეთრად მომრგვალებულპირიანი იარაღით ეყბვა და ჩეხვა მოუხერხებელი და უფლებტო იქნებოდა.

გ. ნიორაძის აზრით<sup>31</sup>, სეგმენტური იარაღი ფუნქციურად რთული, ერთდროულად რამდენიმე სახის სამუშაოსათვის გამოიყენებოდა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა თოხნა, ბარეა, ხორცის კება, ხის გაჩეხა, ქერქის აზრობა. მაგრამ, თუკი ეს ასეთი უნივერსალური იარაღია, რატომ ხდება, რომ სეგმენტური იარაღი ანტიკურ პერიოდში წყვეტს თავის არსებობას? თითქოსდა პირიქით უნდა ყოფილიყო (არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ვიუქროთ, თითქოსდა ძე. წ. VI ს-ისათვის კოლხეთის სამიწათმოქმედო და სამეურნეო დარგში რამე რადიკალური ცვლილებები მომხდარიყოს)<sup>32</sup>.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი სეგმენტურ იარაღს ბარის ან ნიჩბის ფუნქციის შემსრულებელ იარაღით თვლის (გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია, ო. ჯაფარიძე, ა. კალანდაძე, გ. გოგეგიშვილი)<sup>33</sup>, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბარი წვერისაკენ შედარებით ვიწროა და მხრებისაკენ — განიერი, ასეთი ფორმის გარეშე ალბათ განხელდებოდა მიწის ჭრა-გაღმობრუნება<sup>34</sup>, და თუ ეს ასე არ არის, რატომ აღარ ჩანს სეგმენტური იარაღი ანტიკურ კოლხეთში, როგორც ბარის ფუნქციის შემსრულებელი იარაღი?

მკვლევართა ერთი ჯგუფი (მაგალითად მ. ივაშჩენკო, ბ. კუფტინი, გ. ლორთქიფანიძე)<sup>35</sup> სეგმენტურ იარაღს ფულის ერთეულად თვლის. მაგრამ ამ იარაღების წინას შემოწმებამ ეს ფაქტორი გამორიცხავს და თან განძებში მოპოვებული სეგმენტები აშკარად მუშაობის კვალს ატარებენ და არ გამოიჩინებიან იმ თვისებებით (მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმა, ზომა-წონა), რომელიც საცვლელ ერთეულს აქვს; ეს კარგად ჩანს ე. წ. კავკასიური სიკილების მაგალითზე<sup>36</sup>. მართალია, გვხდება, მცრე რაოდენობით, ისეთი ცალებიც, რომლებსაც სამუშაო პირზე გამოყენების კვალი არ ემჩნევათ, და თუ დასაშვებია, რომ სეგმენტები ერთდროულად ფულის ერთეულადაც ჩავთვალოთ და პარალელურად სამეურნეო ფუნქციაც მიიღიჭოთ, ჩვენ ამ შემთხვევაში მისი მეორე მხარე გვაინტერესებს.

როგორც აღნიშნეთ, გვიანდებირნეოს ხანაში კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედება წინააღმდეგ პერიოდთან შედარებით გარკვეულ აღმავლობას განიცდის. ლითონის სამიწათმოქმედო იარაღის ფართო გამოყენება მეურნეობის ამ დარგს

<sup>29</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

<sup>32</sup> Г. Лордкипаниძე, Колхидა... გვ. 113.

<sup>33</sup> გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 191, ბ. А. კუფტინ, დასახ. ნაშრომი, გვ. 318, 319; Н. В. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 179, 180. მ. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების აარაღები დამატელურ ქართულ კულტურიში, გვ. 188; ა. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური მეცნიერები, სოხუმი, 1954, გვ. 7; საქართველოს არქეოლოგიი, გვ. 144, 158.

<sup>34</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

<sup>35</sup> А. А. Иессен, К вопросу..., გვ. 130, 157, 158; М. М. Иващенко, Материали..., გვ. 50; ბ. А. კუფტინ, დასახ. ნაშრომი, გვ. 318; Г. Лордкипаниძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

<sup>36</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>37</sup> იქვე.



კიდევ უფრო ეფექტურს გახდიდა<sup>38</sup>. მიწათმოქმედების განვითარებას უზურდ ხელს შეუწყობდა ამ პერიოდისათვის ქვეყნის შიგნით შექმნილი შედარებით მშევიღობიანი ვითარება<sup>39</sup>, რასაც თითქოს უნდა მოწმობდეს ის, რომ საბრძოლო იარაღები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სამეცნიერო იარაღებთან შედარებით<sup>40</sup>. აქ, როგორც ჩანს. საქმაოდ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობს და საზოგადოებას მყარი ექონომიკური ბაზა აქვს, რომელიც უპირატესად მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული<sup>41</sup>. აღსანიშნავია, რომ სეგმენტური იარაღი ხშირად სწორედ სამიწათმოქმედო იარაღებთან ერთად არის აღმოჩენილი, რომელსაც, ისევე როგორც თოხებსა და ბართოხებს, სამუშაო პირზე გამოყენების აშკარა კვალი აჩნევია. აქ ისიცაა ნიშანდობლივი, რომ კოლხეთში აღმოჩენილი ე.წ. „მდნობელთა განძები“ უპირატესად ხმარებიდან გამოსული თოხებისა და სეგმენტური იარაღებისაგან შედგება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის ძირითადად სამიწათმოქმედო დანიშნულების ერთეულად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რომელიც გარკვეულ პერიოდამდე ასრულებდა თავის ფუნქციას. შემდეგ კი, ერთგვარი სახეცვლილების შედეგად, რეინის იარაღის სახით გააგრძელა თავისი არსებობა. ძვ. წ. VII ს. მიწურულიდან კოლხეთში რეინის ფართო ათვისება მიმდინარეობს. რეინის თოხებთან და უულებთან ერთად იქმნება იარაღის ახალი ფორმაც მასრაგისნილი სახნისის სახით.

ჩვენი აზრით, ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი თავის დროზე შესაძლოა მარტივი სახნისის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო კოლხეთში რეინის ფართო ათვისების შედეგად ის რეინის სახნისის დახვეწილმა ფორმამ შეცვალა ეს პროცესი ერთბაშად ვერ მოხდებოდა, გარკვეული დროის განმავლობაში რეინის სახნისების პარალელურად თანაარსებობდნენ მცირე რაოდენობით, ბრინჯაოს და კრინის სეგმენტები და მას შემდეგ, რაც რეინის სახნისის ტექნიკური უპირატესობა აშკარად გამოიხატა მისი ეფუძნილების გამო, სეგმენტური იარაღი საერთოდ გამოდის ხმარებიდან. როგორც მასალები ცხადყოფენ, სეგმენტების რაოდენობა სულ უფრო და უფრო კლებულობს და ძვ. წ. VI ს-ის შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება კოლხეთში.

არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვებიდან კარგად ჩანს, რომ კოლხეთში განსხვავებულ სამუშაოპირიანი სახნისები დადასტურებული. რეინის სახნისის სამუშაო პირის ფორმები იმისდა მიხედვით მზადდებოდა, თუ რა სახის ნიადაგთან ექნებოდა საქმე მიწათმოქმედს. მთიან ზოლში სახნისი უფრო წვერწამისული და ვიწრობართიანია<sup>42</sup>, კოლხეთის დაბლობზე კი, სადაც ნიადაგი ბუნებრივი პირობების გამო ნესტიანი და რბილია, — რაც თავისთავად ღრმა დამტუშავებას არ მოითხოვს, ე. ი. ხენის დროს ბელტი არ გადადის, არამედ ხდება მიწის ზედაპირული ხენა, აჩეჩა, ფართო სამუშაოპირიანი სახნისებს ვხვდებით. ამის კარგად აღსატურებს სამეცნიელოს ეთნოგრაფიული მასალა<sup>43</sup>, სადც ფართო სამუშაოპირიანი სახნისები დაახლოებით იმ ფორმითაა მორკალული, როგორც ეს III ტიპის სეგმენტურ იარაღებს ახასიათებთ. მაგრამ

<sup>38</sup> მ. ჭავ ა რ ი ძ ე, დასალეთ საქართველო გვიანბრინჭაოს ხანაში, საქ. სსრ მეცნიერებათა იადგმისს შეცნე, 1982, № 1, № 2, გვ. 70.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 71.


<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> იქვე.


<sup>42</sup> გ. ჭავ ა რ ი ძ ე, მიწათმოქმედება სამეცნიელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიული შესწოლისათვის, თბ., 1979, გვ. 34.

<sup>43</sup> იქვე.

ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მათ ყუნწის გახსნილი მასრა გასდევთ იარალის სახენელ ჭუსლში მტყიცედ ჩასამაგრებლად. სახნისების სამუშაო პირის სიგანე 12—17 სმ-ია. (სურ. № 1). მსგავსი სახნისია დამოწმებული თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ლეჩხუმური სახნისის<sup>44</sup> სახითაც.



ჟრანტის ცენტრი


 დანერს სახელი  
 (ეთნოგრაფიული ჩასალი)

## ცალატი 1

სოფ. ნიგვზიანში<sup>45</sup> ძვ. წ. VII—VI სს. დათარიღებულ სამარხეში აღმოჩენილია რკინის 6 სახნისი. მათი სამუშაო პირის ფორმა I ტიპში გაერთიანებული სეგმენტების სამუშაო პირის მსგავსია (სურ. № 2). განსხვავება ქვაც მასრაგახსნილი ნაწილის არსებობით გამოიხატება; სახნავი იარალებისათვის ამ მოთხოვნილებს გარკვეულ პერიოდში აღნათ თვით სამიწათმოქმედო კულტურის აღმავლობა განაპირობებდა; სახნისების საშუალო სიმაღლე — 14 სმ-ია. სამუშაო პირის სიგანე — 9-დან 13—სმ-მდე მერყეობს. ასეთივე სახნისია აღმოჩენილი სოფ. პირორში; იარალი დათარიღებულია ძვ. წ. V ს. (ცნობა მოვაწოდეს არქეოლოგებმა მ. ბარამიძემ და გ. კვირკველიამ).

აღსანიშნავია, რომ ლითონის სახნისის ყველაზე მარტივი ფორმა დადასტურებულია ავლანურ<sup>46</sup> და ირანულ<sup>47</sup> სახვნელებში. ასეთ სახნისს სწორი

<sup>44</sup> ლ. სახარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

<sup>45</sup> Т. М. Микеладзе, М. В. Барамидзе, Колхидский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигвзиани. Архитектурные памятники Колхиды и Иберии, М., 1977.


<sup>46</sup> Н. И. Вавилов, Земледельческий Афганистан, избр. пр., т. I, гვ. 174—177, სურ. 69, 73.

<sup>47</sup> გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარალების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 66.

ფორმა აქვს, რომელიც სახენელის ქუსლის კბილის მოყვანილობის მიხედვითაა გამოჭრილი და მას ზემოდან ეფარება.

ასეთი სახნისები ზოგჯერ ფოთლისმაგარი ფორმისაა და ყუნწით არიან ქუსლზე დაკრულინ<sup>48</sup>, რომელთა განვითარებული ფორმაა მასრებიანი ტოლ-ფერდა სახნისი<sup>49</sup>.

ჩვენი აზრით, ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი შესაძლოა სწორედ სახნისის მარტივ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ყუნწით ჯდებოდა სახენელის ქუსლის კბილთან სპეციალურად ჩათვლილი ქედის წინასწარ გამოჭრილ კვეთში და სამუშაო პირით ზემოდან ეკვროდა კბილს. სეგმენტი, სამუშაო პირით ქუსლის კბილს ოდნავ უნდა გადასცენოდა კიდეც, რადგან სწორედ მას (სამუშაო პირს) უნდა აეჭრა მიწა მუშაობის დროს. ალბათ სწორედ მით უნდა იისნას სეგმენტების სამუშაო პირის ორმხრივი და ცალმხრივი ნალესობა (სურ. № 3). ჩვენ ვცადეთ პრაქტიკულად შეგვემოწმებინა სახენელის ქუსლში სეგმენტური იარაღის ფორმის ლითონის ჩამაგრების ამგარი წესი, გამოგვეცადა იგი მუშაობის დროს და შედეგიც საინტერესო მივიღეთ.



ჭრილი სებური



ჭრილი სახელი  
(სამუშაო გასალი)

## სარათი 2

ეთნოგრაფიაში დაცულ სახენელ იარაღთა ქუსლების შესწავლისას ჩვენი ყურადღება ისეთი ტიპის ქუსლებმა მიიპყრო, რომელთაც წინა ნაწილი კბილთან ტალღისებურად ჩაკვეთილი აქვთ, რის შედეგადაც შეგმილია ქედიანი კბილი. კბილზე სახნისი მაგრდება და ზურგით ქედს ეყრდნობა. სწორედ ამგვარ ქედშია შესაძლებელი სეგმენტური იარაღის ყუნწის შესაბამისი ჭრილის ამოვევაცაც, რაშიც სეგმენტი ყუნწით ჩამაგრდება, მხრებით ქედს მიეყრდნობა და სამუშაო პირით კბილს გადაეკრობა. ე. ი. მუშაობის დროს სეგმენტს ორი

<sup>48</sup> გ. ჭალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

<sup>49</sup> იქვე.

საყრდენი წერტილი უჩნდება: ზურგის მხრიდან — ქედი, ქვემოდან — ქუს-ლის კბილი. ასეთია აჭარული ჭილდისა და გურული და მეგრული კავის ქუს-ლები<sup>50</sup>.

დ. ქორიძის ნაშრომში გამოქვეყნებული ბრინჯაოს ნაწარმთა ქიმიური ანალიზის ცხრილების<sup>51</sup> განხილვისას გარკვევით გამოიყოფა სეგმენტების შემაღენლობა საომარი იარაღების (შუბისპირი, ხელშუბისპირი, ცული) ქიმიური შემაღენლობისაგან. ამ უკანასკნელში ჭარბად არის წარმოდგენილი მალეგირებელი ელემენტები კალისა და დარიშხანის სახით, რომლებიც სიმტკიცესა და ფხამახვილობას ანიჭებენ საომარ იარაღს.

გარკვეულად ერთგვაროვად გამოიყურება სეგმენტებისა და სამეურნეო იარაღის (თოხი, ბართოხი) ქიმიური შემაღენლობა. ისინი დამზადებულია ან სუფთა სპილენძისაგან, ან დაბალლეგირებული ბრინჯაოსაგან. ონიშნული თავისებურებები ბრინჯაოს ნივთა შემაღენლობისათვის ერთმხრივად მაგრებს ჩვენ მიერ გამოიქმეულ მოსაზრებას სეგმენტების, ისევე როგორც თოხებისა და ბართოხების სამიწათმოქმედო იარაღებად გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, კოლხეთში რეინის ათვისებასთან დაკავშირებით ნელ-ნელა იწყება ბრინჯაოს სეგმენტური იარაღების ფორმის სასურველი შეცვლაც გახსნილი მასრის შესაჭმელად, რისი საშუალებითაც იარაღი უკვე მჭიდროდ ჩამოეცემებოდა სახენცლის ქუსლის კბილს და ეს პროცესი რეინის სახნისების მასრაგისასნილი სატარეს შექმნით გამოიხიტა. რაც შექება ფართო სამუშაოპირიან ფორმებს, ისინი, როგორც აღნიშნეთ, მხოლოდ ისეთი ნიადაგების დასამუშავებლად გამოიყენება, როგორიც ეს კოლხეთის ნესტიანი დაბლობისათვის არის დამახასიათებელი, როდესაც მიწის ღრმა დამუშავება მარცვლეულის ჩასყრელად არახელსაყრელია. ამ შემთხვევაში ნიადაგის ზედაპირული ხენაც საქმარისია კარგი მოსავლის მისაღებად.

ალსანიშნავია, რომ შესწავლილი სეგმენტების უმრავლესობა დაექვემდებარა კოროზიას. სეგმენტების დიდი ნაწილი მისი ტექნოლოგიური და ვამოჟენებითი პირობების გამო დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან, რაც განაპირობებდა მის გამჭოლ კოროზიას. სეგმენტის სამუშაო ნაწილი უფრო მეტად არის დაზიანებული, ციდრე მისი ზურგის მხარე. სამუშაო პირის დაენგული ნაწილი განიცდიდა კოროზიულ ზედაპირულ ცვლილებებს, რაც იწვევდა მის ფორმის შეცვლას; ამის შეფიც მაგალითია ის, რომ სეგმენტები გვეცდება სამუშაო ნაწილის მცირე შეცვლილი ფორმებით. ჩვენი აზრით, ძირითადი სამუშაო ფორმა შენარჩუნებული აქვთ შედარებით ნაკლებად დაზიანებულ ეგზემლარებს, რომელთაც სამუშაო პირის ცენტრი რამდენადმე წამახვილებული აქვთ (III ტანი).

რამდენად მართებული იქნებოდა გვეფირა, რომ მეურნეობის ისეთ განვითარებულ ეპოქაში, როგორც გვიანბრინგაოს ხანა (როდესაც ფართო ხმარება-შია ლითონის თოხი, ცული, ნამგალი, წალდი), მიწის ხის მარტივი სახველის


<sup>50</sup> გ. ჩიტაია, რაკული სახენცლის ფართულიანი ქუსლი, თსუ შრომები XVIII, თბ., 1941,

გვ. 193, სერ. 8, 1-3-4.

<sup>51</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131, ცხრ. № 1, გვ. 132, ცხრ. № 2, გვ. 139, ცხრ. № 3.

ଦ୍ୟାନ୍ତରେଣୀ କୁଶଲିତ ଅମ୍ବିଶାଙ୍କେବ୍ଦନ୍ତେନ୍ତିକିଂବା ହେବିନ୍ ଏହିପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି ଏହିପାଇଁ କୁଶଲିତ ଅମ୍ବିଶାଙ୍କେବ୍ଦନ୍ତେନ୍ତିକିଂବା ହେବିନ୍ ଏହିପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି


არგონაგტების თქმულებაში ნახსენებია სპილენძის ჩრდილებიანი ხარები და ფოლადის გუთანი<sup>52</sup>. საყურადღებო აქ ის ორის, რომ სახველის გამწევე ძალად ნაღლდაკრული ხარები ყოფილა, ხოლო სახველი—ლითონისა<sup>53</sup>. ამ თქმუ-




સાનુદી 3

საბავრული მანაღის სახელის კულტურული დაგენერაცია


<sup>52</sup> ఏ. శ. శ. ప. ఎ. గ, స్వాలి కట్టుకొని అంగుణుర్ముఖిస, తేమిల్లుహంచి, 1964, 83. 215.  
<sup>53</sup> దీని.




I ԺՈՅՈ



II ԺՈՅՈ



III ԺՈՅՈ



Ըստու և անօտածո

ՏԱՐԵԿԱ

ԵՐԵՎԱՆԻ ՊԱՇԱԽԱՆ ՄԱՐԶՈՒԹՅՈՒՆ ԾԱԳՈՒԹՅՈՒՆ

1922

ლებიდან შესაძლოა ნაწილი მაინც სიმართლეს შეესაბამებოდეს<sup>54</sup> და მთელი სახენელი თუ არა, სახნისი მაინც ბრინჯაოსი ვიგულისხმოთ.

ამრიგად, გამოვთქვამთ აზრს, რომ კოლხური კულტურის ერთ-ერთი დამაპა-სიათხებელი ელემენტი, ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი, ლითონის სახნისის მარტივი ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელმაც თავისი პრაქტიკული გამოყენების პერიოდში გაჩვეულად გაიარა ტიპოლოგიური განვითარების გზა (სურ. № 4); (I ტიპი: ტრაპეციის ფორმა, გამოუკვეთავი ყუნწი. II ტიპი: გამოქვეთილი ყუნწი, პორიზონტალურად გაშლილი მხრები, III ტიპი: გამოქვეთილი ყუნწი, გაშლილი მხრები, სამუშაო პირის წამახვილებული ფორმა, გავრცელების დია-პაზონი), ხოლო კოლხეთში, რკინის ფართო ათვისების შედეგიდ, უკვე რკინის ჩამოყალიბებული სახნისის სახით გააგრძელა თავისი არსებობა.

### ლ. შ. ძ ი ძ გ უ რ ი

## О НАЗНАЧЕНИИ ТАК НАЗЫВАЕМОГО СЕГМЕНТОВИДНОГО ОРУДИЯ

### Резюме

Как известно, в позднебронзовой эпохе в Западной Грузии широко развивалось земледелие. В связи с этим появились также хозяйственые и земледельческие орудия колхской культуры, как мотыга, топор, сегментовидные орудия, цалда, серп. Сегментовидное орудие вместе с мотыгой и топором является одним из самых характерных элементов колхской культуры, о назначении которого пока не существует единого мнения.

В работе высказывается мнение, что сегментовидное орудие употреблялось как примитивный лемех, который, после широкого освоения железа в Колхиде заменяется железным лемехом.

ჭარმოაღვინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. გაფარიძემ.

<sup>54</sup> გ. ჭალაბაძე, მიწათმოქმედება სამეცნიეროში, გვ. 20.

# სამიცნოარო ცხოვრება

რევაზ კიკაძე

ისტორიული მიცნოარების განვითარების ზოგიერთი ასპექტი  
საჭართველოში დიდი საგამულო ობის წლები

ღიდ სამამულო ომში გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოურმა მეცნიერებამ, რომელმაც შეძლო უმოკლეს ხანაში მთლიანად გარდაექმნა თავისი საქმიანობა და უზრუნველყოფა ქვეყნის დაცვასთან დაკავშირებული ურთულესი პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში თავიანთი წელილი შეიტანეს, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებმაც, რომლებიც დაუნდობლად ამხილებდნენ ჩასისტული თეორიის ანტიძეცნიერულ ხასიათს. განსაკუთრებით გაიზარდა ომის წლებში ისტორიული მეცნიერების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ისტორიკოსთა წინაშე დაისახა მეტად პასუხსაგები ამოცნები: იდეოლოგიურად შეეიძლობინთ საბჭოთა აღმიანები, მთელი მსოფლიოს წინაშე ემხილებინათ გერმანული ფაშიზმის კაცითობულე არსი, განემზრკუცებინათ დემოკრატიული ქვეყნების საერთაშორისო სოლიდარობა, საბჭოური პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღწიარდათ მოსახლეობა, შეესწავლათ საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო ტრადიციები და ობიექტურად აესახათ მათი გმირული წარსული.

უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანებს კარგად ახსოეთ, ხოლო იმათ, ვინც მეცნიერულად იკვლევს დიდი სამამულო ომის ისტორიას, ფრონტისა და ზურგის ურთიერთობის პრობლემას, დოკუმენტების მიხედვით იცან, რომ საბჭოთა ისტორიკოსებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ ამოცანებს.

დღიდი სამამულო ომის წინა პერიოდში საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც უთუოდ გავლენა იქონია ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.

1940 წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა ქართული ისტორიოგრაფიის და, საერთოდ, ქართული მეცნიერების დიდი თავებიცი აკადემიკოსი ივანე ჭავახიშვილი. მისი გარდაცვალების წლისთვის უკვე ომის მძიმე წლებში აღინიშნა.

1941 წ. 18 ნოემბერს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებაზე, რომელიც ამ თარიღს მიეღინდა, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „დღეს, როცა მძვინვარე მტერმა ჩვენი სამშობლოს ჰქონდა კერძოულად შემოარტვია და გახელებული ის საბჭოთას დედაციებს ეხეთქება, უეჭველად არახელსაყრელი დრო განსვენებული კულტურის ივანე ჭავახიშვილის პიროვნებისა თუ მეცნიერულ-საზოგადოე-

ზრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის. გვწამს, ქარიშხალი გადაიღლის, სიმართლის მხე კვლავინდებურად ინათებს და ღროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები. მაგრამ ეს საღამო, როგორი მკრთალიც არ უნდა იყოს, არც ზედმეტია და საჭიროცაა. იმ დროს, როცა ჩვენს ეროვნულ არსებობს, ჩვენს კულტურულ მომავალს კვლავ განსაცდელი ემუქრება, იმ ადამიანის მოგონება, რომელმაც მთელი თავისი დიდი ჰალ-ლონე ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ბრძოლას და ამ კულტურის სამსახურს პატიოსნად შეალია, — სასარგებლო საქმეა: ივ. ჯავახიშვილის ხსოვნის საღამო ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ემსახურება<sup>2</sup>.

დღეს ჩვენ ეს სიტყვები რამდენადმე პათეტიკურად გვეჩვენება უთუოდ, მაგრამ მათი ადამიანებს სჭირდებოდათ იმედის მომცემი, დამამშვიდებელი საუბარი და ქართველი ისტორიკოსები წარმატებით ახერხებდნენ ხეთი გულში ჩამწვდომი სიტყვების პოვნას, გამარჯვების აწმენას განუმტკიცებდნენ ხალხს.

1941 წ. თებერვალში შეიქმნა საქართველოს სსრ შეცნიერებათა აქადემია, რომლის პირველ შემადგენლობაში დამფუძნებელ წევრებად შევიღნენ ისტორიკოსები გიორგი ხანაშვილი და სიმონ ჯანაშვილი და ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილი. ამავე დროს ს. ჯანაშვილის არჩეულ იქნა მეცნიერებათა აქადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად, გარდაცვალებამდე ასრულებდა ამ მოვალეობას და, ნ. ბერძენიშვილის თქმით, „მუდამ არსებით გვლენას აძლენდა ქართული შეცნიერების ამ შტაბის მთელ საქმიანობაზე“<sup>3</sup>.

საქართველოს სსრ შეცნიერებათა აქადემიის შექმნასთან ერთად სსრკ მეცნიერებათა აქადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მარტინიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) გაიყო ორად — ენისა და ისტორიის ინსტიტუტებად, თუმცა 1943 წლამდე მათ შეინარჩუნეს საერთო ხელმძღვანელობა, ხოლო 1944 წლამდე — ერთი სამეცნიერო საბჭო. 1943 წელს ისტორიის ინსტიტუტს იგანე ჯავახიშვილის სახელი შეიკუთვნა<sup>4</sup>.

ქართველ ისტორიოსთა საქმიანობა დიდი სამამულო ომის წლებში რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. პირველი იყო უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებაში. არაერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა ისტორიკოსმა იარაღი ილო ხელში ომის დაწყებისთანვე და პირნათლად მოიხადა თავისი წმინდა და ვალი სამშობლოს წინაშე.

როგორც ითქვა, საბჭოთა მეცნიერთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ფაშისტის ანტიხალხური არსის მხილება. ომის წლებში გამოქვეყნდა აქად. ს. ჯანაშვილის ნაშრომი — „გერმანული ფაშისტი ქართველი ხალხის უბორობესი მტერია“<sup>5</sup> და აქად. ა. ჩიქობავას ბროშურა — „ფაშისტი — პორგრესის უარყოფელობაა“ (1941). გამოიცა აგრეთვე ნაშრომები, რომელმებიც როგორც

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 339.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 147.

<sup>4</sup> ს. ჯანაშვილი. მოქლე ინგარში აქად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მთელი ისტორიის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობის. — ენიმკის შოთაშვე. ტ. XIV. თბ., 1944, გვ. 382, 395.

<sup>5</sup> ს. ჯანაშვილი. გერმანული ფაშისტი ქართველი ხალხის უბორობესი მტერია. ტ. XIII, თბ., 1942.

შეიღებული იყო გერმანელთა თევითნებობა და თარეში საქართველოში 1918 წელს<sup>6</sup>.

დიდ სამამულო ომის წლებში განსაკუთრებით მნიშვნელობა მიენიჭა ხალხის აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით, აღზრდას გმირული წარსულის საუკეთესო ტრადიციებზე. ქართველი ისტორიკოსები რესპუბლიკის შრომელებს, წითელი არმიის მეომრებს მოაგონებდნენ იმ დღიდი ბრძოლების სახელოვან ტრადიციებს, საუკუნეთა მანძილზე რომ ეწეოდა ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობისა და არსებობის შენარჩუნებისათვის. მოაგონებდნენ ამ ბრძოლების ცალკეულ განსაკუთრებით შთამბეჭდავ ეპიზოდებს, ჩვენი დიდი წინაპრების — ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, კოტნე დალიანის, გიორგი ბრწყინვალის და სხვათა საგმირო საქმეებს.

უკვე 1941 წელსვე ისტორიის ინსტიტუტის გამოცემებში შეიქმნა საგანგებო სერია — „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ“ და იმავე წელს ამ სერიით გამოიცა 6. ბერძენიშვილის ბრძოლურა: „თათართა ბატონობის ხანა“, ხოლო მომდევნო, 1942 წელს გამოიცა ს. ჯანშიას ნარკევი: „ქართლის ცხოვრების ძეველი და ახალი ფურცლები“.

მომდევნო წლებში ამავე სერიით გამოიცა კიდევ არაერთი ბრძოლურა, რომელთა ავტორები იყვნენ ლ. ბოჭორიშვილი, ვ. გაბაშვილი, მ. დუმბაძე, შ. მესხია, ო. სოსელია, გ. ქიქოძე<sup>7</sup>. ამავე თემატიკით სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას ექვენებდნენ აგრეთვე სხვა დაწესებულებებიც. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოსცა ა. კიკიძისა და თ. ლომიორის ბრძოლურები<sup>8</sup>. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა ამ მიმართულებით ს. მაკალათია, რომელმაც 7 დასახელების სხვადასხვა ნაშრომი გამოსცა 1942—1945 წლებში<sup>9</sup>. 1943 წელს ისტორიის ინსტიტუტმა დაასახია მეორე სერიაც — „წითელი მიმიკა“, გამოიცა დ. გვრიტიშვილის ბრძოლურა, რომელიც შეითხველებს მოუთხოვდა სტალინგრადის გმირული ბრძოლების ქართველ მონაწილეთა შესახებ<sup>10</sup>. სამამულო ომის მთელ მანძილზე ხშირად იბეჭდებოდა სამხედრო-პატრიოტული თემატიკისა-და მიძღვნილი პოპულარული ნარკევები სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ურნალებსა და განხეთებში, როგორც თბილისში, ისე ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებშიც. მათგან შეი-

<sup>6</sup> მ. გაბაშვილი. გერმანელი იუსტიცია საქართველოში 1918 წელს. მასალების და დოკუმენტების კრებული. თბ., 1942; III. K. ჭხეთია, გერმანისტი იმპერიაზმისა და გერმანული იმპერიაზმის განვითარების გამოსახულების შესახებ<sup>11</sup>. — ვ. გაბაშვილი. თათართა და გერმანული იმპერიაზმის განვითარების გამოსახულების შესახებ<sup>12</sup>. — შ. მესხია. ერთი ფურცლი ქართველთა გმირული წარსულიდნი (ლაგარაშ 1 და სომხ 1), 1943; ო. სოსელია. შალვა ახალციხელი, 1943; გ. ქიქოძე, ერეკლე მექის ომები, 1943.

<sup>7</sup> ლ. ბოჭორიშვილი. ბათუმის გმირები, 1943; ვ. გაბაშვილი. თათართა და გერმანული საქართველოში (ზაგრატ V და ვარიგა VI), 1943; გ. დუმბაძე. გვნერალი ივანე ანტონინიგმეილი, 1943; შ. მესხია. ერთი ფურცლი ქართველთა გმირული წარსულიდნი (ლაგარაშ 1 და სომხ 1), 1943; ო. სოსელია. შალვა ახალციხელი, 1943; გ. ქიქოძე, ერეკლე მექის ომები, 1943.

<sup>8</sup> ა. კიკიძე. დავით აღმაშენებელი, 1942; ო. ლომიური, პეტრე ბაგრატიონი, 1943.

<sup>9</sup> ს. მაკალათია. დიმიტრი თავდალებული, 1942; მისივე, ვახტანგ გორგასლანი, 1942; მისივე, თბილი მეცნიერებელი, 1942; მისივე, ერეკლე მეორის გმირობა და თავდალება, 1942; მისივე. დავით აღმაშენებელი, 1944; მისივე. ვარიგი ბრწყინვალე, 1944; მისივე. საბრძოლო და თავდალებითი ნაგებობანი საქართველოს მთიანებში, 1945.

<sup>10</sup> დ. გვრიტი მესახი. ქართველი სტალინგრადულები, 1944.



ძლება მოვისტენიოთ ისტორიკოსების გ. ხაჭაპურიძის, სარგის კერამიკულის, იოსელიანის, ი. ანთელავას, გ. ძიძარის და სხვათა მრავალი სინტერესონიკები.

გარდა სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემისა, სათანა-დო ყურადღება ექცეოდა სალექციო მუშაობასაც. აკად. მ. ნეჩინას სიტუაცია, ომის დროს „ლექციებიც იბრძვიან. იდეური იარაღის არსენალში მათ თავისი ადგილი აქვთ მიჩინილი“<sup>11</sup>. ქართველმა ისტორიკოსებმა სამხედრო ნაწილებსა და რესპუბლიკის მოსახლეობაში წაიკითხეს რამდენიმე ასეული ლექცია-მოსხენება ქართველი და საბჭოთა კავშირის ხალხების გმირული წარსულიდან, მიმდინარე პოლიტიკისა და სხვა აქტუალური საკითხების შესხებ<sup>12</sup>.

დღიდ სამამულო ომის წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო ძალების შენარჩუნებას და მათი კვალიფიკაციის ზრდას, მეცნიერული კვლევის უკვე მიღწეული დონის შენარჩუნებას და შემდგომ ამაღლებას. ამიტომ ომის სარბიელზე მძიმე მდგომარეობის უამსაც კი არ შეწყვეტილა ზრუნვა სამეცნიერო კადრების მომზადებაზე. დაბაბული მუშაობა იყო გაშლილი ამ მხრივ ისტორიულ მეცნიერებაშიც. დღიდ სამამულო ომის წლებში საქართველოში მომზადდა და დაცულ იქნა არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი ისტორიის დაზგში სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად. კერძოდ, 1943 წელს დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა ნ. ბერძენიშვილმა 1941—1945 წლებში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ა. აფაქიძემ, ლ. ბოჭორიშვილმა, ა. იოსელიანმა, ნ. რეხვიაშვილმა, ი. ხუციშვილმა (1941 წ.), ვ. გაბაშვილმა, დ. გვრიტიშვილმა, კ. გრიგოლიამ, შ. მესხიამ, გ. ტივაძემ (1942 წ.), გ. გობეგიშვილმა, მ. დუმბაძემ (1943 წ.), გ. ლომთათიძემ, გ. მელიქიშვილმა, ო. სოსელიამ (1944 წ.), თ. ყაუხეჩიშვილმა (1945 წ.).

ეს მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოში ომის შძიმე წლებშიც გრძელდებოდა დაძაბული შრომა ისტორიკოსთა სამეცნიერო კვალიფიკაციის გზირდის ხაზით. ეს იყო დღიდ სახელმწიფო პოლიტიკა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მეცნიერების ხვალინდელ დღეზე, რაც სასესხით გამართლებული აღმოჩნდა. ჩვენმა ქვეყანამ შედარებით ადგილად შეძლო ომის შედეგად მეცნიერებისათვის მიყენებული დღი ზარალის ანაზღაურება და შეუწელებლად განაგრძო სკოლა მეცნიერული პროგრესის გზით.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ 1942—1943 წლებში საბჭოთა კავშირში დაცულ იქნა 811 სადოქტორო და 2464 საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო სულ ომის წლებში ორივე ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ იქნა 12116 დისერტაცია<sup>13</sup>.

აღსანიშნავია დღიდ სამამულო ომის წლებში სსრ კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების შემაღენლობათა ზრდა. კერძოდ, 1943 წელს ს. ჯანშია არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო ხელოვნებათმცოდნე შ. იმირანაშვილი — წევრ-კორესპონდენ-

<sup>11</sup> მ. ვ. ჩეჩინა. ლექცია ვ დღის ვარ. — ვ კიკნაძე. საბჭოთა კავშირში დაცულ იქნა 811 სადოქტორო და 2464 საკანდიდატო დისერტაცია. ხოლო სულ ომის წლებში ორივე ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ იქნა 12116 დისერტაცია.

<sup>12</sup> ს. ჯანშია, მოქლე ანგარიში, გვ. 396.

<sup>13</sup> ბ. ვ. ლევშინ, სovetskaya nauka v gody Velikoy Otechestvennoy voiny, ვგ. 102.

ტად. 1944 წელს 6. ბერძნიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სახალხო მუზეუმის ნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო არქეოლოგი ბ. კუფტინი და ეთნოგრაფი გ. ჩიტაია — წევრ-კორესპონდენტებად.

ზემოთ მოკლედ დახასიათებულ სამეცნიერო-პრაკაგანდისტულ და ორგანიზაციონულ საქმიანობასთან ერთად ქართველი ისტორიკოსები განა-გრძნობდნენ დაძაბულ შრომას საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ტრადიციული თემატიკის დამუშავების ხაზითაც. ამ მიმართულებით მიღებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ბ. კუფტინისათვის 1942 წელს სტალინის სახელობის პრემიის მინიჭება ნაშრომისათვის — „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“<sup>14</sup>.

1943 წელს 10-ათასიანი ტირაჟით გამოიცა ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძნიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ მომზადებული „საქართველოს ისტორია“<sup>15</sup>, რომელიც საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის იყო განკუთვნილი სახელმძღვანელოდ. 1947 წელს ამ წიგნმა სტალინის სახელობის პრემია დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენში არაერთი სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და პოპულარული ნაშრომი გამოიცა საქართველოს ისტორიაში, იმის წლებში გამოშევნებული ეს წიგნი დღესაც დიდი ინტერესით და სიამოვნებით იკითხება და შემთხვევითი არ იყო, რომ აკად. გ. მელიქიშვილმა სწორედ ეს სახელმძღვანელო დაუდო საფუძვლად 1980 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის საკითხაც წიგნს!<sup>16</sup>

სრულიად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დიდი სამამულო ომის პერიოდის ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში წყაროთმცოდნეობით საქმიანობას.

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა თავისი სპეციალის საგნისა და კელევის მეთოდების მქონე დამოუკიდებელ მეცნიერებად. მისი შექმნა ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული<sup>17</sup>.

საერთოდ, ამ მეცნიერებამ ჩვენს ქვეყანაში განვითარების რამდენიმე სტადიი გაიარა. ერთ ხანს ის დამხმარე ან მთავარ დამხმარე ისტორიულ დისციპლინად იყო მჩნეული, შერე დამოუკიდებელ სპეციალურ ისტორიულ დისციპლინად აღიარეს, შემდეგ სპეციალური ისტორიული დისციპლინების ჯამი ან კომპლექსი უწოდეს<sup>18</sup>. ამჟამად ჩვენში შემუშავებულია დასაბუთებუ-

<sup>14</sup> Б. А. Куптин. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბ. ბერძნიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უკეთესი დროიდან XIX საუკუნის დამდგენლო. აკად. ს. ჯანაშიას რელაციით, თბ., 1943.

<sup>16</sup> საქართველოს ისტორია, საკითხები წიგნი, შედგენილი იყალ. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძნიშვილის რეაქციების გამოვლენებული სახელმძღვანელების მიხედვით. შედგენილ-რეაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1980.

<sup>17</sup> Р. К. Кикнадзе. И. А. Джавахишвили и источниковедение истории Грузии. Тб., 1976; რ. კიკნაძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა. — ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბ., 1978, გვ. 95.

<sup>18</sup> Л. В. Черепинин. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин. — В кн.: Источниковедение отечественной истории, I. М., 1973, გვ. 36—37; Л. Е. Шепелев. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины: к вопросу о их задачах и роли в историческом исследовании. — В кн.: Вспомогательные исторические дисциплины. XIII. Л., 1982, გვ. 4—6; В. В. Фарсонин. Источниковедение и его метод., М., 1983, გვ. 28.



ლი შეხედულება, რომ წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების უკუკია  
პლექსური დარგია, რომელიც ერთიანებს სპეციალურ ისტორიულ დისცი-  
პლინებს, განაზოგადებს მთ მონაცემებს და ქმნის წერილობითი ისტორიული  
წყაროების გამოვლენის, შესწავლის, გამოცემისა და გამოყენების თეორიას  
და მეთოდიკას<sup>19</sup>.

რაც მთავარია, წყაროთმცოდნეობის დეფინიციის თანდათანობით დაზუ-  
სტება ტერმინთა უბრალო ცვალებადობა კი არ არის, არამედ გაპირობებუ-  
ლია მეცნიერების ამ დარგის საგნის თანდათან გართულებით და გაფართოე-  
ბით, კვლევის მეთოდების გამრავლებუროვნებით და დახვეწით, რაც თვალნა-  
თლივ ასახვეს წყაროთმცოდნეობის როლისა და მნიშვნელობის სწრაფ ზრდას  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ორი ძირითადი მიმღრთულებით  
წარმოებს კვლევა — ზოგადოეორიული და კონკრეტულ-წყაროთმცოდნეო-  
ბითი ხაზით. წყაროთმცოდნეობის გამოყენებითი ფუნქციაა ისტორიული წყა-  
როების პუბლიკაცია. არის კიდევ ერთი ხახე ისტორიული კვლევისა — უცნობი  
(უპირატესად, უცხოური) წყაროების ცნობათა მეცნიერულ მიმღეცევაში  
შემოტანა. ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება ცნობების შინაარსზეა გა-  
დატანილი, მათ წყაროთმცოდნეობით შესწავლას ნაკლები ადგილი ეთმობა.

დიდი სამამულო ობის პერიოდში, ისევე როგორც მომდევნო წლებშიც,  
წართულ ისტორიოგრაფიაში არ წარმოებდა წყაროთმცოდნეობის ზოგად-  
ოეორიული პრობლემების კვლევა. სამაგიეროდ, მეტად ნაყოფიერი მუშაობა  
მიმდინარეობდა კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი საქითხების შესწავლის  
ხაზით.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობის პრინციპია, რომ ისტორიული წყარო  
ჯერ უნდა ზედმიშვენით იქნეს შესწავლილი და მერე გამოიცეს<sup>20</sup>. ამ შეხე-  
ლულებას ჰყავს მოწინააღმდეგებიც. მეცნიერებაში იოლი ცხოვრების მო-  
უკარულს ურჩევნია შეუსწავლელად გამოიშვას ისტორიული წყაროს მის  
მიერ მიკვლეული ტექსტი, თვითონ გამომცემის სახელი დაიმკვიდროს, შეს-  
წავლის ფუნქცია კი სხვას დაკისროს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, საბედნიეროდ. იმთავითვე დამკვიდრდა  
პრეველი პრინციპი — ჯერ შევისწავლოთ, შემდეგ გამოვცეთ. ი. ჯავახიშვი-  
ლის გარდაცვალების შლისთვისადმი მიძღვნილ სხდომაზე, 1941 წ. 18 ნო-  
ემბერს, ს. ცაუხებიშვილი ხაზასმით აღნიშნავდა: „ივანე ჯავახიშვილი ისტო-  
რიკოსის პრეველ მოვალეობად სთვლიდა წინასწარ ღრმა ფილოლოგიურ მუ-  
შაობას ტექსტებზე, მათ ამოკითხებასა და დადგნენას, სხვადასხვა წარმოშო-  
ბის ტექსტების შედარებით შესწავლას“ და ა. შ.<sup>21</sup>

1941—1945 წლებში საქართველოში გამოქვეყნდა აზერთი პირელხარის-  
ხოვანი გამოკვლევა დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, ტერმინო-  
გიის დარგში, დაიბეჭდდა ნაშრომები, რომლებშიც მოცუმულია წერილობითი ძეგ-

<sup>19</sup> რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის ზოგიერთ  
საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 39.

<sup>20</sup> Д. С. Лихачев. Текстология на материале русской литературы X—XVII веков. Л., 1983, გვ. 498.

<sup>21</sup> ყად. ფ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პრეველ წლისთვისათვეს. — ენიმჭის მოაშე, XIII, 1942, გვ. 278.

